

**საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი**

**გიორგი ქავთარაძე**

**„პავლოვნიას ბიოეკოლოგიური თავისებურებები და  
ფერმერულ მეურნეობაში მისი გაშენების პერსპექტივები”**

სოფლის მეურნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
**წარმოდგენილი**

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სპეციალობა: 620705 „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა”

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **თეიმურაზ განდელაკი**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;  
**ნატო კობახიძე**, ასოცირებული პროფესორი

თბილისი  
2010

## სარჩევი

ნაშრომის საერთო დახასიათება	4
თავი I. პავლოვნია ( <i>Paulownia Sib.</i> ) და საქართველოში მისი ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის შედეგები	10
1.1 დენდრო-მორფომეტრული დახასიათება	10
1.2 ბიოეკოლოგიური დახასიათება	14
1.2.1 პავლოვნიას გავრცელება-განვითარება ნიადაგების მიხედვით	17
1.4 საქართველოში პავლოვნიას ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის შედეგები მირითადი არეალების მიხედვით	27
1.5 საქართველოში გავრცელებული პავლოვნიას პერსპექტიული სახეობების დასაბუთება	46
თავი II. პავლოვნიას შესაძლო ზემოქმედება ბუნებრივ ეკოსისტემებზე	58
2.1 ნაყოფმსხმოიარობა და თესლის აღმოცენებისუნარიანობა ბუნებრივ პირობებში	60
2.2 ბუნებრივი განახლება ტყის ტიპების მიხედვით	62
2.2.1 ბუნებრივი განახლება ხანძრისშემდგომ პერიოდში	84
თავი III. პავლოვნიას პლანტაციურ მეურნეობაში გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკური დონისძიებები	86
3.1 სარგავი მასალის შერჩევა-წარმოება	88
3.1.1 გასაშენებელი ფართობის შერჩევის პირობები	93
3.2 პლანტაციის სახეები, გაშენების ტექნიკა და სქემები	93
3.3 პლანტაციის მოვლითი დონისძიებები და მაღალი ხარისხის დეროს ფორმირების წესები	101
3.4 მირითადი დაავადებები და მავნებლები და მასთან ბრძოლის დონისძიებები	106

<b>თავი IV. მერქნის დაგროვების დინამიკა და ლეროს</b>	
<b>ჭრის წესები</b>	<b>110</b>
4.1 ბუნებრივ გარემოში და პლანტაციაში პავლოვნიას ზრდისმსვლელობის ანალიზი	110
4.2 მერქნული მარაგების დაგროვების დინამიკა პლანტაციაში	127
4.3 პავლოვნიას ლეროების ჭრის ხნოვანება და დამზადების ტექნოლოგიური პროცესები	133
4.4. სამასალე ლეროს ტექნიკური გარგისიანობის კრიტერიუმები	142
<b>თავი V. პავლოვნიას გაშენების ეკოლოგიურ-ეკონომიკური</b>	
<b>ეფექტიანობა და პერსპექტივები</b>	<b>145</b>
5.1 ნარგაობები დეკორატიულ მეტყველეობაში	145
5.2 მერქნის თვისებები და გამოყენების პრიორიტეტები	148
5.3 პავლოვნიას გამოყენება მედიცინასა და ცხოველთა კვებაში	154
5.4 პავლოვნიას პლანტაციების ფერმერულ მეურნეობაში გაშენების პერსპექტივები და ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები	156
დასკვნები	160
რეკომენდაციები	165
გამოყენებული ლიტერატურა	168

## ნაშრომის საერთო დახასიათება

### თემის აქტუალობა

გასული საუკუნის ბოლოს ვითარდებოდა აზრი, რომ ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, ალტერნატიული ტექნოლოგიებით შექმნილი პროდუქცია მნიშვნელოვანწილად ჩაანაცვლებდა ბუნებრივ ნედლეულს და მათ შორის მერქანსაც. აღნიშნული დღეს არათუ არ დასტურდება, არამედ აღარავინ დაობს მერქანის ყველა თვალსაზრისით შეუცვლელობაში.

გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია „FAO"-ს გაანგარიშებით 2050 წლისათვის მოსახლეობის ზრდის პარალელურად მოთხოვნილება მერქანზე 7,0 მლრ გ<sup>3</sup>-ს გადააჭარბებს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო ტყეების მერქანის საშუალო წლიურ შემატებას. მოცემული საპროგნოზო მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ამ მხრივ დეფიციტი გარდაუვალია.

საერთო ფონზე არც საქართველოშია მდგომარეობა დამაიმედებელი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ფართობის ტყით დაფარულობის მაჩვენებლი აღემატება მრავალი ქვეყანის შესაბამის მონაცემებს, ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ტყეების უსისტემო ჭრამ და დარგის მართვის ნაკლებეფექტურმა პოლიტიკამ იგი მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა, რაც კიდევ უფრო გამოიკვეთება მერქნულ რესურსებზე მზარდი მოთხოვნილების ფონზე.

მხედველობაშია მისაღები ქვეყნის ტერიტორიაზე ტყეების არათანაბარი გაადგილება და ძირითადი მასივების განლაგება მკვეთრი დახრილობის მთის კალთებზე, ძნელად მისადგომ ხეობებში და სხვა, რის გამოც არამარტო მერქნული რესურსის, არამედ სხვა სახის სარგებლობის მიღებაც ძალზედ შეზღუდულია. ამას მოწმობს მერქნულ საწვავზე მოთხოვნა-მიწოდების შესახებ არსებული და საპროგნოზო

მაჩვენებლებიც. პროფ. თ. კანდელაკის მონაცემებით 2008 წელს მერქნულ საწვავზე მოთხოვნა შეადგენდა 4,5 მლნ მ³-ს, მიწოდებამ კი მხოლოდ 2,68 მლნ მ³ შეადგინა, ხოლო გრძელვადიანი საპროგნოზო მონაცემებით ეს დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაღალი ინტენსივობით ტყეების ჭრა, სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად ხელს უწყობს ეროზიული პროცესების წარმოშობას. მსგავსი ტენდენციაა სოფლის მეურნეობის დარგში, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა და ტრადიციულ კულტურებზე მოთხოვნილების არარსებობა, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართობებს ტოვებს სოფლის მეურნეობისა და ტყის პროდუქციის წარმოების მიღმა რაც ყოველწლიურად ზრდის ნიადაგის ეროზიული პროცესების არეალს.

ამიტომ აღნიშნული პროცესების შეჩერებისათვის საჭიროა გატარდეს მიზნობრივი და კომპლექსური ღონისძიებები, რათა ლოკალურ და რეგიონალ დონეზე უზრუნველყოფილ იქნას არამარტო გარემოსდაცვითი, არამედ მაღალი მეტყველეურ-სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობა. ამ მიზნით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც აქტიურად მიმდინარეობს სწრაფმზარდი მერქნიანი სახეობების გამოყენება.

FAO-ს ბოლო მონაცემებით (FAO-2010), სატყეო პლანტაციების ფართობებმა მთელს მსოფლიოში შეადგინა 264 მლნ ჰა., ანუ მთლიანი ტყის ფართობის 7%. ასეთი ფართობების განსაკუთრებული ზრდის მაჩვენებელი 2005 წლიდან დაფიქსირდა, რამაც ყოველწლიურად 5 მლნ ჰა. შეადგინა.

პავლოვნიას პლანტაციებს მიუხედავად სხვადასხვა პერიოდში გარკვეული ჩავარდნებისა, რომელიც ძირითადად გამოწვეული იყო სათანადო პრაქტიკული ცოდნის არ არსებობით, აშენებენ მსოფლიოს

ყველა კონტინენტის დაახლოებით 50 ქვეყანაში და ამ მხრივ ერთ-ერთ ლიდერ პოზიციაზეა. ზოგიერთი მონაცემით მსოფლიოში პავლოვნიას პლანტაციების მთლიანი ფართობი 3 მლნ ჰა-მდეა, აქედან თითქმის ნახევარი (1.3 მლნ ჰა) ჩინეთზე მოდის. მისი მთავარი უპირატესობა მაღალ მერქნულ და ეკოლოგიურ თვისებებთან ერთად, სწრაფმზარდი ხასიათია, რის გამოც მცენარე დაცვითი ფუნქციების შესრულებას იწყებს 2-3 წლიდან, ხოლო სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელია 6-7 წლის ხნოვანებიდან.

პავლოვნიას ფერმერულ მეურნეობებში გაშენების პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში, გარკვეულწილად სიახლეა, ხოლო წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი პირველი მცდელობაა საკითხის კომპლექსური შესწავლისა ჩვენი პირობებისათვის, რასაც თეორიულთან ერთად მეტად მაღალი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

**კვლევის მიზნები და ამოცანები** – კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული პავლოვნიას ნარგაობების ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა და ფერმერულ მეურნეობაში მისი პლანტაციური წესით გაშენების პერსპექტივების ეკოლოგიურ-ეკონომიკური დასაბუთება.

მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- პავლოვნიას გავრცელების და მისი გამოყენების მსოფლიო ტენდენციების შესწავლა-განალიზება;
- საქართველოში პავლოვნიას ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის შედეგების შესწავლა, ბიოეკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ადგილობრივ ტყის ეკოსისტემაზე პავლოვნიას შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების დადგენა;

- პლანტაციაში და ბუნებრივ გარემოში პავლოვნიას ზრდა-განვითარებაზე მომქმედი ფაქტორების დადგენა;
- საქართველოს პირობებში პავლოვნიას ღეროების ჭრის წესებისა და ტექნოლოგიების დადგენა, ჭრაგავლილ ფართობზე ბუნებრივი განახლების მდგრადი უზრუნველყოფის გათვალისწინებით;
- პავლოვნიას გაშენებისა და მოვლის არსებული აგროწესების სრულყოფა;
- საქართველოში პლანტაციური წესით პავლოვნიას გაშენების პერსპექტივების და ეფექტიანობის განსაზღვრა.

**მეცნიერული სიახლე – პირველად საქართველოს პირობებისათვის კომპლექსურადაა შესწავლილი პავლოვნიას კულტურის აკლიმატიზაციის შედეგები, ზრდა-განვითარების თავისებურებები და მასზე მომქმედი ფაქტორები, მერქნის წარმოების წესები და გამოყენების პრიორიტეტები:**

- დადგენილია, რომ ადგილობრივ ტყის ეკოსისტემაზე მისი უარყოფითი ზემოქმედება არ აღინიშნება, რასაც გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და უდაოდ საინტერესო შედეგს წარმოადგენს;
- განისაზღრულია პლანტაციებში მერქნის დამზადების წესები თვითაღდებენის (რეგენერაციის) პროცესის გათვალისწინებით;
- დამუშავდა სარგავი მასალის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები, პლანტაციაში მათი გადატანის შემდგომი მოსალოდნელი განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- საერთაშორისო აღიარებული სტანდარტების და საბაზო მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებულია დეროს ტექნიკური ვარგისიანობის სკალა;

**პრაქტიკული მნიშვნელობა** – კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში პავლოვნიას პერსპექტიული სახეობების შერჩევის, სარგავი მასალის აღზრდის, მერქნული ნედლეულის დამზადებისა და ფერმერულ მეურნეობაში პლანტაციების მართვის თვალსაზრისით.

- დადგინდა პლანტაციის ძირითადი სახეები დანიშნულების მიხედვით და განისაზღვრა მათი გაშენების ეფექტიანობა;
- შესწავლილია პავლოვნიას გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა, სარგავი მასალის შერჩევის მოთხოვნილებების გათვალისწინებით;
- დამუშავდა პავლოვნიას გაშენებისა და მოვლის ძირითადი მეთოდები, შედგა პლანტაციის წარმოების კალენდარული გეგმა;
- დამუშავდა პლანტაციაში მერქნის დამზადების წესები, ჭრაგავლილ ფართობზე რეგენერაციის გათვალისწინებით.
- დასაბუთებულია პავლოვნიას პლანტაციების გაშენების და ტერიტორიული გაადგილების პერსპექტივები საქართველოში.
- განსაზღვრულია პავლოვნიას პლანტაციის გაშენების შედეგად მოსალოდნელი კომპლექსური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა და კრიტერიუმები;

**გამოყენებული კვლევის მეთოდები:** ექსპერიმენტული, ლოგიკური ანალიზის, მონოგრაფიული, შედარებითი და სტატისტიკური.

**აპრობაცია** – სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები წარდგენილ და განხილულ იქნა სატყეო დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №5; 17-01-2011); აღნიშნულ თემატიკაზე მოპოვებულ იქნა ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი №2-

8/02, რომლის შედეგები ასახულია დისერტაციაში, საბოლოო  
ანგარიშში და სპეციალურ პუბლიკაციაში

**პუბლიკაცია** – სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 5  
სამეცნიერო ნაშრომი და ბროშურა.

**მოცულობა და სტრუქტურა** – დისერტაცია შედგება ზოგადი  
დახასიათების, 5 თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან.  
ნაშრომი მოიცავს 180 გვერდს, 29 ცხრილს, 57 ნახატს.  
გამოყენებულია 182 დასახელების ლიტერატურული წყარო, აქედან 28  
ქართულ და 154 უცხოურ ენაზე.

## I თავი

### პავლოვნია (Paulownia Sieb.) და საქართველოში მისი ინტროდუქცია- აკლიმატიზაციის შედეგები

#### 1.1 დენდრო-მორფომეტრული დახასიათება

პავლოვნიას გვარი (Paulownia Sieb.) მესამეული პერიოდის ჩინური წარმოშობის მცენარეა. მისი არსებობა უძველესი ჩანაწერების მიხედვით ჯერ კიდევ ჩ.წ. 400 წლით თარიღდება. პავლოვნია ერთადერთი მერქნიან მცენარეთა გვარია ქერიფქლისებრთა (Scrophulariaceae) ოჯახში, რომელიც ძირითადად ბალახოვან მცენარეთა გვარებს აერთიანებს (Siebold, 1870; Flora of China, 1998). საქართველოში პავლოვნიას ხებუერასაც უწოდებენ (მაყაშვილი, 1961).

ლიტერატურული წყაროების მიხედვით (Xin-yu, Xiong, 1986; Anon, 1986) ამ გვარს ლათინური სახელწოდება „პავლოვნია“ უწოდა შვეიცარიელმა ბოტანიკოსმა ტურნბერგმა. მან პავლოვნიას გვარი მიაკუთვნა ბიგნონიასებრთა (Bignoniaceae Lind.) ოჯახს, სადაც პავლოვნია წარმოდგენილი იყო ერთი სახეობით ბიგნონია ტომენტოზა (B. tomentosa), რაც იყო იგივე პ. ტომენტოზა (P. tomentosa). უფრო მოგვიანებით (1835 წ.) დანიელმა და ჰოლანდიაში მოღვაწე გერმანელმა მეცნიერმა ე. ცუკარინმა და ფ. ზიბოლდმა პავლოვნიას გვარი მიაკუთვნა ქერიფქლისებრთა (Scrophulariaceae Lind.) ოჯახს, რის საფუძველიც გახდა პ. ტომენტოზას მსგავსი სხვა სახეობების აღწერა და ერთ გვარში გაერთიანება (Siebold, 1870; Flora of China, 1998).

პავლოვნიას გვართან დაკავშირებით დღესაც მსჯელობენ თუ რომელ ოჯახს უფრო მიეკუთვნება ბიგნონიასებრთა თუ ქერიფქლისებრთა. მკვლევართა უმრავლესობა მაინც გვარის ქერიფქლისებრთა ოჯახში ყოფნის მომხრეა.

პავლოვნია სწრაფმზარდი, სწორი დეროს მქონე, ერთსახლიანი, ფოთლოვანი ხეა გაშლილი დიდი გარჯით. განსაკუთრებული

სწრაფმზარდობით ხასიათდება პირველი სამი წლის განმავლობაში (Langdon, Jonson, 1994).

ჩინელი ფერმერები ხატოვნად ახასიათებენ მისი სწრაფი ზრდის ხასიათს და ერთ წლიან პავლოვნიას მსხვილ ფოთლიან ჯოხს, სამწლიანს დიდ ქოლგას, ხოლო ხუთ წლიანს უკვე მორს ადარებენ. მათივე მტკიცებით, პავლოვნიას შეუძლია მიაღწიოს სიმაღლეში 40-50 მეტრს და დიამეტრით 2 მეტრს, თუმცა მსგავსი მონაცემების პავლოვნიას მხოლოდ ერთეული ეგზემპლარებია აღწერილი (Huaxin, 1996).

პავლოვნიას ახალგაზრდა დერო და ტოტები დაფარულია ნაცრისფერი მოყავისფრო დაწინწკლული თხელი ქერქით, რომელიც თანდათან უხეშდება, მუქდება და უჩნდება მეჭეჭები. ახალგაზრდა ტოტები გულგულის განუვითარებლობის გამო ფულუროა და დაფარულია ბუსუსებით. პავლოვნიას ძირითად სახეობებს გააჩნია ფსევდო დიქოტომიური დატოტვა (Williams, 1993). კვირტები ან პირველი წლის ნაზარდი დერო შეიძლება მოეყინოს ზამთარში, თუმცა აქვთ უნარი მეორადი კვირტებიდან მომდევნო ვეგეტაციის დასაწყისში ახალი ტოტების განვითარებისა. საქართველოს ზომიერ კლიმატურ ზონაში პავლოვნია ვეგეტაციას იწყებს მარტის თვეში და ასრულებს ნოემბრის ბოლოს ფოთოლცვენით (აბაშიძე, 1962; მამუკელაშვილი, 1979, 2009).

ფოთლები მარტივი ან იშვიათად რთულია, მოპირისპირედ და მორიგეობით განწყობილი გრძელი ფუნწებით. დიდი ზომით გამოირჩევა განსაკუთრებით ახალგაზრდა ხის ფოთოლი, გულისფორმის, დაკბილული ან ტალღისებრი კიდეებით, ბოლოში წაწვეტებული, სიგრძეში 17-35 სმ-მდეა, ხოლო სიგანით 25 სმ-მდე. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ფაფუკი და დაფარულია ბუსუსებით, ქვედა მხარე შედარებით ლია მწვანეა და გლუვი-ბუსუსიანი. პავლოვნიას ფოთლები

უვითარდება ყვავილობის დაწყების შემდეგ (Лесная энциклопедия 1986; Xin-yu, Gao, 1986; Williams, 1993; Johson, 2000). საქართველოს პირობებში, ჩვენი დაკვირვებით, ფოთოლი გამოაქვს მაისის დასაწყისიდან და ხეზე რჩება ნოემბრამდე. შემოდგომაზე ფოთლები უყვითლდება ან ყავისფერი ხდება (აბაშიძე, 1962; ქავთარაძე, 2010).

ზარისებრი ყვავილები მსხვილია, ძალიან სურნელოვანი, დია იასამნისფერი, თეთრი ან მოვარდისფრო, გრძელი გვირგვინითა და მოყავისფრო მოკლე ჯამით. ყვავილის გვირგვინი დიდია, ზედა ორნაწილიანი, ხოლო სამნაწილიანი ქვედა ბაგეზე. მდედრობითი ყვავილის გვირგვინი თითქმის მტვრიანას სიგრძისაა. გვირგვინის მილი ჩვეულებრისამებრ მოხრილია 5 მმ-ით ფუძესთან, სამტვრე ოთხი ან ორი მტვრიანით გადახრილია. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან, აღმამდგომ კენტერულ ყვავილედში. ყვავილის გვირგვინის შიგნით შეიმჩნევა იასამნისფერი ლაქები ან ხაზები და ყვითელი ნაკეცები. ყვავილის ჯამი ზარისებრი ან კონუსური ფორმისაა, დაყოფილია ხუთ არათანაბარ ნაწილად. თითოეული ნაწილი სამკუთხედია, ზედა შუა ნაწილი შედარებით დიდია, ხშირად დაფარულია ბუსუსებით. ყვავილობს ფოთლების გაშლამდე (Petrides, 1972; Bonner, 1990; Swanson, 1994).

დადგენილია, რომ პავლოვნიას სახეობების მიხედვით გააჩნიათ ყვავილობის დაწყების სხვადასხვა პერიოდი. *P. tomentosa* და *P.elongata* ყვავილობას იწყებს მეორე-მესამე წლიდან, ხოლო *P.fortunei* და *P.catalpifolia* მეხუთე-მეექვსე წლიდან, ყვავილობის პერიოდი გრძელდება დაახლოებით ერთი თვე ყველა სახეობის შემთხვევაში აპრილ-მაისში (Sticker, Lahloub, 1982; Shu, 1998; Xian, 1995; Johson, 2000; Енциклопедия „все растения мира”, 2006). საქართველოს პირობებში, ჩვენი დაკვირვებით პავლოვნია (*P. tomentosa*, *P.fortunei*) ყვავილობას იწყებს აპრილის ბოლოდან და გრძელდება მაისის ბოლომდე, ანუ ძირითადად ემთხვევა


სამშობლოში (ჩინეთი) ყვავილობის პერიოდს, რაც უმეტესად მემკვიდრული თვისების გამოვლინებაა. ყვავილის პირტები ყალიბდება ზაფხულში, ყვავილობის წელიწადის წინ. მეორზი ხდება ივლის-სექტემბერში, ხოლო მტვრის მარცვლები მთელ ზამთარს ატარებენ მონონუკლეარულ მდგომარეობაში. დამტვერვა ხდება ძირითადად მწერების და ასვე ქარის მეშვეობით (აბაშიძე, 1962; ქავთარაძე, 2010).

ნაყოფი კვერცხისფორმის კოლოფაა, წვერში წაწვეტებული, მომწიფებამდე მწვანე ფერის წებოვანია, შემდეგ მუქი ყავისფერი. სათესლე კოლოფის გარსი თხელი ან სქელია, ზოგჯერ გამერქნებული, შიდა ნაწილი გლუვია. ოთხი ან ორ სარქველიანი კოლოფა იხსნება ჰორიზონტალურად. თესლის პლანცეტა ხორციანია, ნაოჭებიანი და სხვადასხვა ფორმის. თითოეული კოლოფში რამოდენიმე ათას პატარა ფრთიანი თესლია მოთავსებული. დადგენილია, რომ ერთი კილოგრამი პავლოვნიას თესლი შეიცავს 4-6 მლნ თესლს ხარისხის მიხედვით (Borthwick, 1974; Cunningham, Carpenter, 1980; Dirr, Heuser, 1987).

თესლის გარსი შედგება ორი ფენისაგან, შიდა ფენა შედგება სქელკედლიანი გამაგრებული უჯრედებისაგან, ხოლო გარეთა გამჭვირვალე ფენა გადადის ფრთასებრ წანაზარდში. თესლი ენდოსკერმულია (Barnhill, 1982, 1986; Vines, 1960). საქართველოს პირობებში ნაყოფი მწიფდება ოქტომბერ-ნოემბერში (აბაშიძე, 1962, ქავთარაძე, 2010). სათესლე კოლოფები ხეზე ნარჩუნდება მთელი ზამთრის განმავლობაში. მშრალი ნაყოფების შეგოვება შესაძლებელია ხელით, მანამ ვიდრე სათესლე კოლოფები გაიხსნება და თესლი გაიფანტება. შეგროვება შესაძლებელია იმ დროსაც ვიდრე თესლები ჯერ კიდევ მწვანეა, თუმცა საჭიროებს გაშრობას. სათანადოდ შენახული თესლი ( $0^{\circ}+4^{\circ}$ ) აღმოცენებისუნარიანობას ( $75-85\%$ ) ინარჩუნებს 3-4 წლის მანძილზე (Bonner, Borton, 1974, 1990). (იხ. ნახ. 1.3).

პავლოვნია ივითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას, სუსტად გამოხატული მთავარი ფესვით. ზედა ნაწილის ფესვები თხელია, მახვილი, დიქოტომიურად განტოტვილი და ძალიან ხშირი. შემწოდები გრძელია, 1-5 მმ სისქის და სიგრძეში აღემატება 60 სმ-ს. აღწერილია, რომ 7 წლის პავლოვნიას ფესვთა სისტემა ვერტიკალურად 3 მ-მდე, ხოლო ჰორიზონტალურად 10 მ-მდე ვითარდება (იხ. ნახ.1.1).

პავლოვნიას ფესვთა სისტემის განვითარებასა და გავრცელებაზე დიდ გავლენას ახდენს მიწისქვეშა წყლის დონე, ნიადაგის ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია, რომ სასურველ ნიადაგურ პირობებში განვითარებული ფესვთა სისტემა 2-ჯერ და ზოგჯერ მეტადაც აღემატება ვარჯის პროექციას (Xin-yu, Gao, 1986; Swanson, 1994; Williams, 1993; Huaxin, 2007 ).



ნახ. 1.1

7 წლის პავლოვნიას ფესვთა სისტემა

## 1.2 ბიოეკოლოგიური დახასიათება

პავლოვნია თბილ და ტენიან კლიმატურ პირობებში ვითარდება, ანუ მეზოფიტი სახეობაა. მისი არეალი მოქცეულია ზომიერ კლიმატურ სარტყელში  $40^{\circ}\text{N}$  და  $40^{\circ}\text{S}$  (Xin-yu, Gao, 1986; Shiu-ying, 1959). ზოგი ავტორი  $20^{\circ}\text{-}40^{\circ}$  განედს და 980-1250E გრძედს ასახელებს (Johson, 2000).

ტემპერატურული რეჟიმი სახეობების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს აბსოლიტური მინიმუმი  $-5^{\circ}\text{C}$  დან  $-20^{\circ}\text{C}$  მდე, ხოლო მაქსიმუმი  $+41^{\circ}\text{C}$  მდე. დადგენილია, რომ პავლოვნია ვეგეტაცია იწყებს  $+8^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, ხოლო ოპტიმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ტემპერატურაა საშუალოდ  $24-29^{\circ}\text{C}$ . ჩანს, რომ პავლოვნიას ნორმალური განვითარება დიდწილად დამოკიდებულია მაღალ ტემპერატურულ რეჟიმზე (Krugman, 1990; Chaudhry, 1993; Anon, 1994).

სითბოს მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნილების მიუხედავად, პავლოვნია გადაჭარბებული სიცხის პირობებში ( $+41$  და მეტი) ცუდად ვითარდება. თუმცა აქვს უნარი გარკვეული შემგუებლობისა, რასაც უზრუნველყოფს ყვავილის კვირტზე შემოხვეული სქელი და ხორციანი ჯამი შაქრისა და სახამებლის მაღალი შემცველობით, რომელიც იცავს კვირტს გამოშრობისაგან; ასევე პავლოვნიას ფოთოლი ორივე მხრიდან დაფარულია ბუსუსებით, რომელიც კარგ საიზოლაციო ფუნქციას ასრულებს, რითაც ზღუდავს ტემპერატურის ურყოფით ზეგავლენას მცენარეზე (Little, 1978; Xin-yu, Gao, 1986; Taha, Houkal, 1988).

პავლოვნია მგრძნობიარეა ზამთრის და ადრეულა ყინვების მიმართ, განსაკუთრებით ახალგაზრდა გაუმერქნებელი თესლნერგები. ყინვით დაზიანების შედეგად, დაზიანებულ ნაწილებზე ჩნდება სიდამპლე. მსგავსი დაზიანება შესაძლებელია გამოწვეულ იქნას დღე-დამის ტემპერატურული ამპლიტუდითაც (Shiu-ying, 1959; Kuser, Fimbel, 1990, Johson, 2000). საქართველოს პირობებში, კერძოდ ლაგოდებში აღწერილია რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ციგი ზამთრის პირობებში კვირტები და ნორჩი ტოტები მოეყინა. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა 2004 წელსაც, როდესაც გვიანა ყინვების დროს  $-2^{\circ}\text{C}$ -ზე დაუზიანდა გაჯირჯვებული კვირტები (აბაშიძე, 1959; მამუკალაშვილი, 1970).

გარდა სითბოსი პავლოვნია, როგორც ჰელიოფიტი სახეობა განსაკუთრებულ მომთხოვნელობას იჩენს სინათლისადმი. სასინათლო პირობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი აღმონაცენ-მოზარდისათვის. დადასტურებულია, რომ 70% დაჩრდილვა ფატალურად მოქმედებს მის ზრდა-განვითარებაზე. ჩვენს მიერ ბუნებრივი განახლების შესწავლამ, ტყით დაფარულ ფართობებზე აჩვენა, რომ განახლება საბურველშეკრულ კორომებში ფაქტობრივად არ აღირიცხება (იხ. თავი 2.2). დადასტურებულია, რომ პავლოვნიას სინათლის შეღწევის წერტილი 60000 ლუქსამდეა, რაც თითქმის ორჯერ მეტია სხვა ყველა ძირითად მერქნიან სახეობებთან შედარებით, ხოლო სინათლის საკონკენსაციო პუნქტი 2000 ლუქსია (Sanderson, 1972; Xin-yu, Gao, 1986).

პავლოვნია ინგითარებს დიდი ზომის ფოთლებს და მძლავრ ფესვთა სისტემას, რაც განაპირობებს მცენარის მიერ მოთხოვნილებას ატმოსფერული ნალექების და ნიადაგის ტენიანობის მიმართ. იგი კარგად ვითარდება ადგილებში, სადაც საშუალო წლიური ნალექების მაჩვენებელი 500 დან 2500 მმ-მდეა. ნიადაგის და მაღალი ტენიანობის მოთხოვნილების მიუხედავად, პავლოვნიას შეუძლია განვითარდეს ჰაერის ნაკლები ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თუმცა დიდ ზომებს ვერ აღწევს. ჩინელი სპეციალისტების მონაცემებით, პავლოვნია იზრდება ჩინეთის შინკიანგ უიბურ ოლქში, სადაც ფარდობითი ტენიანობა 52%-ია და წელიწადის 129 დღე მშრალი ქარებით ხასიათდება (Huaxin, 2007; Xin-yu, Gao, 1986; Johson, 2000).

პავლოვნია ვერ ვითარდება ქარიან რეგიონებში, რადგან ვარჯი მყიფეა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ხეებისა და ადვილად ზიანდება ძლიერი ქარის დროს. თუმცა ქარი დადებით როლს ასრულებს თესლების გავრცელებაში, პავლოვნიას მსუბუქი ფრთიანი თესლები ადვილად ვრცელდება ქარის მეშვეობით. აღწერილია, რომ ღრმა

ნიადაგებზე განვითარებული პავლოვნია ქარგამძლეობით ხასიათდება (Xin-yu, Gao, 1986).

პავლოვნია მრავლდება თესლიდან, ფესვის გადანაჭერიდან და ამონაყრით (იხ. თავი 3.1). ბუნებრივად, განსაკუთრებით ტყით დაფარულ ფართობებზე ძნელად ან საერთოდ ვერ ვრცელდება (იხ. თავი 2.2).

### 1.2.1 პავლოვნიას გავრცელება—განვითარება ნიადაგების მიხედვით

როგორც ზემოთ არის აღწერილი პავლოვნია საქართველოში შემოტანიდან დღემდე გვხვდება განსხვავებულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში.

შესწავლით, რომ სამშობლოში (ჩინეთი), ასევე სხვა მრავალ ქვეყანაში პავლოვნია ძირითადად გავრცელებულია ქვიშნარ (ალუვიურ) და თიხნარ ნიადაგებზე. პავლოვნიას ყველა ძირითად სახეობას გააჩნია მძლავრი ფესვთა სისტემა, კარგად განვითარებული გვერდითი ფესვებით, რომელიც განვითარებისათვის მოითხოვს ღრმა, თავისუფალ, ტენიან ნიადაგებს კარგი აერაციით. დადგენილია, რომ პავლოვნია ვერ ეგუება გრუნტის წყლის სიახლოვეს ნიადაგის ზედაპირთან 1,5 მ-მდე და დამლაშებას ნიადაგში. pH ფაქტორის მიმართ დამოკიდებულება შიდა სახეობების მიხედვით მცირედ განსხვავებულია, კერძოდ: პ. ტომენტოზა (*P.tomenosa*) და პ. ელონგატა (*P.eloncata*) კარგად ვითარდება pH 4,5-8,5 შემცველობის ნიადაგებზე, პ. ფორტუნეი (*P. fortunei*) pH 4,0-8,0 ; ხოლო პ. ფარგესიი (*P. fargesii*) pH 4,5-6,5 და პ. კატალპიფოლია (*P. catalpifolia*) pH 5,5-8,0 (Xin-yu, Gao, 1986; Jonson, 2000; Moore, 2006; Huaxin, 2007).

პავლოვნიას ძირითადი გავრცელების ნიადაგების შესწავლის მიზნით, ჩვენს მიერ საანალიზო ნიმუშები აღებულ იქნა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

კვლევის წინაშე დასმული მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა:

- ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა პიროფოსფატის მეთოდით (Пасобие по проведению анализов почв, 1969);
- ჰუმურის შემცველობა ი. ტიურინის (Тюрин, 1931) მიხედვით;
- pH ( $H_2O$ ) ე. არინუშკინას (Аринушкина, 1970) მიხედვით;
- გაცვლითი კათიონები კაპენის მეთოდით (Пасобие по проведению анализов почв, 1969).

ნიადაგების შესწავლამ აჩვენა რომ, დასავლეთ საქართველოში (ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი) პავლოვნია გვხვდება სხვადასხვა სიღრმის წითელმიწა ნიადაგებზე. რომლებიც ხასიათდებიან წითელი შეფერილობით, გათიხებით და მძლავრი პროფილით, რომელსაც აქვს შემდეგი შენება: A-AB-B-BC-C. ეს ნიადაგები ძირითადად ვითარდებიან სილიკატებით და ალუმინიუმიკატებით მდიდარ ქანებზე, როგორიც არის ანდეზიტი, ბაზალტი, პორფირიტი და სხვა.

ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე ( $20-30^0$ ) წითელმიწები სუსტადაა განვითარებული და ხშირად ჩამორეცხილია. სუსტად დაქანებულ ფერდობებზე ( $10-20^0$ ) ნიადაგი უფრო კარგადაა განვითარებული და აქ წითელმიწები დიდ სიღრმეს აღწევენ.

ტიპიური წითელმიწა ნიადაგები განვითარებულია ამონალვარ ქანებზე (ანდეზიტები, პორფირიტები) და მდინარეთა ქველ ნაფენებზე, რომელთა დაშლის შედეგად ჩამოყალიბებულია ერთნახევარი ჰიდროჟანგებით მდიდარი გამოფიტვის ქერქი.

ქობულეთის რაიონის დ. ჩაქვის პლანტაციაში ზ.დ 36-40 მ-ზე, ჩვენს მიერ აღწერილ იქნა წითელმიწა ნიადაგები. აღნიშნული ნიადაგები გავრცელებულია აჭარაში, გურიაში, გვხვდება სამეგრელოსა და აფხაზეთში. ნიადაგის დახასიათებისათვის მოგვყავს ჭრილის (ჩაქვი 1) აღწერა:

- A 0-14 სმ. – მოყავისფრო შეფერვით, ტენიანი, თიხნარი,  
კაკლოვან-გოროხოვანი სტრუქტურით,  
გადასვლა შემდეგ პორიზონტებში თანდათანობით;
- B 14-35 სმ. – მოწითალო ყვითელი შეფერილობით,  
ზოგ ადგილებზე შეიმჩნევა მოწითალო ყვითელი  
ლაქები. მკვრივი, ტენიანი, თიხნარი. გადასვლა  
შემდეგ პორიზონტებში – თანდათანობით;
- BC 35-69სმ – მოყვითალო შეფერილობით, მძიმე თიხნარი,  
კოშტოვან-დაკუთხული, მკვრივი, ტენიანი.

ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითის პლანტაციაში, ჩვენს მიერ  
აღწერილ იქნა წითელმიწა ნიადაგები. სიმაღლე ზ.დ 85-100 მ. ნიადაგის  
პროფილს აქვს შემდეგი შენება: A-AB-B

A 0-18 სმ. – მუქი რუხი მოყვითალო შეფერილობით, კოშტოვანი  
სტრუქტურის, ზოგან კოშტოვან-კაკლოვანი, მკვრივი  
ტენიანი. პორიზონტის ქვედა ნაწილში აღინიშნება  
რკინა-მაგნიუმიანი ლაქები და არა მყარი  
კონკრეციები. გადასვლა შემდეგ პორიზონტში  
შესამჩნევი;

AB 18-36 სმ. – მორუხო-ყვითელი, კოშტოვანი სტრუქტურის,  
მკვრივი, ტენიანი. აღინიშნება რკინის ჟანგის  
ლაქები. გადასვლა შემდეგ პორიზონტში  
შესამჩნევი;

B 36-58 სმ. – მოყვითალო-ჩალისფერი, მკვრივი, ტენიანი,  
წვრილ-ბელტოვანი, ზოგჯერ უსტრუქტურო,  
აღინიშნა რკინის ჟანგის ლაქები.

კვლევის შემდეგი ობიექტი ლანჩხუთის რაიონის სოფელ  
შუხუთში, ტყეში და პლანტაციაში წარმოდგენილი პავლოვნიაა ზ.დ 30-

185 გ. სიმაღლეზე. აქ ძირითადად ვხვდებით ყვითელმიწა ნიდაგებს, რომელთაც აქვთ პროფილის შემდეგი შენება: A-AB-B-BC. ეს ნიადაგები ხასითდებიან ყვითელი შეფერილობით, გათიხებით და მძლავრი პროფილით. მაგალითისთვის მოგვყავს ჭრილი №12 მორფოლოგიური აღწერა:

A 0-21 სმ. – მუქი რუხი, ხშირად მოყვითალო შეფერილობით, ტენიანი, კოშტოვან-კაკლოვანი სტრუქტურის.

გადასვლა შემდეგ პორიზონტში შესამჩნევი;

AB 21-41 სმ. – რუხი-ყვითელი, ჰუმუს-მეტამორფული პორიზონტი, კოშტოვანი სტრუქტურის, პროფილის ქვედა ნაწილში ადინიშნება წვრილი რკინა-მაგნიუმიანი კონკრეციები;

B 43-62 სმ. – ყვითელი ფერის, მკვრივი, წვრილბელტოვანი სტრუქტურის, ტენიანი, წვრილი რკინა-მაგნიუმიანი კონკრეციები შედარებით ბევრია ვიდრე ზედა პორიზონტში.

კვლევის საინტერესო ობიექტს წარმოადგენდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის ქვედა ნაწილის, მდინარისპირა ტერასების ალუვიური ნიადაგები, სადაც პავლოვნია ვრცელდება ბუნებრივად. აქ წარმოდგენილი სხვადასხვა სიღრმის ალუვიური ნიადაგები, რომელიც პერიოდული დატბორვით ხასიათდებიან.

აღნიშნულ ნიადაგების პროფილს აქვთ შემდეგი შენება: A-BC-C-CD. მაგალითისთვის მოგვყავს ჭრილი №16 მორფოლოგიური აღწერა:

A 0-14 სმ. – რუხი შეფერილობით, არამყარი, წვრილ-კაკლოვანი, სტრუქტურის. ბევრია მცენარეთა ფესვები;

BC 14-25 სმ. – მუქი რუხი, უსტრუქტურო, ხირხატიანი. ბევრია მცენარეთა ფესვები;

C 25-47 სმ. – დია რუხი, უსტრუქტურო, ხირხატიანი.

მექანიკური შემადგენლობის მიხედვით (იხ. ცხრ. 1.1) ჩაქვის წითელმიწა ნიადაგები მიეკუთვნებიან თიხნარ და მძიმე თიხნარ ნიადაგებს. ნიადაგის პროფილში აღინიშნება ლექის ( $<0,001$  მმ) ფრაქციის გადაადგილება ზედა პორიზონტებიდან ქვედა პორიზონტებში, სადაც აღნიშნული ფრაქცია აპსკის ფორმით შემოფენილია ნიადაგის ცალკეულ ნაწილებზე.

### ცხრილი 1.1

#### შესწავლილი ნიადაგების მექანიკური შემადგენლობა

კვლევის ობიექტი	პორიზ. სიღრმე (სმ)	ნაწილაკების სიდიდე (მმ), ფრაქციის შემცველობა (%)						
		1-0,25	0,25-0,05	0,05-0,01	0,01- 0,005	0,005- 0,001	<0,001	<0,01
ჩაქვი (აჭარის ა/რ)	A0-14	2	5	26	13	20	24	67
	B14-35	1	6	25	11	33	24	68
	BC35-69	1	3	14	16	26	40	82
ძიმითი (გურია)	A0-18	12	19	18	9	10	32	51
	AB18-36	11	14	13	11	16	36	62
	B36-58	14	19	19	7	11	30	48
შუბუთი (გურია)	A0-21	14	19	17	7	11	32	50
	AB21-43	13	12	12	10	14	39	63
	B43-62	16	19	16	7	10	32	49
ლაგოდეხი (კახეთი)	A0-14	2	10	12	31	13	32	76
	BC14-25	8	19	16	34	15	8	57
	C25-47	6	12	13	30	24	15	69

ოზურგეთისა და ლანჩხუთის ობიექტის ნიადაგები მექანიკური შემადგენლობის მიხედვით ახლო დგანან ერთმანეთთან. ეს ნიადაგებიც თიხა და თიხნარ ნიადაგებს მიეკუთვნებიან. ორივე ობიექტის ნიადაგების AB პროფილებში აღინიშნება ლექის ( $<0,001$  მმ) ფრაქციისა და თიხის ( $<0,01$  მმ) ფრაქციის დაგროვება B პორიზონტში,

რაც A ჰორიზონტიდან მათი გადაადგილებითაა განპირობებული, რასაც ვერ ვიტყვით ლაგოდების ნიადაგებზე.

შესწავლილი ჩაქვის წითელმიწა ნიადაგები (იხ. ცხრ. 1.2) ხასიათდებიან მუვე რეაქციით, რაც მატულობს სიღრმესთან ერთად, რასაც ვერ ვიტყვით ძიმითისა და შუხუთის ნიადაგებზე, სადაც ზედა ჰორიზონტი უფრო მუვეა ვიდრე ქვედა ჰორიზონტები. ხოლო ლაგოდების ნიადაგების რეაქცია თითქმის ერთნაირია ნიადაგის მთელ სიღრმეზე.

### ცხრილი 1.2

შესწავლილი ნიადაგების ზოგიერთი ქიმიური მაჩვენებლები

ობიექტი	ნიადაგის სიღრმე (სმ)	pH (H <sub>2</sub> O)	ჰუთი %	შთანთქმული გათიონები მგ/ექგ.			ჯამი	% ჯამიდან		
				Ca+	Mg+	H+		Ca	Mg	H
ჩაქვი	0-14	5,2	4,5	5,52	2,81	9,08	17,41	31,7	16,14	52,5
	14-25	4,8	3,1	2,78	1,11	7,72	11,61	23,4	3,56	66,49
	25-49	4,4	1,4	5,01	0,56	6,44	12,01	41,71	4,66	53,62
ძიმითი	0-18	6,1	3,4	6,34	4,42	3,80	14,56	43,5	30,5	26,1
	18-36	6,3	1,1	5,65	2,15	4,75	12,55	45,0	17,1	37,8
	36-58	6,6	—	6,52	4,72	7,25	18,49	35,3	25,5	39,2
შუხუთი	0-21	6,0	3,3	6,44	4,25	3,74	14,43	44,6	29,4	25,9
	21-43	6,2	1,0	6,01	3,24	4,85	14,09	42,3	22,9	34,4
	43-62	6,5	—	6,62	4,44	8,05	19,11	34,6	23,2	42,1
ლაგოდები	0-14	6,4	4,2	12,0	4,12	0,59	16,66	72	25	3
	14-25	6,3	1,5	8,5	4,0	0,58	13,08	65	31	4
	25-47	6,4	1,1	7,5	3,75	0,66	11,91	63	31	6


ჰუთის შემცველობა მაღალია ზედა ჰორიზონტებში, სადაც იგი 3,3-4,5%-ის ფარგლებში მერყეობს. გამოკვლეული ნიადაგების სიღრმესთან ერთად ჰუთის შემცველობა მნიშვნელოვნად მცირდება.

შესწავლილი ნიადაგები ფუძეებით არამატლარ ნიადაგებს (იხ. ცხრ. 1.2) მიეკუთვნებიან. ნიადაგების პუმუსოვან პორიზონტში მნიშვნელოვნად სჭარბობს კალციუმის რაოდენობა, ხოლო ნიადაგის სიღრმესთან ერთად (გარდა ლაგოდების ნიადაგებისა) საგრძნობლად მაღალია წყალბადის იონის შემცველობა. მაგნიუმის შემცველობით გამოკვლეული ნიადაგები სუსტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მისი შემცველობა ცალკეული ნიადაგების პორიზონტებში თითქმის თანაბარია ან სუსტად იცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილია პავლოვნიას დარიბ ნიადაგებზე განვითარების შემთხვევები, კარგი ნიადაგური პირობები მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ფერმერულ მეურნეობებში წარმატებული გაშენებისთვის.


ჩვენს მიერ შესწავლილია ჩაქვში, სხვადასხვა ექსპოზიციაზე და ნიადაგურ პირობებში ერთი ხნოვანების პლანტაციაში პავლოვნიას სიმაღლეზე და მოცულობითი ზრდა, განსხვავება მეტად საგულისხმოა (იხ. ნახ. 1.2). ნახატიდან ჩანს, რომ სამოდელო ხე 1 (ჩაქვი 1) ტენიან და ღრმა ნიადაგებზე 6 წლის ხნოვანებაში სიმაღლეში 13 მ-მდე გაიზარდა, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია იგივე ხნოვანების სამოდელო 2-თან (ჩაქვი 2) რომელიც შედარებით მშრალ და ხირხატიან ნიადაგზე იზრდება.

ნახატი 1.2



მსგავსი სურათია მოცულობითი ზრდის თვალსაზრისითაც (იხ. ნახ. 1.3). 6 წლის ხნოვანებაში სამოდელო 1 (ჩაქვი 1) დეროს მოცულობამ შეადგინა  $0,18908 \text{ მ}^3$ , მაშინ როცა იგივე ხნოვანებაში სამოდელო 2 (ჩაქვი 2) დეროს მოცულობამ მხოლოდ  $0,038 \text{ მ}^3$ -შეადგინა.

ნახატი 1.3



ჩაქვის პლანტაციის იმ ნაწილში, სადაც პავლოვნიას ზრდა-განვითარება არადამაკმაყოფილებლად ხასიათდება (ჩაქვი 2), მოგვაქვს ჩვენს მიერ შესწავლილი ნიადაგის ჭრილის აღწერა:

A 0-12 სმ. – ყავისფერი, მკვრივი, თიხნარი, კაკლოვან-გოროხოვანი სტრუქტურის, მშრალი, აღინიშნება სხვადასხვა დიამეტრის ფესვები;

AB 12-25 სმ. – ღია ყავისფერი, მკვრივი, თიხნარი, მშრალი, ფესვები ცოტაა ვიდრე ზედა პორიზონტში;

BC 25-46 სმ. – მოყვითალო შეფერილობის, ზოგან შეიმჩნევა, მოწითალო-ყვითელი ლაქები, მშრალი, კარგადაა გამოხატული რკინისა და მარგანეცის ფხვიერი კონკრეციები.

მექანიკური შედგენილობის მიხედვით (იხ. ცხრ. 1.3) ნიადაგები მიეკუთვნებიან თიხნარ ნიადაგებს. პროფილში შეიმჩნევა ლექის

ფრაქციის გადაადგილება ზედა ჰორიზონტებიდან ქვედა ჰორიზონტებში, სადაც აპსკის სახით შემოფენილია ნიადაგის ცალკეულ ნაწილებზე.

გამოკვლეული ნიადაგების ზედა ჰორიზონტი მუვე რეაქციით ხასიათდება, რომელიც სიღრმის მატებასთან ერთად თანდათან მცირდება.

შთანთქმული კათიონების შემცველობით ჩაქვი 2-ის ნიადაგები შედარებით დარიბია. აქ აღინიშნება მეტი სიმშრალე, ვიდრე ჩაქვი 1-ის ნიადაგის ჭრილში. ნიადაგის სიმშრალემ, საკვები ელემენტების გადარეცხვამ ნიადაგის ზედაპირიდან ნალექების საშუალებით, ასევე ჰუმუსის დაბალმა შემცველობამ (2,2%-ზე ნაკლები), სხვა ეკოლოგიურ ფაქტორებთან ერთად ჩვენი აზრით მნიშვნელოვანწილად განაპირობა პავლოვნიას ზრდა-განვითარების მკვეთრი შეფერხება (ჩაქვი 2).


### ცხრილი 1.3

ჩაქვის პლანტაციაში შესწავლილი ნიადაგების მექანიკური  
შემადგენლობა

პლაზის ობიექტი	ჰორიზ. სიღრმე (სმ)	ნაწილაკების სიდიდე (მმ), ფრაქციის შემცველობა (%)						
		1-0,25	0,25- 0,05	0,05- 0,01	0,01- 0,005	0,005- 0,001	<0,001	<0,01
ჩაქვი 1	A0-14	2	5	26	13	20	24	67
	B14-35	1	6	25	11	33	24	68
	BC35-69	1	3	14	16	26	40	82
ჩაქვი 2	A0-12	5	16	14	15	28	22	65
	B12-25	3	13	15	12	32	25	69
	BC25-46	4	12	15	10	28	31	69


განსხვავებული ზრდა-განვითარებით ხასიათდება პავლოვნია ჩვენს მიერ შესწავლილი ლაგოდეხის და შუხუთის ნიადაგებზე (იხ. ნახ. 1.4), სადაც ერთგან (ლაგოდეხი) გვაქვს კარგად დრენირებული, სუსტი მჟავე რეაქციის ალუვიური ნიადაგები, ხოლო მეორეგან (შუხუთი) თიხა და თიხნარი მჟავე რეაქციის ნიადაგები.

ნახატი 1.4



ნახატებიდან 1.4; 1.5 ჩანს, რომ ტყეში პავლოვნია სიმაღლისა და მოცულობით ზრდის უკეთეს მაჩვენებლებს აღწევს ლაგოდეხის ნიადაგურ პირობებში, ვიდრე შუხუთის ტყის ნიადაგებზე.

ნახატი 1.5



ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩანს, რომ პავლოვნია გავრცელებულია და ნორმალური ზრდა-განვითარებით ხასიათდება, ალუვიურ კარგად დრენირებულ, სუსტი მუვე ან ნეიტრალური (pH 6-7) რეაქციის ნიადაგებზე. ასევე ნორმალურად ვითარდება თიხა და თიხნარ ნიადაგებზე შედარებით მაღალი მუვიანობით (pH 4,0-7,0).

ცუდად ან საერთოდ ვერ ვითარდება დაჭაობებულ და დამლაშებულ ნიადაგებზე, ასევე ცუდი ზრდა-განვითარებით ხასიათდება არიდულ (მშრალ) ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში.

ამრიგად გამოკვლეული ნიადაგების საველე და ლაბორატორიული ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მთლიანობაში ჩვენს მიერ შესწავლილი ნიადაგები ხასიათდებიან საკმაო სიღრმით პავლოვნიას ფესვთა სისტემის განვითარებისათვის. აქვთ კარგი მექანიკური შედეგნილობა, კარგი აერაცია და მისაღები ნიადაგის მუვიანობა, თუ არ ჩავთვლით გურიის რეგიონის ზოგიერთ ნაწილში, მიკრო ჩადაბლებებში დაჭაობებულ ნიადაგებს.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ პავლოვნია საქართველოში გავრცელებულია ნოტიო სუბტროპიკებიდან – ზომიერად მშრალი სუბტროპიკების ჩათვლით. ალუვიურ ან თიხნარ კარგად დრენირებულ სხვადასხვა სიღრმის ნიადაგებზე.

#### **1.4 საქართველოში პავლოვნიას ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის შედეგები ძირითადი არეალების მიხედვით**

პავლოვნიას არეალი შეიძლება დაიყოს ბუნებრივ და ხელოვნურ ნაწილად, რადგან ეს უკანასკნელი ადამიანის მიზანმიმართულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული.

ბუნებრივი არეალი გამოხატულია ჩინეთში, ასევე იაპონიასა და კორეაში, სადაც არსებული ცნობებით დაახლოებით ათასი წლის წინ, პირველად შეტანილი იქნა ჩინეთიდან ბუდისტი ბერების მიერ და

იმდენად კარგად შეეთვისა ადგილობრივ პირობებს, რომ მას ადგილობრივ სახეობადაც კი თვლიან. მის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ტრადიცია, რომელიც იაპონიაში ჩამოყალიბდა: როდესაც ოჯახში გოგო იბადებოდა მის სახელზე რგავდნენ პავლოვნიას ხეს, ხოლო როცა მისი გათხოვების საკითხი დადგებოდა ხეს ჭრიდნენ და მისი მერქნისაგან ამზადებდნენ ტვალების მაგიდას საქორწინო საჩუქრად. დღესაც პავლოვნიას ფოთოლი ნაყოფებით იაპონიის სახელმწიფო ემბლემაზე და ფულად ერთეულზე (500 იენზე) არის გამოსახული. იაპონიაში პავლოვნიას „კირი“-საც ეძახიან (Barton, Nicholas, Ecroyd, 2007).

ჩინეთში, გვარი პავლოვნია (*Paulownia Sieb.*) ფართო გავრცელებით ხასიათდება 32 პროვინციაში და მოქცეულია:  $20^{\circ}$ - $40^{\circ}$  (განედი), ხოლო 980-1250E (გრძედი) ფარგლებში. ჩრდილოეთიდან ის ვრცელდება სამხრეთ ლიაონინგამდე, ბეჯიინგამდე, ტაიანამდე, იანამდე და პინგლიანამდე; სამხრეთით: კვანგტუნამდე და კვანგსინამდე; აღმოსავლეთით: აღმოსავლეთ განზუმდე, ჩეშუანამდე და უნნანის უმეტეს რეგიონამდე (Xin-yu, Gao, 1986; Huaxin, 1996).

ჩინეთის სამხრეთ ნაწილში, მთიანი რეგიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში პავლოვნია ვრცელდება ზ.დ. თითქმის 2400 მ-მდე; დასავლეთ პონანის პროვინციაში, ვაკე და ბორცვიან ადგილებში ვრცელდება ზ.დ 1900 მ-მდე. ასევე გვხვდება მდინარე იანგზეს ტერასებზე, სადაც ქმნიან ფართოფოთლოვანი ტყის ფორმაციებს. აქ პავლოვნიას გავრცელების ქვედა დონე ზ.დ 400-500 მეტრია, სადაც პავლოვნია ვრცელდება ძირითადად მსუბუქ თიხნარ და ქვიშნარ (ალუვიურ) ნიადაგებზე, pH 4,5-8,5 ფარგლებში, საშუალო წლირი ნალექების რაოდენობა 500-1500 მმ-ია, ყველაზე დაბალი ტემპერატურა -  $20^{\circ}\text{C}$ , მაქსიმალური  $+40^{\circ}\text{C}$ , ხოლო საშუალო წლიური  $16-21^{\circ}\text{C}$ .

ყველაზე ცივი თვის (იანვარი) ტემპერატურა ზოგიერთ რაიონში -15 °C-მდე ეცემა (Shiu-ying, 1959, 1961; Jonson, 2000).

პავლოვნიას პირველადი ინტროდუქცია ქვეყნების უმრავლესობაში 1800-იანი წლებიდან იწყება. ამ პერიოდს უკავშირდება, მიზნობრივი ინტროდუქციის ფართოდ გაშლა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აღწერილია, რომ ამ დროს მცენარეთა ინტროდუქცია ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა, ეს იყო: დეკორატიული მებაღეობა, გამოყენებითი მებაღეობა და მეტყევეობა (Rayachhetry, Kirki, 1988; Bunvong, 1998; Suleiman, 2007; Barton, Nicholas, Ecroyd, 2007).

არსებული ცნობებით პავლოვნიას ინტროდუქციას იმ პერიოდისათვის მხოლოდ დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. მასშემდეგ, რაც ფართოდ ცნობილი გახდა მისი ძვირფასი მერქნული თვისებებისა და სწრაფი ზრდის შესახებ, აქტიურად განვითარდა ინტროდუქცია და გავრცელება სამრეწველო დანიშნულებით.

გამომდინარე აქედან პავლოვნიას ინტროდუქციიდან, შესაძლოა გამოვყოთ ორი მთავარი ეტაპი, თუ არ ჩავთვლით სტიქიური ინტროდუქციის პერიოდს, რომლის მიზანისა და დანიშნულების შესახებ ცნობები არაზუსტია, კერძოდ: პირველადი ინტროდუქცია, რომელის მთავარი დანიშნულება პავლოვნიას დეკორატიული მიზნით გამოყენება იყო და მეორე, ინტროდუქცია, რომლის მთავარი მიზანი იყო პავლოვნიას სამრეწველო მიზნით გამოყენება, რაც დღემდე გრძელდება.

მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს პავლოვნიას ინტროდუქციის შედეგები აშშ-ში, სადაც მისი შეტანიდან დღემდე, უმეტესად აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უკვე გაგარეულდა და ფართოფოთლოვანი ტყის კორომებშია წარმოდგენილი. აქ იგი გვხვდება შემდეგ ძირითადად სახეობებთან: წითელ ნეკერჩალთან (*Acer rubrum*), ამერიკულ თელადუმასთან (*Ulmus americana*), ცრუ-

აკაციასთან (*Robinia pseudoacacia*), ჭადართან (*Platanus occidentalis*) და ამერიკულ ცაცხვთან (*Tilia americana*) (Wilson, 1976; Krugman, 1990; Williams, 1993; Wunderlin, Hausen, 2003).

პავლოვნია აშშ-ში შეტანილია 1980-იანი წლებიდან და დღეს იგი გავრცელებულია 33 შტატში (Clatterbuck, Hodges, 1999) თავდაპირველად პავლოვნიას გავრცელებას აშშ-ში დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. აღწერილია, რომ როგორც მავნე აირების მიმართ მედეგი სახეობა, პირველად გააშენეს ქალაქებში, საავტომობილო გზების და რკინიგზის ხაზების გასწვრივ, შემდგომ გავრცელდა ტყის მასივებშიც (Langdon, Jonson, 1994; Dong, Buijtenen, 1994; Dhiman, 1997).

მოცემულიდან ჩანს, რომ აშშ-ში პავლოვნიას გავრცელების ხასიათი რამდენადმე ემთხვევა საქართველოსას, მასთან მზარდი მცენარეების სახეობრივი შემადგენლობაც მსგავსია. თუმცა აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საქართველოსაგან აშშ-ში პავლოვნია გარკვეულ ინვაზიური ხასიათს ავლენს, რისი გამოხატულებაც ტყის კორომში მისი გავრცელებაა.

#### ■ ინტროდუქცია-აკლიმატიზაცია საქართველოში

საქართველოში პავლოვნიას ინტროდუქცია უკავშირდება მეტყველების მიერთა მოძრაობის, რომელიც ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალში მცენარეთა ინტროდუქციის ფუძემდებლად ითვლება. არსებული მონაცემებით მან XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლაგოდების დენდროლოგიურ პარკში შემოიტანა მრავალი ეგზოტიკური და სუბტროპიკული სახეობა მათ შორის ბურძგლიანი პავლოვნიაც. შემდეგ მოხდა მისი გავრცელება ქვეყნის სხვა ტერიტორიებზეც (მამისაშვილი, 1960; ბალანჩივაძე, 1961; ნიკოლაიშვილი, 2002).

პროფ. ვ. მირზაშვილი (მირზაშვილი 1933) განიხილავს რა მცენარეთა ინტროდუქციას საქართველოს საგარეო ურთიერთობათა

ასპექტში, ასახელებს საქართველოში ინტროდუქციის ძირითად კერებს, რომლის მიხედვითაც პავლოვნიას ინტროდუქცია იაპონია-ჩინეთის კერას ეკუთვნის. ე.ი პავლოვნია საქართველოში შემოტანილია, მისი ბუნებრივი სამშობლოდან (არეალიდან).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში პავლოვნიას შემოტანის და გავრცელების ისტორიაში შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი:

- **პირველი ეტაპი** – პავლოვნიას ინტროდუქციის საწყისი პერიოდი (მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარი), როდესაც პავლოვნიას ნარგაობებს მხოლოდ საცდელი, დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. ამ პერიოდს უკავშირდება ამჟამინდელ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე და დასავლეთის ზოგიერთ რაიონში ერთეული სახით მისი გავრცელება.
- **მეორე ეტაპი** – მე-XX საუკუნის 50-იანი წლები, როდესაც ფართოდ გაიშალა მიზნობრივი ინტროდუქციის თემა და ამ მიზნით სამთავრობო დონეზე სპეციალური სამეცნიერო-საექსპედიციო კომისიებიც კი იქმნებოდა. ამ ამ პერიოდს უკავშირებენ ინტროდუქციის ე.წ კერების ჩამოყალიბებას, რის მიხედვითაც საქართველოში პავლოვნიის ინტროდუქციის კერად ითვლება იაპონია-ჩინეთი. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მოხდა ზოგიერთი სახეობის მიზნობრივი-სამრეწველო დანიშნულებით გავრცელება (კორპის მუხის, აკაციის, ბამბუკის და სხვა), პავლოვნიამ მაინც ვერ პოვა სათანადო მხარდაჭერა, მისი მრავალმხრივი დირსების მიუხედავად.
- **მესამე ეტაპი** – უკავშირდება ჩვენს უახლეს ისტორიას, როდესაც მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე პავლოვნიას გაშენება-გავრცელებას, მათ შორის სამრეწველო დანიშნულებით, საფუძველი ჩაუყარა პროფ. კანდელაკის

ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულმა კონკრეტულმა პროექტებმა ამ მიმართულებით (კანდელაკი, 2004).

აღნიშნულის თანახმად, საუკუნეზე მეტი წესი წინ ჩვენს ქვეყანაში პავლოვნიას ინტროდუქციის მთავარი დანიშნულება მისი დეკორატიული მხარე იყო. თუმცა დღეს უკვე, პავლოვნიამ ქართულ საზოგადოებაშიც გამოიწვია მზარდი დაინტერესება, სამრეწველო პლანტაციებში გაშენების მიზნით, რამაც აქტუალური გახდა მისი აკლიმატიზაციის შესწავლა-შეფასება: ინტროდუქციის მიზნობრივად განხორციელებისა და სწორი აგროტექნიკის დამუშავების თვალსაზრისით.

მასშემდეგ, რაც მცენარეთა მიზნობრივი ინტროდუქციია ემყარება მეცნიერულ საფუძვლებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის აკლიმატიზაცია-ადაპტაციის შესწავლას და შეფასებას, კონკრეტულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ინტენსიურად გამოიყენება ცნებები “ინტროდუქციის შეფასება”, “აკლიმატიზაციის შეფასება”, “ინტროდუქციული პროგნოზი”, “ინტროდუქციული მდგრადობა” და სხვა. სწორედ ინტროდუქციული პროგნოზი გულისხმობს – ახალ პირობებში მცენარეთა გადატანა-გავრცელების შესაძლებლობის შეფასებას. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი ამ მხრივ მიზნობრივი დონისძიებების გატარების დაწყება (Лапин, 1972; Некрасов, 1980; Елисафенко, 2009).

მეცნიერებაში ასევე ცნობილია ტერმინი „ნატურალიზაცია“ რითაც ფასდება მცენარეთა შეგუების ხასიათი გარემო პირობებთან, იმ შემთხვევაში თუ მცენარის ინტროდუქცია ხდება ანალოგიურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში. აღნიშნული მიდგომა ნაკლებად გამოყენებადია პრაქტიკაში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბუნებაში ორი იდენტური გარემო ფაქტობრივად არ არსებობს. მცირედი

გამონაკლისის გარდა, კერძოდ: ნატურალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანია მცენარის თვისების დასადგენად, ინტროდუქციის შემდეგ რამდენად აქვს უნარი გასცდეს ძირითადი გავრცელების ფარგლებს, ან უფრო მეტიც გახდეს აქტიური მონაწილე სახეობათა ცვლის პროცესისა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცენარეთა აკლიმატიზაციის საკითხებზე არაერთი მკვლევარი მუშაობდა და ამ მხრივ შესაბამისი შრომებიც არსებობს, პავლოვნიას საქართველოში აკლიმატიზაციის საკითხი დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი, ისევე, როგორც სხვა მნიშვნელოვანი საკითხი ამ სახეობასთან დაკავშირებით.

პირველად ჩვენს მიერ, ძირითადად ლაგოდებში საუკუნე ნახევრის წინ და გურიის რეგიონში ინტროდუცირებული სახეობების გენერაციების შესწავლით გაანალიზდა და შეფასდა საქართველოში პავლოვნიას აკლიმატიზაცია-ადაპტაცია.

მცენარეთა აკლიმატიზაცია-ადაპტაციის შეფასებისათვის, გამოიყენება შედარებითი (შეფასებითი) სკალები და ცხრილები. ცნობილია, რომ აკლიმატიზაციის წარმატებულობის შეფასების პირველი სკალები ეკუთვნის ე. ვოლფს (Wolf, 1929), რომლიც ითვალისწინებდა მცენარეთა გამძლეობას ზამთრის პირობებში. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია (ყინვაგამძლეობა) აკლიმატიზაციის შეფასებისას. მას შემდეგ არაერთი მეცნიერის მიერ დამუშავდა შესაბამისი სკალები, მათ შორის ქართველი მკვლევარის ვ. მირზაშვილის მიერ, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია ო. ვასილევის დასავლეთ საქართველოს პირობებში შემოტანილ მცენარეთა აკლიმატიზაციის სკალა და სხვა.

ნებისმიერ შემთხვევაში მოცემული სკალები არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურ მოდელად და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას სახეობის ბიოეკოლოგიის და ადგილსაარსებო პირობების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენს მიერ საბაზისო შეფასების სკალებად გამოყენებულ იქნა ძირითადად ვ. მირზაშვილის და ი. ბარეცკის „აკლიმატიზაციის”, ტ. სოკოლოვას „ყინვაგამძლეობის” და გვალვაგამძლეობის” სკალები.

აკლიმატიზაციის შესაფასებლად გამოყოფილ იქნა 17 ძირითადი კრიტერიუმი, რომლებიც ერთიანდება 2 ჯგუფად: ფენორიომის და რეგენერაციის (გამრავლების) მაჩვენებლები და ბუნებრივ გარემოში სიცოცხლისუნარიანობა.

ფენორიომის და რეგენერაციის (გამრავლების) შეფასებისას, გამოყენებულია მცენარის ყვავილობის და თესლმსხმოიარობის შესაძლებლობა; გამრავლების შეფასების მიზნით მხედველობაში იქნა მიღებული ნაყოფიერობის პროცენტი, თესლების აღმოცენებისუნარიანობა და მისი შენარჩუნება შენახვის პირობებში, აღმოცენების პროცენტი, ასევე თვითმოთესვის და ვეგეტატიური გამრავლების უნარი, სასათბურე პირობებში აღმოცენების მაჩვენებელი და სხვა;

სახეობის სიცოცხლისუნარიანობის დახასიათებისას გამოყოფილია შემდეგი ძირითადი ნიშნები: სახეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ნატურალიზაციის უნარი (გავრცელების ფარგლებს გაცდენის შესაძლებლობა, თესლით ან ვეგეტატიური გამრავლების ხარჯზე); დაავადებებისა და მავნებლებისადმი მედეგობა; გვალვა და ყინვაგამძლეობა; ნიადაგის პირობების გაუარესების მიმართ ამტანობა და სხვა.

თითოეულ კრიტერიუმს გაუკეთდა შეფასება 1,2,3 ბალიანი სისტემით. აკლიმატიზაციისა და ადაპტაციის შეფასება, ბალების

დაჯამების საფუძველზე, შეიძლება იყოს: პერსპექტიული (აკლიმატიზირებული 34-51 ბალი), საშუალოდ პერსპექტიული (23-33 ბალი) და არაპერსპექტიული (არააკლიმატიზირებული 17-22 ბალი). პავლოვნიას აკლიმატიზაცია-ადაპტაციის შეფასებისათვის დამუშავებულმა სკალამ მიიღო შემდეგი სახე (იხ. ცხრ. 1.4).

#### ცხრილი 1.4

#### პავლოვნიას ადაპტაციის და აკლიმატიზაციის სკალა

კრიტერიუმი (განვითარების ეტაპები)	ბალი		
	1	2	3
<b>ფენორიტი და რეგენერაცია</b>			
ყვავილობა	არ გააჩნია	მოკლევადიანი	ხანგრძლივი
ნაყოფიერობის პერიოდულობა (მეწლეობა)	რეგულარული	იშვიათი	არ გააჩნია
თესლმსხმოიარობა	არასტაბილური (წლების მიხედვით)	უმნიშვნელოდ იცვლება (წლების მიხედვით)	შტაბილური
ყვავილობის-თესლმსხმოიარობის %*	დაბალი	საშუალო	მაღალი
აღმოცენებისუნარინი თესლის %*	დაბალი	საშუალო	მაღალი
ლია გრუნტზე აღმოცენების %*	დაბალი	საშუალო	მაღალი
სასათბურე პირობებში აღმოცენების %	დაბალი	საშუალო	მაღალი
თვითმოთესვა ან გეგეტატიურად გამრავლება	არ გააჩნია	სუსტი გეგეტაციის უნარი	ძლიერი თვითმოთესვა და გეგეტაციის უნარი
რეგენერაციის წინა პერიოდში სახეობის დაღუპვის %*	მაღალი	საშუალო	აბალი
თესლების აღმოცენების უნარიანობა შენახვის პირობებში	1 წელზე ნაკლები	4 წლამდე	4 წელზე მეტი
<b>სიცოცხლისუნარიანობა ბუნებრივ გარემოში</b>			
სახეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა	1 სავეგეტაციო პერიოდი	2-5 წელი	დიდისასიცოცხლო ციკლი
ნატურალიზაციის უნარიანობა	არ შეუძლია	უმნიშვნელო მიღრაცია	სარეველა ხასიათი
ბუნებრივ გარემოში გამრავლების ხერხები	ლაბორატორიულ-სასათბურე მეთოდით	თესვა დია ფართობზე	თვითგანახლება

1	2	3	4
მავნებლებისა და დაავადების მიმართ მედეგობა	ყოველწლიური მასიური დაზიანებები	მცირედ ზიანდება	არ ზიანდება
გგალვაგამძლეობა	მორწყვა სავალდებულოა	სასურველია მორწყვა	არ არის აუცილებელი
ყინვა და ზამთარგამძლეობა	ყოველწლიური მასიური დაზიანებები	მცირედი დაზიანებები	არ ზიანდება
ნიადაგური პირობების გაუარესების მიმართ გამძლეობა	ფესვების ნიადაგის ზედა ნაწილში არსებობა იწვევს დაღუპვას	საჭიროებს მულჩირებას 1-4 წელიწადს	არ ზიანდება

შენიშვნა: „\*“, მაღალი მაჩვენებელი ფასდება 50%-ით, საშუალო 30-50%-ით, დაბალი 30%-მდე.

მოცემული სკალის (იხ. ცხრ. 1.4) მიხედვით პავლოვნიას აკლიმატიზაცია-ადაპტაციის შეფასებამ მოგვცა შემდეგი მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 1.5).

შედეგის მიხედვით (იხ. ცხრ. 1.5) საქართველოში პავლოვნია უნდა ჩავთვალოთ აკლიმატიზირებულ სახეობად, ე.ი პერსპექტიულ სახეობად. თუმცა მის ე.წ პერსპექტიულობას გააჩნია კონკრეტული მიმართულებები, რასაც ნათლად დავინახავთ ცალკეული კრიტერიუმის განხილვისას, კერძოდ: ლია გრუნტზე პავლოვნიას თესლის აღმოცენების პროცენტი ძალზედ დაბალია (9-12%), მაშინ, როდესაც სასათბურე პირობებში ეს მაჩვენებელი თითქმის 98%-ს აღწევს (იხ. თავი 3.1), შესაბამისად მისი გამრავლება ლია ფართობზე შესაძლებელია ძირითადად თესლნერგების გამოყენებით. ასევე საგულისხმოა, რომ იგივე მიზეზით ბუნებრივად ტყეში არ ვრცელდება უსისტემოდ, რისი დასტურიც არის ის, რომ საუკუნეზე მეტი ხნის პერიოდში (ლაგოდეხი) იგი მხოლოდ მცირედით გაცდა ძირითადი გავრცელების ადგილს, ანუ მისი ნატურალიზაციის მაჩვენებელი დაბალია. სუსტია ყინვაგამძლეობის და ნიადაგური პირობების გაუარესების მიმართ მედეგობის თვალსაზრისითაც, მას პირველი წლის ნაზარდი შესაძლებელია მოეყინოს ზამთრის ან გვიანა ყინვების

პერიოდში, თუმცა ინარჩუნებს ამონაყრის უნარს მომავალი სავეგეტაციო პერიოდისათვის.

ცხრილი 1.5

პავლოვნიას აკლიმატიზაცია-ადაპტაციის შეფასების მაჩვენებლები

პრიტერიუმი (განვითარების ეტაპები)	შეფასება (ქულა)
ყვავილობა	3
ნაყოფიერობის პერიოდულობა (მეწლეობა)	3
თესლმსხმოიარობა	2
ყვავილობის-თესლმსხმოიარობის %*	3
თესლის აღმოცენების %*	3
ღია გრუნტზე აღმოცენების %*	1
სასათბურე პირობებში აღმოცენების %	3
თვითმოთესვა ან ვეგეტატიურად გამრავლება	2
რეგენერაციის წინა პერიოდში სახეობის დაღუპვის %*	2
თესლების აღმოცენების უნარიანობა ხანგრძლივი შენახვის პირობებში	2
სახეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა	3
ნატურალიზაციის უნარიანობა (შეჭრა ადგილობრივ კორომებში)	2
ბუნებრივ გარემოში გამრავლების ხერხები	1
მავნებლებისა და დაავადების მიმართ მედეგობა	2
გვალვაგამძლეობა	2
ყინვა და ზამთარგამძლეობა	2
ნიადაგური პირობების გაუარესების მიმართ გამძლეობა	1
სულ ქულა	37

რაც შეეხება მის ფენოლოგიას ყვავილობს საკმაოდ ხანგრძლივად, ერთი თვის პერიოდში 26-04-დან 22-05-მდე, ნაყოფიერობს ყოველწლიურად (მას ე.წ მეწლეობა ნაკლებად ახასითებს), მოაქვს აღმოცენებისუნარიანი თესლი, თუმაცა, როგორც აღვნიშნეთ ბუნებრივ პირობებში მისი აღმოცენების უნარი ძალზედ დაბალია. საერთოდ მისი სავეგეტაციო პერიოდი იწყება ძირითადად მარტის თვიდან და მთავრდება ნოემბრის პირველ ნახევარში.

პავლოვნიას წარმატებული აკლიმატიზაცია საქართველოში, იძლევა მისი ძირითადი სახეობების მიზნობრივი ინტროდუქციის, ფართოდ გავრცელების და გამოყენების საშუალებას.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით მისი ინტროდუქცია და გაშენება მიზანშეწონილია ძირითადად ქვეყნის ზომიერად ტენიან, სუბტროპიკულ ზონებში.

#### ■ გეოგრაფიული გაადგილება საქართველოში

საქართველოში პავლოვნიას გეოგრაფიული გავრცელება პირველად შესწავლილია ჩვენს მიერ, როგორც საველა კვლევითი სამუშაოების შესრულებით, ასევე არსებული სამეცნიერო-ლიტერატურული მასალების მიხედვით. ზ.დ სიმაღლის, ასევე გეოგრაფიული კოორდინატების დაფიქსირება მოხდა მოწყობილობა GPS-ის (Global Positioning System) გამოყენებით (არეალის ზ.დ სიმაღლის კოორდინატების აღება ხდებოდა პავლოვნიას ძირითად კერებში), ასევე გამოყენებულ იქნა პროგრამა Arc GIS-ი. კლიმატური პირობების აღწერა ცალკეული რეგიონების მიხედვით, განხორციელდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიურ ფონდებში დაცული მასალების შესწავლის საფუძველზე.

ცნობილია, რომ მცენარეები ბუნებაში გვხვდება ველურ და ხელოვნურ მდგომარეობაში. პავლოვნიას გავრცელება საქართველოში უნდა მივაკუთვნოთ ხელოვნურს, ვინაიდან იგი ინტროდუცირებული სახეობაა, რაც დაკავშირებულია ადამიანის მიზანმიმართულ მოქმედებასთან. ამასთან მის გავრცელებას არ მიუღია მასობრივი ხასიათი და მხოლოდ მცირედით გასცდა გავრცელების თავდაპირველ საზღვრებს.

პავლოვნია თავისი ბიოეკოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში გვხვდება ძირითადად საშუალო და

ზომიერად ტენიან კლიმატურ-ნიადაგურ პირობებში, ზ.დ 20 მ-დან 850 მ-მდე სიმაღლეზე, ვაკეებზე ან მთაგორიან რელიეფზე ძირითადად მდინარისპირა ჩადაბლებებში (ღელებში), ერთეულად საკარმიდამო ნაკვეთებზე, ასევე ბოლო 7 წლის მანძილზე გაშენებული მცირე პლანტაციების სახით.

აღმოსავლეთ საქართველოში პავლოვნია ბუნებრივად გვხვდება ძირითადად ლაგოდების რაიონში, ლაგოდების დაცული ტერიტორიის, აღგვეთილის ტერიტორიაზე ზ.დ 430 მეტრზე. სამხრეთ-აღმოსავლეთი ექსპოზიციის ქვედა მდინარისპირა ტერასებზე, ალუვიურ ნიადაგებზე; აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია ზომიერად ნოტიო ჰავის დიაპაზონში, რომელიც ხასიათდება ზომიერად თბილი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით, სადაც საშ. წლიური ტემპერატურა  $12-12,6^{\circ}\text{C}$ -ია, ნალექების საშ. წლიური რაოდენობა 1080 მმ-ს შეადგენს, ხოლო ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა 72%-ს.

აქ პავლოვნიასთან ერთად წარმოდგენილია მდ. ლაგოდებისწყალის ჭალის ფართოფოთლოვანი ტყის სახეობები: მურყანი (*Alnus barbata*), დიადი ბოყვი (*Acer welutinum*), ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), ტირიფი (*Salix alba*) და სხვა.

ლაგოდების რაიონში და თვით ქ. ლაგოდებში ( $X-41^{\circ}48'18$ ;  $Y-46^{\circ}10'34$ ), პავლოვნია გვხვდება ერთეული (დეკორატიული მიზნით), მცირე ჯგუფების, ან მცირე პლანტაციების სახით. ქ. ლაგოდების სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფლებში – ჩადუნიანში, ბოლოკიანსა და შრომაში ძირითადად გავრცელებულია მცირე პლანტაციების სახით, ზ.დ 430-250 მ-ზე. ლაგოდებში, სოფ. ჩადუნიანსა და ბოლოკიანში მოწყობილია მცირე სანერგე მეურნეობები.

ლაგოდების რაიონის სამხრეთ-დასავლეთით, წნორის რაიონის ტერიტორიაზე ( $X-41^{\circ}47'15$ ;  $Y-45^{\circ}47'18$ ) პავლოვნია მხოლოდ ფერმერულ მეურნეობაში მცირე პლანტაციის სახით გვხვდება. აქ იგი

წარმოდგენილია ზ.დ 300 მ-ზე. წნორის მიდამოებში ზოგან ნიადაგის დამლაშება და ზაფხულში ლაგოდებთან შედარებით არიდული კლიმატი გარკვეულწილად ხელისშემშლელი ფაქტორია პავლოვნიას ფართო გავრცელებისათვის.

პავლოვნია მდ. ალაზანის აუზის მარჯვენა მხარეს თელავის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ წინანდალის პარკში გვხვდება (X-41<sup>0</sup>54'08; Y-45<sup>0</sup>35'11), სადაც გავრცელებულია დეკორატიული მიზნით. აღსანიშნავია, რომ აქ იძლევა ბუნებრივ განახლებასაც და ვრცელდება ერთეულად ძირითადად მდ. კისისხევის ნაპირებზე ზ.დ 750 მ-ზე. აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია ზომიერად ნოტიო ჰავის დიაპაზონში, რომელიც ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით, სადაც საშ. წლიური ტენიანობა 765-770 მმ-ია, ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა 70%; ტემპერატურული მაქსიმუმი +38°C., მინიმუმ -23°C., ხოლო საშ. წლიური +12,1-+13 °C. ბოლო პერიოდში, თელავის რაიონში გაშენდა სამრეწველო პლანტაციები მცირე ფართობებზე.

კახეთის რეგიონში პავლოვნია გურჯაანის რაიონის ტერიტორიაზეც გვხვდება (X-45<sup>0</sup>47'15; Y-45<sup>0</sup>58'51). აქ იგი წარმოდგენილია მცირე მიზნობრივი პლანტაციების სახით ზ.დ 415 მ სიმაღლეზე, ძირითადად მდ. ალაზანის მარცხენა სანაპიროს სოფლების – ვაზისუბნის და ჩუმლაყის აღმოსავლეთ ნაწილში სოფ. ლელიანის მიდამოებში. სოფ. ვაზისუბნის არის მცირე, კერძო სანერგე მეურნეობაც. აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია საკმაოდ ნოტიო ჰავის დიაპაზონში, სადაც საშ. წლიური ნალექები 741-814 მმ-ია, ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა 72%, ტემპერატურული მაქსიმუმი +38 °C, მინიმუმი -22°C., ხოლო საშ. წლიური ტემპერატურა +11-+12,4 °C-ია. აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში - შიდა ქართლის ტერიტორიაზე პავლოვნია გავრცელებულია ძირითადად მცირე

პლანტაციური ნარგაობების სახით და ერთეულად დეკორატიული მიზნით. აქ იგი ბუნებრივად არ ვრცელდება რასაც ჩვენი აზრით დიდწილად განაპირობებს არსებული კლიმატური პირობები, აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია მშრალი სუბტროპიკული, სტეპური ჰავის დიაპაზონში და ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, სადაც ტემპერატურული მაქსიმუმია  $+39^{\circ}\text{C}$ , მინიმ.  $-29^{\circ}\text{C}$ , ხოლო საშ. წლიური  $+11,4+13^{\circ}\text{C}$ . საშ. წლიური ნალექები 590-600 მმ; ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა 60-65%-ია. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ ჩვენს მიერ საგურამოს ტერიტორიაზე ნახულ იქნა პავლოვნიას ძველი გადანაჭერი ძირი, რაც ამ ადგილზე წარსულში მის გავრცელებაზე მიუთითებს, მიუხედავად ამისა მას ბუნებრივი განახლება არ მოუცია.

დასავლეთ საქართველოში პავლოვნიას არეალი მოიცავს ძირითადად – გურიის, აჭარის და სამეგრელოს რეგიონების ტერიტორიებს. ერთეული ან მცირე ჯგუფების სახით გავრცელებულია ასევე ხარაგაულის, ტყიბულის და წყალტუბოს ტერიტორიებზე.

აჭარის ტერიტორიაზე პავლოვნია გვხვდება ძირითადად მცირე პლანტაციური ნარგაობების სახით და ერთეულად დეკორატიული მიზნით (ბათუმის ბოტანიკური ბაღი). მცირე პლანტაციები განლაგებულია ჩაქვში ( $X-41^{\circ}43'41$ ;  $Y-41^{\circ}45'02$ ) და ხელვაჩაურის რაიონის, სოფ. აგარას ტერიტორიაზე ( $X41^{\circ}43'35$ ;  $Y-41^{\circ}39'28$ ), ზ.დ 5 მ-დან 80 მ-დე სიმაღლეზე. ჩაქვის ტერიტორიაზე განვითარებულია ძირითადად წითელმიწა ნიადაგებზე. აღნიშნული ტერიტორიები მოქცეულია ჭარბად ნოტიო ჰავის დიაპაზონში, რომელიც ხასიათდება თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, სადაც საშ. წლიური ნალექების რაოდენობა 2621 მმ-დე აღწევს; ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა 74-78 %; ტემპერატურული მაქსიმუმი  $+40^{\circ}\text{C}$ ; აბსოლიტური მინიმუმი  $-9^{\circ}\text{C}$ ; ხოლო საშ. წლიური  $+14,1^{\circ}\text{C}$ -ია.

გურიის რეგიონის პრაქტიკულად სამივე - ლანჩუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის რაიონების ტერიტორიებზე ვხვდებით პავლოვნიას ზ.დ 40 მ-დან 200 მ-დე. აქ წარმოდგენილია, როგორც ტყის კორომში, სადაც იძლევა ბუნებრივ განახლებასაც (ერთეულად), ისე მცირე ნარგაობების სახით ფერმერულ მეურნეობებში, ასევე ერთეულად დეკორატიული მიზნით ძირითადად დასახლებულ პუნქტებში.

გურიის რეგიონის ტყეებში პავლოვნია წარმოდგენილია შემდეგ ძირითად სახეობებთან: წიფელა (*Facus orientalis*), აცაცია (*Robinia pseudoacacia*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), ბამბუკი (*Phyllostachys bambusoides*), ტუნგო (*Aleurites Forest*), ასევე მესამეული პერიოდიდან შემორჩენილი კოლხური და პირკანული წარმოშობის რელიეფზე სახეობებთან: ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), წაბლი (*Castania sativa*), კავკასიური ხურმა (*Diospyros lotus*), ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), რცხილა (*Carpinus caucasica*), წყავი (*Laurocerasus officinalis*) და სხვა.

აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია ნოტიო ჰავის დიაპაზონში, რომელიც ხასიათდება თბილი ზამთრით და გრილი ზაფხულით, სადაც საშ. წლიური ნალექები 1980 მმ; ტემპერატურული მაქსიმუმი  $+39^{\circ}\text{C}$ ., მინიმუმ  $-18^{\circ}\text{C}$ ., ხოლო საშ. წლიური  $+13+15^{\circ}\text{C}$ -ია. აქ განვითარებულია ძირითადად წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები.

ჩოხატაურის რაიონის ტერიტორიაზე ( $X-42^{\circ}01'45$ ;  $Y-42^{\circ}20'40''$ ), პავლოვნია ზ.დ 180-190 მ-დე გვხვდება. ჩოხატაურის ჩრდილო-დასავლეთით, ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციაზე, სოფლების: გორა-ბერეჟოვის, ფარცხმას და ჩერქნისწყაროს მიმდებარედ, როგორც ბუნებრივად ტყის კორომში, ისე მცირე პლანტაციური ნარგაობების სახით, ასევე ერთეული ეგზემპლარები მდ.

ბახვისწყალის ჩადაბლებებში, ჭალის ტყის სახეობებთან ერთად. სოფ. ფარცხმაში არსებობს მცირე სანერგე მეურნეობაც.

ოზურგეთის რაიონში (X-41<sup>0</sup>56'01; Y-41<sup>0</sup>56'40) პავლოვნია გვხვდება ზ.დ 80 მ-დან 120 მ-მდე, როგორც ბუნებრივად ტყის კორომში, ასევე მცირე პლანტაციების სახით და ერთეულად, სოფლების: ძიმითის, გურიანთას, ლიხაურის, ბაილეთის, მერიას და დ. ლაიოურის მიმდებარე ტერიტორიებზე. სოფ. გურიანთაში არის პავლოვნიას მცირე სანერგე მეურნეობა. სოფ. ძიმითში გაშენებულია სამრეწველო პლანტაცია დაახლოებით 30 ჰა. ფართობზე.

ლანჩხუთის რაიონის ტერიტორიაზე (X-42<sup>0</sup>03'53; Y-42<sup>0</sup>04'41), პავლოვნია ვრცელდება ზ.დ 20 დან 80 მ-მდე სიმაღლეზე. ძირითადად მთის ჩრდილო-დასავლეთ ექსპოზიციებზე, სოფლების – შუხუთის, განახლების, ჯუნეწერის, აკეთის, აცანას, მამათის, არჩეულის და ნიგოითის ტერიტორიებზე, ასევე ქ. ლანჩხუთში დეკორატიული მიწნით. აღნიშნულ ტერიტორიებზე პავლოვნია გვხვდება, როგორც ტყის კორომში, ასევე მცირე პლანტაციური ნარგაობების სახით. სოფ. შუხუთში მოწყობილია მცირე კერძო სანერგე.

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში პავლოვნიას ვხვდებით ძირითადად მარტვილის, წალენჯიხის ტერიტორიებზე, ასევე ერთეული ან მცირე ჯგუფების სახით ხობის და სამტრედიის რაიონებში. აღნიშნული ტეროტორიები მოქცეულია ჭარბად ნოტიო ჰავის დიაპაზონში, რომელიც ხასიათდება თბილი ზამრით და ცხელი ზაფხულით, სადაც საშ. წლიური ნალექები 1375-2100 მმ-ია; ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა 72-77%; ტემპერატურული მაქსიმუმი +41 °C; აბსოლიტური მინიმუმი -18-20 °C; ხოლო საშ. წლიური +14,4 °C.

მარტვილის რაიონში (X-42<sup>0</sup>25'44; Y-42<sup>0</sup>21'22) ვრცელდება ძირითადად ქ. მარტვილის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ნახუნაოს მიმდებარე ტყებში, ჩრდილო-დასავლეთი და დასავლეთის

ექსპოზიციებზე. ასევე სოფელ ჭყონის ტერიტორიაზე ერთეული სახით. სოფ. ნახუნაოს ტყეებში იგი იძლევა ბუნებრივ განახლებას და გავრცელებულია ზ.დ 200 მ.-მდე სიმაღლეზე ძირითადად ყვითელმიწა-წითელმიწა ნიადაგებზე. აქ პავლოვნია გვხვდება შერევით – წიფელთან, მუხასთან, რცხილასთან, ჯაგრცხილასთან, მურყანთან (ლელეებში); ქვეტყეში: თხილი, ჯონჯოლი, დიდგულა, კუნელი და სხვა.

წალენჯიხის ტეროტორიაზე პავლოვნია ვრცელდება ერთეულად ან მცირე ჯგუფების სახით, დ. ჯვარის, ხობის და სამტრედიის ტერიტორიებზე.

დ. ჯვართან ( $X-42^043'24$ ;  $Y-42^003'15$ ) პავლოვნია გვხვდება ტყის პირებეზე, საავტომობილო გზის გასწვრივ ზ.დ 230 მ. სიმაღლეზე. აქ იგი იძლევა ბუნებრივ განახლებასაც ერთეული სახით.

უფრო სამხრეთით წალენჯიხის ტერიტორიაზე ( $X-42^035'55$ ;  $Y-42^005'16$ ), პავლოვნია გავრცელებულია ზ.დ 225 მ. სიმაღლეზე, ძირითადად დასახლებულ პუნქტებში, საავტომობილო გზის პირებზე ერთეული ეგზემპლარები.

ხობის ტერიტორიაზე ( $X-42^017'08$ ;  $Y-41^050'18$ ) პავლოვნია გავრცელებულია ერთეულად დასახლებულ პუნქტებთან. აქ იგი გვხვდება ზ.დ 28 მ. სიმაღლეზე.

ხობიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, აბაშა-სამტრედიის ტერიტორიაზე ( $X-41^010'29$ ;  $Y-42^019'19$ ) პავლოვნია გვხვდება ზ.დ 25 მ. სიმაღლეზე. აქ იგი ვრცელდება ერთეულად და მცირე პლანტაციური ნარგაობების სახით დასახლებულ პუნქტებთან.

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში პავლოვნია გავრცელებულია ერთეულად ან მცირე პლანტაციური ნარგაობების, ასევე ზოგან ტყის კორომში ერთეულად ან იშვიათად მცირე ჯგუფების სახით, წყალტუბოს, ტყიბულის და ხარაგაულის რაიონების

ტერიტორიებზე. აღნიშნული ტერიტორიები მოქცეულია ძირითადად ზომიერად ნოტიო ჰავის დიაპაზონში, რომელიც ხასიათდება ზომიერად თბილი ზამთრით და შედარებით მშრალი ზაფხულით. მოცემულ ტერიტორიებზე საშ. წლიური ნალექები 1890 მმ; ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა 72%; ტემპერატურული მაქსიმუმი  $+38^{\circ}\text{C}$ ; აბსოლიტური მინიმუმ  $-27^{\circ}\text{C}$ ; ხოლო საშ. წლიური  $+12,2^{\circ}\text{C}$ -ია.

წყალტუბოს ტერიტორიაზე ( $X-42^{\circ}25'53$ ;  $Y-42^{\circ}50'29$ ) სოფლების ოფურჩეთის და აყულას მიმდებარედ გავრცელებულია ერთეულად, იშვიათად მცირე ჯგუფების სახით ტყის კორომის პერიფერიულ ნაწილებში და მცირე პლანტაციური ნარგაობების სახით დასახლებულ პუნქტებთან ზ.დ 128 მ. სიმაღლეზე. აყულაში მოწყობილია კერძო მცირე სანერგე.

წყალტუბოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, პავლოვნია გვევდება ერთეულად ტყის კორომის პერიფერიულ ნაწილში ტყიბულის რაიონის, სოფ. გურნას მიმდებარე ტერიტორიაზე ზ.დ 600 მ. სიმაღლეზე ( $X-42^{\circ}21'30$ ;  $Y-42^{\circ}39'29$ ).

პავლოვნია დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ხარაგაულის ტერიტორიაზე გვევდება ( $X-42^{\circ}04'19$ ;  $Y-43^{\circ}12'06$ ), სადაც წარმოგენილია ერთეულად, სატრანსპორტო გზის გასწვრივ ტყისა და მდინარის პირებზე ზ.დ 230 მ. სიმაღლეზე.

პავლოვნიას გავრცელების შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც სამრეწველო, ისე დეკორატიული მიზნით, ვინმე პაველ კოსენკოს მიერ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე ([www.geophoto.ru](http://www.geophoto.ru)).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პავლოვნია ქვეყნის დასავლეთ ნაწილში უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, ზღვის სუბტროპიკულ კლიმატის ნოტიო ოლქის ფარგლებში, როგორც ტყები ბუნებრივად, ისე სამრეწველო პლანტაციების სახით. ამასთან

ადსანიშნავია, რომ ზღვის სანაპირო ჭარბტენიან კლიმატურ-ნიადაგურ ნაწილში (კოლხეთის დაბლობი) იგი ერთეულად ან საერთოდ არ გვხვდება, რაც ჩვენი აზრით გამოწვეულია ჭარბტენიანობით.

ბუნებრივი ზონების მიხედვით პავლოვნია საქართველოს დასავლეთ ნაწილში გვხვდება, როგორც ნოტიო სუბტროპიკულ ნაწილში, ასევე ნაწილობრივ წარმოდგენილია მთის ზონაში (ხარაგაულის, ტყიბულის და წყალტუბოს ტერიტორიები). პავლოვნია მთის ზონაში ჩვენს მიერ ნახულია ხაიშის ტერიტორიაზეც, საკარმილამო ნაკვეთში რამოდენიმე ეგზემპლარი.

ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში პავლოვნია ძირითადად წარმოდგენილია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატური ოლქის ფარგლებში ლაგოდეხის, გურჯაანის და წინანდალის ტერიტორიებზე და შედარებით მშრალ სუბტროპიკების ნაწილში, სადაც წარმოდგენილია ერთეულად ან მცირე ჯგუფების სახით, რაც აიხსნება მშრალი კლიმატურ-ნიადაგური პირობებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ პავლოვნია ქვეყნის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში წარმოდგენილია ნოტიო სუბტროპიკებიდან – ზომიერად მშრალი სუბტროპიკების ჩათვლით.


## 1.5 საქართველოში გავრცელებული პერსპექტიული სახეობების დასაბუთება

პავლოვნიას გვარში (*Paulownia Sieb.*) შემავალი სახეობების რიცხვის შესახებ არსებული მონაცემები განსხვავებულია. ზოგიერთი ავტორი ასახელებს 7-9 სახეობას და რამოდენიმე ვარიაციას (Huixin 2007, Xin-yu 1986, Xian 1995, Flora of China 1998), სხვა მონაცემებით 15

სახეობაა გაერთიანებული (Johson 2000), ინტერნეტ ენციკლოპედიაში (Wikipedia) მოცემულია 17 სახეობა და სხვა.

ზემოთ დასახელებულ ავტორებზე დაყრდნობით მოგვაჭვს პავლოვნიას გვარში შემავალი ძირითადი სახეობების და მათი ვარიაციების დასახელებები (იხ. ნახ. 1.6).

ნახატი 1.6



ნახატი 1.6-დან ჩანს, რომ ყველაზე მეტი სახეობრივი ვარიაციით პ. ტომენტოზა (P. tomentosa) ხასიათდება (11 ვარიაცია), რაც მიუთითებს იმაზე, რომ იგი ყველაზე უფრო ადაპტირებადი სახეობაა განსხვავებულ კლიმატურ პირობებთან და ფართო გავრცელებით ხასიათდება. შემდეგ მოდის პ. ფორტუნეზე (P. fortune) 4 ვარიაციით, პ. კავაკამი (P. kawakamii) 3 ვარიაციით და პ. ტაივანეზა (P. taiwaniana)

1 ვარიაციით. რაც შეეხება სახეობებს: პ. ელონგატას (*P.eloncata*), პ. კატალპიფოლიას (*P. catalpifolia*) და პ. ფარგეზიის (*P. fargesii*) – მათი სახეობრივი ვარიაციების შესახებ მონაცემები ვერ იქნა მოძიებული. მოცემული სახეობრივი ვარიაციებიდან შედარებით ცნობილია და ფართო გავრცელებით ხასიათდება პ. ტომენტოზას (*P. tomentosa*) ვარიაციები: პ. ჯაპონიკა (*P. japonica*), პ. გრანდიფოლია (*P. crandifolia*) და პ. იმპერიალის (*P. imperialis*).

ჰავლოვნიას სახეობებისა და მათი ვარიაციების შესახებ განსხვავებული და დაუზუსტებელი ინფორმაცია ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მუდმივად ხდება სახეობრივი სელექცია და კლონირება, ამათუმ კლიმატურ პირობებისათვის უკეთ შემგუებელი და მაღალი სამრეწველო ეფექტიანობის მოცემი ჰიბრიდების მიღების მიზნით.

ჩინელი მკვლევარები (Xin-yu, Gao, 1986) გამოყოფენ მკვეთრ შიდასახეობრივ ვარიაციებს, რომლებიც განსხვავებულია მორფილოგიურ, ფიზიოლოგიურ და ბიოეკოლოგიურ მახასიათებლებით. ეს სხვაობა მათი აზრით გამოწვეულია მეტწილად პავლოვნიას ფართო გავრცელებით განსხვავებულ ნიდაგურ-კლიმატურ პირობებში, რაც განაპირობებს მის გენეტიკურ ცვალებადობას. რადგანაც არსებობს პავლოვნიას ბევრი სახეობა, მათი ჰიბრიდული გაუმჯობესების მიზნით შიდასახეობრივ შეჯვარების გზას არჩევენ.

აღსანიშნავია, ყველაზე გამოკვეთილი ჰიბრიდული სახეობა, რომელიც გამოიყვანეს აშშ-ში პ. ელონგატა კაროლინა (*P.elongata Carolina*), რომელიც მიიღეს პ. ელონგატასთან პ. ტომენტოზას და პ. ფორტუნეის შეჯვარების შედეგად. პ. ელონგატა კაროლინა (*P. elongata carolina*) არის ფოთლოვანი სახეობა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს 30 მ-მდე სიმაღლის, ქოლგისებრი ვარჯით. ტოტები უვითარდება ვერტიკალური მიმართულებით. დადასტურებულია, რომ მას გააჩნია

დეროს უფრო სწორი ფორმა, ვიდრე *P. tomentosa*-ს და უფრო სიცივისამტანია ვიდრე *P. fortunei*.

ცნობილია, რომ ახლადგამოყვანილი სახეობა იზრდება აშშ-ს ჩრდილოეთ ზონაში (6B, USDA ზონალური რუკის მიხედვით). *P. elongata* Carolina შედარებით გვალვაგამძლეა, ნორმალურად ვითარდება 100-150 მმ. საშუალო წლიური ნალექების პირობებში, დამატებით ირიგაციას მოითხოვს მხოლოდ ზრდის საწყის ეტაპზე (9-12 თვე).

აღნიშნული პიბრიდის მიღების ძირითადი მიზანი აშშ-ში სამხრეთის ფიჭვისა და ტყის სხვა სახეობების მისით ჩანაცვლებაა, რომლებიც ნაკლებ გამოსავლიანია პ. ელონგატა კაროლინასთან შედარებით, რომლის სამრეწველო ეფექტიანობა 8-10 ჯერ მეტია (Patent number: Plant 10,847, 1999).

მოგვაქვს საქართველოში გავრცელებული პავლოვნიას პერსპექტიული სახეობების (*P. elongata*, *P. fortunei*, *P. tomentosa*, *P. fargesii* და *P. catalpifolia*) დახასიათება, რომლთა ჩვენს მიერ ცალკე გამოყოფის ძირითადი საფუძველია ის, რომ ყველა მათგანმა გაიარა საქართველოში აკლიმატიზაციის პროცესი და ხასიათდებიან კარგი ზრდა-განვითარებით;

#### ▪ პავლოვნია ტომენტოზა – *Paulownia tomentosa*

იზრდება 20-25 მეტრამდე სიმაღლის ხედ, ფართო ქოლგისებრი ვარჯით. კანი მუქი ყავისფერი აქვს, განსაკუთრებით ახალგაზრდა ხის ტოტების კანი შესამჩნევად დაწინწკლულია. ფოთოლი გულისფორმისაა, სიგრძეში დაახლოებით 40 სმ. ფოთლის ორივე ზედაპირი დაფარულია ბუსუსებით, წვერო მახვილიანია.

ყვავილედი პირამიდალური ან ვიწრო კონუსურია, 50 სმ-მდე სიგრძის. 1-2 სანტიმეტრიან ყვავილის დეროზე განლაგებულია 3-4 ყვავილი. ჯამი ზედაპირულად ზარისებრია, დაახლოებით 1,5 სმ-იანი,

რომელიც გარედან დაფარულია ბუსუსებით. ყვავილის ძაბრისებრ-ზარისებრი გვირგვინი იასამნისფერია, 5-7 სმ. სიგრძის, 4,5 სმ-იანი მტვრიანებით. ბუტკო მტვრიანაზე მოკლეა (იხ. სურ. 1.7).

სათესლე კოლოფი ოვალური, 3-4,5 სმ-იანი, ხშირად დაფარულია წებოვანი ბუსუსებით, მასში მოთავსებულია ფრთიანი 2,5-4 მმ-იანი თესლები. ყვავილობს აპრილ-მაისში.

იზრდება ზ.დ 1800 მ-მდე სამშობლოში (ჩინეთი), საქართველოში 800-850 მ-მდე. შედარებით ყინვაგამძლეობით გამოირჩევა, უძლებს -20°C-მდე ტემპერატურას. საშუალო გვალვაგამძლეობით ხასიათდება, კარგად ვითარდება 500-2500 მმ. საშუალო წლიური ტენიანობის პირობებში. სითბოს და სინათლის მომთხოვნი სახეობაა, ვერ იტანს დაჩრდილვას, განსაკუთრებით მისი აღმონაცენი. ვითარდება უმეტესად ქვიშნარ ან დრენირებულ თიხნარ ნიადაგებზე, pH 5,0-8,5. საქართველოში პ. ტომენტოზა (*P. tomentosa*) აკლიმატიზირებული სახეობაა, და გვხვდება ძირითადად მდინარისპირა ფართოფოთლოვანი ტყის ფორმაციაში (Siebold, 1870; Xin-yu, Gao, 1986; Flora of China, 1998; აბაშიძე, 1962).

#### ▪ პავლოვნია ელონგატა – *Paulownia elongata*

მეორე სიდიდის ხეა, კონოსური ვარჯით. ფოთლები ოვალურ-გულისფორმისაა. ზემოდან დაფარულია ბუსუსებით, ქვემოდან შედარებით გლუვია. კიდემთლიანი ან არათანაბრად დაკუთხული, წვერი თანდათანობით მახვილდება ან გაშლილია.

ყვავილები პირამიდალური ან კონუსურია, დაახლოებით 30 სმ. სიგრძის, რომელზეც განლაგებულია 3-5 ყვავილი. ყვავილების ღერო 0,8-2,0 სმ. ყუნწების სიგრძისაა. ჯამი კონუსის ფორმისაა 1,6-2,0 სმ; ყვავილის გვირგვინი იასამნისფერი ან მოვარდისფრო-თეთრი,

ძაბრისებრ-ზარისებრია, დაფარულია ნაზი ბუსუსებით, შიგნითა ნაწილი გლუვია და გასდევს იასამნისფერი ხაზები (იხ. სურ. 1.8).

სათესლე კოლოფი კვერცხისებრ-ოვალურია, იშვიათად ოვალურ-ელიფსური 3.5-5,5 სმ., სადაც მოთავსებულია 4-5 მმ-იანი ფრთიანი თესლები. ყვავილობს აპრილ-მაისში. *Paulownia elongata*, შედარებით *Paulownia tomentosa*-თან ნაკლებად ყინვაგამძლეობით ხასიათდება, მას შეუძლია გაუძლოს  $-15^{\circ}\text{C}$ , იშვიათად  $-18^{\circ}\text{C}$  ტემპერატურას.

ცნობილია. ღომ პ. ელონგატა (*P. elongate*) ვეგეტაცია ამთავრებს ოქტომბრის თვეში, როდესაც ტემპერატურა  $+18^{\circ}\text{C}$ -ია. სინათლის მიმართ განსაკუთრებულ მოთხოვნილებას იჩენს, მისი სინათლის საკომპენსაციო წერტილია 2000 ლუქსი. ვითარდება ტენიან კარგად დრენირებულ ქვიშნარ და სუსტ თიხნარ ნიადაგებზე, pH 5,0-8,5. საქართველოში აღნიშნული სახეობაც აკლიმატიზირებულია და გავრცელებულია ძირითადად მცირე პლანტაციებში ზღ 650 მ-მდე (Siebold, 1870; Xin-yu, Gao, 1986; Flora of China, 1998; Huaxin, 2007).

#### ▪ პაგლოვნია ფორტუნეი – *Paulownia fortunei*

იზრდება 30 მ-მდე სიმაღლეში, აქვს კონუსური ვარჯი. ახალგაზრდა ყლორტები მოყვითალო ყავისფერია. ფოთოლი ოვალურ-გულისფორმისაა 20 სმ-მდე, 12-მდე სმ. ყუნწიო. ფოთლის ზედა მხარე დაფარულია ბუსუსებით, ქვედა მხარე გლუვია.

ყვავილები ვიწრო და გრძელია, ნახევრადცილინდრული, დაახლოებით 25 სმ., მასზე განლაგებულია 3-8 ყვავილი. ყვავილის გვირგვინი თეთრი, ლია იასამნისფერი, მილის ან ძაბრის ფორმისაა, 8-12 სმ. სიგრძით. გარედან დაფარულია ნაზი ბუსუსებით, მტვრიანა 3-3,5 სმ, გლუვი ან ბუსუსიანია (იხ. ნახ. 1.9).

სათესლე კოლოფი გლუვია, ზოგჯერ დაფარულია წებოვანი ბუსუსებით. მოგრძო-ელიფსურია 6-10 სმ. სიგრძით, მასში

მოთავსებულია 6-10 მმ. ფრთიანი თესლები. ყვავილობს შედარებით ადრე, მარტ-აპრილში. აღწერილია, რომ ჩინეთში იზრდება მთის ფერდობებზე, ვაკე ადგილებში, ასევე უნაყოფო ნიადაგებზე ზ.დ 2000 მ-დე (Flora of China, 1998).

საქართველოში მას ბუნებრივად ტყეში არ ვხვდებით, ძირითადად წარმოდგენილია მცირე პლანტაციებში ზ.დ 500 მ-მდე სიმაღლეზე. პ. ფორტუნეი ნაკლებად ყინვაგამძლეობით გამოირჩევა, აქვს უნარი გაუძლოს  $-5^0$ ,  $-10^0\text{C}$  ტემპერატურას. პავლოვნიას სხვა სახეობებისაგან განსხვავებით *Paulownia fortunei*-ს მეორადი კვირტების უმეტესობა არ არის დაფარული ზამთრის განმავლობაში, რაც მათი მოყინვის რისკს ზრდის. ვითარდება უმეტესად ქვიშნარ ან დრენირებულ თიხნარ ნიადაგებზე, pH 4,0-7,5 შემცველობით (Siebold, 1870; Xin-yu, Gao, 1986; Huaxin, 2007).

#### ▪ პავლოვნია ფარგეზი – *Paulownia fargesii*

20 მ-მდე სიმაღლის ხეა, კონუსური ვარჯით. ტოტები მოყავსიფრო-ნაცრისფერია, დაწინწკლული.

ფოთოლი ოვალურია ან ოვალურ-გულისფორმის, 20 სმ-ზე მეტი სიგრძის. კდემთლიანი, წვერო ვიწრო, მახვილია. ყვავილები ფართო კონუსურია, 3-5 ყვავილიანი. ყვავილის ყუნწი 1 სმ-ზე ნაკლები აქვს, ჯამი კონუსურია 2 სმ-მდე. 5,5-7,5 სმ. ყვავილის გვირგვინი თეთრია იასამნისფერი ზოლებით, ან სრულად იასამნისფერია. მტკრიანა 2-2,5 სმ, ბუტკო დაახლოებით 3 სმ.

სათესლე კოლოფი ელიფსურია ან ოვალურ-ელიფსური, 3-4 სმ. სიგრძის, მასში მოთავსებულია 5,6 მმ-იანი ფრთიანი თესლები. ყვავილობს აპრილ-მაისში. გამოირჩევა სუსტი ყინვაგამძლეობით პ. ფორტუნეის მსგავსად, აქვს უნარი გაუძლოს  $-5^0$ ,  $-10^0\text{C}$  ტემპერატურას.

საქართველოში ვხვდებით მხოლოდ პლანტაციებში ზღ 500 მ-მდე. კ. ფარგეზიი გამოირჩევა ასევე ნაკლები გვალვაგამძლეობით აღწერილ სახეობებთან შედარებით. მოითხოვს, როგორც ტენიან ნიადაგებს, ასევე ატმოსფერულ ტენიანობას. ვითარდება ჟმეტესად ქვიშნარ ან დრენირებულ თიხნარ, დამჟავებისკენ მიღრეკილ ნიადაგებზე pH 4,0-6,5 შემცველობით. იგი ჰელიოფიტი სახეობაა (Siebold, 1870; Xin-yu, Gao, 1986; Flora of China, 1998; Huaxin, 2007).

#### ■ პავლოვნია კატალპიფოლია – *Paulownia catalpifolia*

იზრდება 20 მ-ზე მაღალ ხედ, ღეროს სწორი ფორმით და დიდი ფართო ვარჯით. ინგითარებს ვიწრო და გრძელ ოვალურ-გულისფორმის ფოთლებს, რომელთა სიგრძე 2-ჯერ აღემატება მის სიგანეს. ფოთოლი კიდემთლიანი ან დაკუთხულია, წვერში წაწვეტებული.

ყვავილედი პირამიდული ან ვიწრო კონუსურია, სიგრძით 35 სმ-ზე ნაკლები. ყვავილედის ღეროს სიგრძე ყუნწის ზომისაა. ჯამი ზარისებრია, 2 სმ-ზე ნაკლები. ვიწრო მილის ან ძაბრისებრი ყვავილი დია იასამნისფერია, 7-8 სმ ისგრძით. შიდა ნაწილში ხშირი პატარა ლაქებით (იხ. სურ. 1.11).

სათესლე კოლოფი ელიფსურია, 4,5-5,5 სმ, მომწიფებამდე დაფარულია ბუსუსებით, მასში მოთავსებულია 3 მმ. ფრთიანი თესლები. ყვავილობს აპრილ-მაისში.

კ.კატალპიფოლია კ.ელონგატას მსგავსად ნაკლებად ყინვაგამძლეობით ხასიათდება, მას შეუძლია გაუძლოს -15°C ტემპერატურას. საკმაოდ მომთხოვნია ნიადაგის და ატმოსფერული ტენიანობის მიმართ. საქართველოში აღნიშული სახეობაც ბოლო 10 წლის განმავლობაშია შემოტანილი, ძირითადად პლანტაციებში

გაშენების მიზნით. (Siebold, 1870; Xin-yu, Gao, 1986; Flora of China, 1998, Huaxin, 2007).

ჩვენს მიერ გამოყოფილი სახეობების აღწერამ აჩვენა, რომ ძირითადი ბიოეკოლოგიური მახასიათებლების მსგავსების მიუხედავად, ცალკეული ნიშნების მიხედვით განასხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემული სახეობების ძირითად განმასხვავებელ ნიშნებად შეიძლება გამოვყოთ: ყვავილის ფორმა და ფერი; ნაყოფისა და ფოთოლის ფორმა და ზომა; ტემპერატურის მიმართ დამოკიდებულება (იხ. ცხრ. 1.6).

პავლოვნიას ცალკეული სახეობების ძირითად ბიოეკოლოგიურ მახასიათებლებს დიდი მნიშვნელობა აქვს, სახეობების შერჩევის დროს პლანტაციებში გამოყენების მიზნით, კონკრეტული პირობებისათვის.

გამოყოფილი სახეობები, ბიოეკოლოგიური მახასიათებლების მიხედვით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ ოლქში გავრცელდეს შემდეგნაირად: აღმოსავლეთ საქართველოს ზომიერად ტენიან ნაწილში (ლაგოდეხი, მდ. ალაზნის აუზი და სხვ), სადაც ადგილი აქვს დაბალ ტემპერატურებს, ასევე დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ნაწილთან შედარებით საშუალო წლიური ნალექების რაოდენობა ნაკლებია და ნიადაგის მჟავიანობა სუსტი ან ნეიტრალურია, შესაძლებელია რეკომენდაცია გაეწიოს შემდეგ სახეობებს: პ. ტომენტოზას (*P. tomentosa*), პ. კატალპიფოლიას (*P. catalpifolia*) და პ. ელონგატას (*P. elongate*), რომლებიც შედარებით პ. ფორტუნეისა და პ. ფარგეზისთან (*P. fortunei*, *P. fargesii*) მეტი ყინვაგამძლეობით გამირჩევიან (განსაკუთრებით *P. tomentosa*), ნაკლებ მოთხოვნილებას იჩენენ ნალექების მიმართ და უკეთ ვითარდებიან ნეიტრალურ ან სუსტად მჟავე ნიადაგებზე.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ნაწილის ნიადაგურ-კლიმატური პირობებში, სადაც ტემპერატურული ამპლიტუდა ნაკლებია,

ნალექების მეტი რაოდენობაა და ნიადაგი მუავე ან სუსტად მუავე რეაქციით ხასიათდება, იძლევა შესაძლებლობას პ. ფორტუნეისა და პ. ფარგეზის (*P. fortune*, *P. fargesii*) გაშენებისა. თუმცა ჩვენი დაკვირვებით, ამ შემთხვევაში ასევე ნორმალური ზრდა-განვითარებით ხასიათდებიან დანარჩენი სახეობებიც (*P. tomentosa*, *P. catalpifolia*, *P. elongate*). ჩანს, რომ გარკვეული შეზღუდვა სახეობების შერჩევის დროს, მაინც აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობებისთვის არსებობს.

ცხრილი 1.6

საქართველოშინ გავრცელებული პაკლოვნიას სახეობების ბიოეკოლოგიური და მორფომეტრული მახასიათებლები

სახეობა	სის სიმაღლე (მ)	ჰაერის ტემპერა ტურა		ნინეთი ალებაზი მდებარეობის სიმაღლე (მ)	ს.ზ.დ		ნიაღაგები		ყვავილედი		მდგრადი აღმდე ნების მდგრადი	ფოთოლი		ნაყოფი	
		გინ. (°C)	გაჭ. (°C)		ნინეთი	საქართველო ობის სტრუქტურა	H	გერი	ტემპ.	ფოთოლი		ფოთოლი	ფოთოლი	გაღმის გარე	გაღმის გარე
<b>P. tomentosa</b>	25	-20	+40	500- 1500	1500	850	ქვიშნარი, მსუბუქი თიხნარი	4,5- 8,5	იასამნისფ ერი	50	აპრილ -მაისი	ბულისებრი	40	ოვალ ური	3-4,5
<b>P. elongata</b>	20	-15	+40	600- 1500	1200	650	ქვიშნარი, მსუბუქი თიხნარი	4,5- 8,5	იასამნისფ ერი ან მოვარდის ფრო თეთრი	30	აპრილ -მაისი	ოვალურ- გულისებრი, არათანაბრა დ დაკუთხული		ოვალ ური	3,5-5,5
<b>P. fortunei</b>	30	-10	+40	1200- 2500	1100	500	ქვიშნარი, მსუბუქი თიხნარი	4,0- 7,5	თეთრი ან ღია იასამნისფ ერი	25	მარტი- აპრილ ი	ოვალურ- გულისებრი	20	ელიფ სური	6-10
<b>P. fargesii</b>	20	-10	+35	1200- 1900	2000	500	ქვიშნარი, საშუალო თიხნარი	4,0- 6,5	თეთრი, იასამნისფ ერი ზოლებით	25	აპრილ -მაისი	ოვალური, კიდემთლიან ი	25	ოვალ ურ- ელიფ სური	3-4
<b>P.catalpifolia</b>	25	-15	+38	700- 1300	800	500	ქვიშნარი, მსუბუქი თიხნარი	6,0- 8,0	ღია იასამნისფ ერი	35	აპრილ -მაისი	ოვალურ- გულისებრი, დაკუთხული		ელიფ სური	4,5-5,5



68b. 1.7 P. tomentosa



68b. 1.8 P. elongata



68b. 1.9 P. fortune



68b. 1.10 P. fargesii



68b. 1.11 P. catalpifolia

## II თავი.

### პაგლოვნიას შესაძლო ზემოქმედება ბუნებრივ ეკოსისტემებზე

ჩვენ მიერ საკითხის შესწავლა განაპირობა ბოლო პერიოდი საზოგადოებაში და მათ შორის მეცნიერების გარკვეულ ნაწილში ამ მცენარის მიმართ ჩამოყალიბებულმა ზოგადმა ნეგატიურ მიღებობამ ხშირ შემთხვევაში ყოველგვარი კვლევისა და დასაბუთების გარეშე, რაც გამოიხატა იმაში, რომ პაგლოვნია დასახელდა ხე მცენარეთა ჩამონათვალში, რომელთა გაშენებამ ქვეყნის ტერიტორიაზე შესაძლებელია ზიანი მოუტანოს ადგილობრივ ტყის ეკოსისტემებს.

აღსანიშნავია, რომ პაგლოვნიას როგორც მრავალ ეგზოტიკურ ხე მცენარეს, რომელთაგან ბევრი სახეობა საქართველოში გვხვდება მათ შორის პაგლოვნიასთან ერთად, მაგალითად: აილანთუსი (*Ailanthus altissima*), ლეგის ხე (*Acer platanoides*) ამერიკული ნეკერჩხალი (*Acer negundo*), ვერხვი (*Populus alba*), ოფი (*Populus nigra*), შავი მურყანი (*Alnus glutinosa*), ჩვეულებრივი ცხენისწაბლი (*Aesculus hippocastanum*), ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*), ჩვეულებრივი ფიჭვი (*Pinus silvestris*) და სხვა, გააჩნია ე.წ ინგაზიური ხასითი, თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყნის მხარეებზე, შესაბამის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე, ტყის სიხშირესა და შემადგენლობაზე და სხვა (Williams, 1983; Johnson, 1996).

საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი ავტორი (Frans-2007; Susan, 1992; James, 1990) აღნიშნავს, რომ პაგლოვნია (აქ ხაზგასმულია *P. tomentosa*) ნაკლებად ინგაზიურია ევროპაში ჩრდილოეთ ამერიკასთან შედარებით ან საერთოდ არ ავლენს ამ თვისებას. ავსტრალიაში (ტროპიკულ ზონაში) კი პაგლოვნია ითვლება, როგორც პოტენციურად ინგაზიური.

ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევები აშშ-ში 1980-იანი წლებიდან დაიწყო მასშემდეგ, რაც პავლოვნიამ გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი ევროპაში გავრცელების დინამიურად ზრდის გამო. მიუხედავად ცალკეული კვლევებისა ამ მიმართულებით, საერთოდ ძალზედ ცოტა ცნობები მოიპოვება სხვა ქვეყნებში მის ინვაზიურობის შესახებ. ამასთან აღნიშნული ხასითი ძალზედ განსხვავებულია შიდა სახეობების მიხედვითაც.

საქართველოს პირობებში პავლოვნიას ინვაზიურობის საკითხი პირველად ეჭვქვეშ დააყენა პროფ. კანდელაკმა, რომელიც აღნიშნავს, რომ პავლოვნია ვერავითარ კონკურენციას ვერ უწევს მასთან მზარდ ადგილობრივ სახეობებს და გავრცელებული მოსაზრება საფუძველს მოკლებულია (კანდელაკი 2004, 2008).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე იმისათვის, რომ განვიხილოთ (დავადასტუროთ, ან არ დავადასტუროთ) ამათუ იმ სახეობის ინვაზიურობის ხასიათი კონკრეტულ ქვეყნისათვის, გეოგრაფიული ოლქისათვის და სხვა, ჩვენი აზრით არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ რომელიმე ქვეყანაში ან გეოგრაფიულ ოლქში (თუნდაც ერთ გეოგრაფიულ კოორდინატებში იყოს მოქცეული) გავრცელების ხასითი. ამდენად ვთვლით, რომ საკითხის შესწავლა უნდა მოხდეს ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში და ამის საფუძველზე გაკეთდეს შესაბამისი დასკვნებიც.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე კვლევის ნაწილი პირველია ამ თვალსაზრისით, რაც ვფიქრობთ საინტერესო დასკვნების გაკეთების საფუძველი შეიძლება გახდეს.

საკითხის შესწავლა მოხდა სამი ძირითადი მიმართულებით:

- ნაყოფმსხმოიარობა და თესლის აღმოცენებისუნარიანობა ბუნებრივ გარემოში;

- ბუნებრივი განახლება ტყის ტიპების მიხედვით;
- გაგარეულების (ნატურალიზაცია) მაჩვენებლები ბუნებრივ გარემოში.

## 2.1 ნაყოფმსხმოიარობა და თესლის აღმოცენებისუნარიანობა ბუნებრივ გარემოში

ნაყოფმსხმოიარობა ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რომელზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ბუნებრივი განახლება.

სამეცნიერო პრაქტიკაში ცნობილია მოსავლიანობის აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდი. ჩვენს შემთხვევაში გამოყენებულ იქნა კაპერის მიერ დამუშავებული ნაყოფმსხმოიარობის თვალზომური შეფასების სკალა, ასევე ნ. ნესტოროვის სანიმუშო ტოტების შეჭრისა და ნაყოფთა დათვლის მეთოდი (ბრეგვაძე, 1963; ჩერქეზიშვილი, მეტრეველი, 2005).

სანიმუშო ტოტების შეჭრის მეთოდის მიხედვით, როგორც ტყეში, ისე პლანტაციაში 10 დან 20 მირამდე კარგად განვითარებული ხიდან თესლის დამწიფებამდე ერთ მეტრამდე სიგრძის რამოდენიმე მსხმოიარე ტოტს ვჭრიდით, ყველა მოჭრილი ტოტის საერთო სიგრძე იზომებოდა მეტრობით, შემდეგ ითვლებოდა ნაყოფების საერთო რაოდენობა და საბოლოოდ დგინდებოდა, თუ ტოტის ერთ გრძივ მეტრზე რამდენი თესლნაყოფია, რაც ითვლება მოსავლიანობის მაჩვენებლად.

შესწავლილ იქნა, როგორც ტყეში, სადაც ბუნებრივად ვრცელდება, ასევე პლანტაციაში მზარდი პავლოვნიას ნაყოფმსხმოიარობა. კვლევა მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში, ასევე შრომაში გამოყენებულია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის მეცნიერ თანამშრომლის მრავალწლიანი დაკვირვების მასალები (მამუკელაშვილი, 1970, 1986, 2009).

დადგინდა, რომ პავლოვნიას არ ახასიათებს ე.წ მეწლეობა და ნაყოფიერობს ყოველწლიურად თითქმის თანაბრად; ტყეში პავლოვნიას

ნაყოფმსემოიარობის მაჩვენებლები მცირედ განსხვავდება პლანტაციაში პავლოვნიას ნაყოფმსემოიარობის მაჩვენებლებისაგან, განსხვავება ასევე შეიმჩნევა სახეობებისა და ადგილსაარსებო გარემოს მიხედვით, თუმცა ყველა შემთხვევაში, როგორც თვალზომურად განსაზღვრისას, ასევე სანიმუშო მსემოიარე ტოტების მეთოდით გადამოწმების შედეგად თესლმსემოიარობა ფასდება, როგორც კარგი ან ძალზედ კარგი (იხ. ცხრ. 2.1)

ცხრილი 2.1-დან ჩანს, რომ ზოგადად ნაყოფმსემოიარობა კარგია მცირედი განსხვავებებით, კერძოდ: სახეობების მიხედვით ყველაზე უკეთ ნაყოფიერობს პ. ტომენტოზა (P.tomentosa) განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს პირობებში – პლანტაციაში, სადაც უკეთესი სასინათლო პირობებია, ტყესთან შედარებით.

## ცხრილი 2.1

პავლოვნიას ნაყოფმსემოიარობის შეფასების მაჩვენებლები  
სახეობებისა და ადგილსაარსებო პირობების მიხედვით

სახეობა	შესწავლის ადგილი/მოსავლიანობა ცალობით				მოსავლიანობის შეფასება			
	პლანტაციაში	ტყეში	პლანტაციაში	ტყეში	პლანტაციაში	ტყეში	პლანტაციაში	ტყეში
	აღმ. საქართველო (ლაგოდები)	დას. საქართველო (ჩაქვი; ძიშთი)	აღმ. საქართველო (ლაგოდები)	დას. საქართველო (გეგმით რიცხვითი)	აღმ. საქართველო (ლაგოდები)	დას. საქართველო (ჩაქვი; ძიშთი)	აღმ. საქართველო (ლაგოდები)	დას. საქართველო (გეგმით რიცხვითი)
P.tomentosa	41	52	38	43	კარგი	ძლიერ კარგი	კარგი	კარგი
P.elongata	31	36	–	–	კარგი	კარგი	–	–
P.fortunei	28	32	–	–	კარგი	კარგი	–	–
P.catalpifolia	–				კარგი	კარგი	–	–

ჩანს, რომ მთლიანობაში დასავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებში პავლოვნიას ყველა სახეობის ნაყოფმსხმოიარობა მცირედით, მაგრამ მაინც უკეთესი მაჩვენებლით ხასიათდება, ასეთივე ტენდენციაა პლანტაციაში და ტყეში მზარდი პავლოვნიას ნაყოფმსხმოიარობასთან დაკავშირებით, რაც ძირითადად სასინათლო პირობების განსხვავებით უნდა იყოს განპირობებული.

მიუხედავად აღნიშნული განსხვავებებისა მოსავლიანობის შეფასების სკალის მიხედვით მთლიანობაში ფასდება, როგორც „კარგი”, გარდა პ. ტომენტოზას ნაყოფმსხმოიარობის მაჩვენებლისა ჩაქვის პლანტაციაში, რომელიც ფასდება, როგორც „ძალზედ კარგი”.

ცხრილში არ გვაქვს მოცემული პ. ელონგატას, პ. ფორტუნეისა და პ. კატალპიფოლიას ოესლმსხმოიარობის მონაცემები ტყეში, ვინაიდან საქართველოში აღნიშნული სახეობები ტყეში, ბუნებრივად არ გვხვდება, როგორც ინტროდუქციის საკითხის განხილვისას ავღნიშნეთ ამ სახეობების საქართველოში შემოტანა მოხდა ბოლო ათი წლის განმავლობაში, მთლიანად პლანტაციებში გამოყენების მიზნით.

მოცემული მონაცემების მიხედვით და იმის გათვალისწინებით, რომ პავლოვნია ნაყოფიერობს ყოველწლიურად შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველწლიურად, განსაკუთრებით ტყის კორომში ხდება პავლოვნიას მილიონობით ოესლით მოთესვა, რამდენად პოვებს ასახვას აღმონაცენ-მოზარდის რაოდენობაზე ტყის სხვადასხვა ფორმაციაში, ჩანს ბუნებრივი განახლების კვლევის მონაცემებში.

## 2.2 ბუნებრივი განახლება ტყის ტიპების მიხედვით

ჩვენს მიერ ბუნებრივი განახლების შესწავლა შესაძლებელი გახდა ძირითადად ლაგოდების დაცულ ტერიტორიაზე, სადაც როგორც ცნობილია პავლოვნია პირველად 1870-იან წლებში იქნა შემოტანილი და მდინარისპირა გავაკებებზე და ზოგან ტყისპირა მიკროფალთაღებში

იძლევა განახლებას, ასევე გურიის რეგიონის ტერიტორიაზე და დაბა ჩაქვში.

აღმონაცენ-მოზარდის მდგომარეობა შესწავლილ იქნა მთელი რიგი სასიცოცხლო ნიშნების მიხედვით, კერძოდ: სიმაღლეზე ზრდა, ტოტებზე ფოთლების სიხშირე და ფერი, ლეროს ფორმა, სიმაღლე და სხვა. რის მიხედვითაც დავყავით სიცოცხლისუნარიანობის მიხედვით, საიმედო და უიმედო კატეგორიებად. მოზარდების მდგომარეობა ასევე დამუშავდა ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით.

განახლების (აღმინაცენ-მოზარდის რაოდენობა) შესწავლისათვის სანიმუშო ფართობები აღებულ იქნა აპრობირებული მეთოდით (თითოეული 0,25 ჰა. ფართობის). სანიმუშოების ფორმა ისაზღვრებოდა შესასწავლი ფართობის ნაირგვარობის შესაბამისად (ძირითადად ლენტისებური). აღმონაცენ-მოზარდის ზუსტი აღრიცხვა მოხდა სანიმუშო ფართობზე საადრიცხვო ბაქნების (2X2; 2X4 ფართობით) მაჩვენებლების მიხედვით. ხნოვანების განსაზღვრა ვაწარმოეთ ფესვისყელთან გადაჭრით და მასზე წლიური რგოლების ათვლით.

დამუშავებულ იქნა პავლოვნიასა და მასთან მზარდი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების (ტყის სხვადასხვა ტიპში) სიმაღლეზე ზრდა, რაც გამოვსახეთ გრაფიკულად. ბუნებრივი განახლების შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა ახალი, 1995 წელს გამოქვეყნებული შეფასების სკალა.

ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლება შესწავლილია ხნოვანებითი ჯგუფების მიხედვით, რადგან სწრაფმზარდი სახეობების სიმაღლეთა ჯგუფების მიხედვით შეფასება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

ჩვენი კვლევის ობიექტი, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ძირითადად მდინარისპირა ტერასებზე ზ.დ. 400 მ-დან 800 მ-დე. ტერასები აგებულია მეტწილად ქვიანი, ქვიშნარი ნაფენებით,

რომლებიც ზოგან გამდიდრებულია ალუვიური ჩამონადენით (მამისაშვილი, 1960; მამუკელაშვილი, 1986; ქვაჩაკიძე, 2002).

ჰავა აღნიშნულ სარტყელში ზომიერად ნოტიოა, იგი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით მნიშვნელოვნად უახლოვდება საქართველოს ზღვისპირეთის შესაბამის სიმაღლეებზე გაბატონებულ ჰავას. აქ ჰაერის საშ. წლიური ტემპერატურა  $+10,0^{\circ}\text{C}$   $+12,5^{\circ}\text{C}$ . ნალექების წლიური რაოდენობა 1000-1200 მმ. შეადგენს, ხოლო ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 72-75%-ია (ქვაჩაკიძე, 2002; თბილისკარის გიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი 1970).

კ. მამისაშვილის (მამისაშვილი 1960) აღწერით – ეს ტერასები დაფარულია ერთი მხრივ მთის ფერდობებისა და მეორე მხრივ, ტერასებისათვის დამახასიათებებლი მცენარეებით, რომელიც თავისი შემადგენლობით ახლოს დგას ალაზნის გაკის ტყების მცენარეულობასთან.

ამრიგად, ტყის ზონის ქვედა სარტყელი, რომელიც განლაგებულია ზ.დ 430-800 მ-მდე სიმაღლეზე, წარმოდგენილია შედგენილობის მხრივ ძლიერ მრავალფეროვანი კორომებით. ამ ტყებში უმეტესად ჭარბობს რცხილა (*C. caucasica*), შედარებით ტენიან დელებში და გავაკებებზე – მურყანი (*A. barbata*), ბოყვი (*A. welutinum*), ლაფანი (*P. fraxinifolia*), ტირიფი (*S. alba*), ასევე გვევდება პავლოვნია (*P. tomentosa*) და სხვა.

კლიმატის სუბტროპიკული ხასიათის გამო, აქ გვხვდება კოლხეთის მცენარეულობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: ლაფანი (*P. fraxinifolia*), ჩვეულებრივი წაბლი (*C. sativa*), დიადი ბოყვი (*A. welutinum*), ჯონჯოლი (*S. colchica*). ქვეტყებში წარმოდგენილია – ზღმარტლი (*M. germanica*), ჭანჭყატი (*E. europea*), შინდი (*C. mas*), შინდანწლა (*S. opizii*), დიდგულა (*S. nigra*), ლვედკეცი (*P. graeca*),

უცვეთელა (*P. caucasicus*), ასკილი (*R. canina*), მაყვალი (*R. caesius*) და სხვა (ლაჩაშვილი, მამუკელაშვილი, 1986; მამუკელაშვილი, 1970).

ლაგოდების დაცულ ტერიტორიაზე პავლოვნიას ბუნებრივი განახლება შევისწავლეთ შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების სხვადასხვა ტიპი, კერძოდ:

- ნეკერჩხლნარ-მურყნარ მაყვლიანი – Aceretum-Alnetum rubosum;
- ლაფნარ-მურყნარ ხახიანი – Pterocarieto-Alnetum pachyphragosum;
- თელნარ-მურყნარ გვიმრიანი – Ulmeto-Alnetum filicosum.

ფართოფოთლოვანი ტყეები ხასიათდება ძირითადად ხეების ერთი იარუსით, ხოლო მეორე იარუსში ვხვდებით დიდგულას, თხილს, შინდანწლას, კიდობანას და სხვა.

პირველი იარუსის სიხშირე აღწევს 0,5-0,7-0,8; ბონიტეტი – II, III; შემადგენლობა აღნიშნულ ტყეებში მსგავსია, თუმცა მცირეოდენ განსხვავებული სურათია ცალკეული ტიპის მიხედვით.

ლაფნარ-მურყნარ ხახიან ტიპში – 5 მურყანი, 4 ლაფანი, 1 დ. ბოყვი + თელა, პავლოვნია და სხვა;

ნეკერჩხლნარ-მურყნარ მაყვლიან ტიპში – 6 მურყანი, 3 ბოყვი, 1 ვერხვი + ტირიფი და სხვა;

თელნარ-მურყნარ გვიმრიან ტიპში – 5 მურყანი, 3 თელა, 1 ბოყვი, 1 იფანი + ცაცხვი და სხვა.

- განახლება ფართოფოთლოვანი ტყის თელნარ-მურყნარ გვიმრიან ტიპში

ფართოფოთლოვანი ტყის თელნარ-მურყნარ გვიმრიანი ტიპი მოიცავს მდ. მაწიმისწყლის ზედა ნაწილის აღმოსავლეთ ექსპოზიციის გავაკებას, რომელიც ღრმად არის ჩაჭრილი ხეობაში, სადაც საბურველის შეკრულობა საშუალოზე მაღალია (06-07) (შესაბამისი GPS-კოორდინატებია: X-8607462, Y-4637578; X-8607496, Y-4637503). ტყის

აღნიშნულ ტიპში ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლების შესწავლამ შემდეგი სურათი მოგვცა (იხ. ცხრ. 2.2).

## ცხრილი 2.2

ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლება ფართოფოთლოვანი  
ტყის თელნარ-მურყნარ გვიმრიან ტიპში


1	GPS-კოორდინატი	2	ექსპოზიცია /სიმაღლე ზღ	3	დაქანება (გრ)/სიხშირე	4	შემაღებალობა	5	ტოტხალი საფარი	6-10წ.	7	8-10წ.	9	10-10წ.	11	12-10წ.	13	14-10წ.	15	შეფასება
X-607343; Y-4635661	აღმოსავლეთი /774 გ.	8-10/0,7-0,8	5 მურ. 3 თელა 1 ბოჭ. 1 იფ. +კერხ გვიმრა (60%), ანწლი, სურო	0,7	0,4	2,6	—	1,15	—	1,15	2,6	1,15	1,05	0,9	1,95	1,6	1,6	9,2	დაბაკაციონუ ლუბელი	
სულ																				

ცხრილიდან ჩანს, რომ განახლება ფართოფოთლოვანი ტყის თელნარ-მურყნარ გვიმრიან ტიპში, სააღრიცხვო ბაქნების მონაცემების მიხედვით დამაკმაყოფილებელია.

აღსაღნიშნავია, რომ წარმოდგენილ სახეობათაგან ყველაზე დაბალი განახლების მაჩვენებლით პავლოვნია ხასიათდება. მისი მოზარდის რაოდენობა, დანარჩენი სახეობების საიმედო მოზარდის მთელი რაოდენობის (8,05 ათასი ცალი ჰა-ზე) მხოლოდ 14,3%, ანუ 1150 ცალს შეადგენს ჰა-ზე. განსხვავება საგულისხმოა.

აქ პავლოვნიას განახლება ძირითადად სამი წლის მოზარდითაა წარმოდგენილი და ერთეულად ორი წლის ხნოვანებით ჯგუფში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პავლოვნიას ყოველწლიური განახლება სხვა წარმოდგენილი სახეობებისაგან განსხვავებით არ შეინიშნება, ან ძალზედ უმნიშვნელოა (იხ. ნახ. 2.1).

ნახატი 2.1




აღნიშნული ტყის ტიპი, საბურველის საშუალოზე მაღალი შეკრულობის (06-07) გამო, მეტწილად განიცდის სინათლის ნაკლებობას, ამასთან ცოცხალი საფარის კონკურენცია მაღალია, რამაც ჩვენი აზრით განაპირობა ზოგადად განახლების დაბალი მაჩვენებელი.

აღმონაცენ-მოზარდის სიმაღლეზე ზრდა მოცემულ ტყის ტიპში ჩანს ნახატზე (იხ. ნახ. 2.2). ნახატიდან ჩანს, რომ ყველაზე სწრაფმზარდობით პავლოვნია გამოირჩევა, პირველ წელს მისი ნაზარდი თითქმის სამ მეტრს აღწევს, მომდევნო წლებში კი შედარებით შენელებული ზრდით ხასიათდება და მოცემული მომენტისათვის, მესამე წელს მისი სიმაღლე 5,2 მეტრს შეადგენს, შემდეგ პავლოვნიას შესამჩნევ კონკურენციას უწევს მურყანი, რომლის

პირველი სავეგეტაციო ნაზარდი ჩამორჩება პავლოვნიას, თუმცა მესამე წელს ზრდის მაჩვენებლით თითქმის უტოლდება.

## ნახატი 2.2



მათი განსაკუთრებული სწრაფმზარდობა უნდა აიხსნას სინათლისადმი დიდი მოთხოვნილებით, რაც კორომის ზედა ნაწილშია მისაღწევი. ბოჟვი, როგორც ჩანს დაჩრდილების პირობებში შედარებით ნელი ზრდით ხასიათდება პირველ სავეგეტაციო წელს ერთ მეტრამდე, ხოლო მესამე წელს სამ მეტრამდე. თელა კი როგორც შედარებით ნელმზარდი სახეობა 3 წლის ხნოვანებაში 1,5 მეტრამდე აღწევს.



## ნახ. 2.3

დიადი ბოჟვის განახლება ხეკერჩელიან-მურყანარ-მაყვლიან ტიპში.

▪ განახლება ნეკერჩხლნარ-მურყნარ გვიმრიან ტიპში

ფართოფოთლოვანი ტყის ნეკერჩხლნარ-მურყნარ გვიმრიანი ტიპი მოიცავს მდ. ლაგოდეხისწყალის ზედა ნაწილში, შედარებით ფართოდ გაშლილ მდინარისპირა ტერასებს საბურველის საშუალო (0,4-0,5) შეკრულობით (შესაბამისი GPS-კოორდინატებია: X-608368, Y-4634829; X-608368, Y-4634857).

ტყის აღნიშნულ ტიპში ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლების შესწავლამ შემდეგი სურათი მოგვცა (იხ. ცხრ. 2.3)

ცხრილი 2.3


ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლება, ფართოფოთლოვანი ტყის ნეკერჩხლიან-მურყნარ გვიმრიან ტიპში

1	GPS-კოორდინატი	2	ექსპლუატაცია /სიმაღლე ზღვა	3	4	5	6	7	აღმონაცენ-ნორჩნარის რაოდენობა 1 ჰა-ზე სახეობების და ხნოვანების მიხედვით (ათას ცალობით)							8	9	10	11	12	13	14	15	
									მურყანი	პავლოვნია	ბოჟვი	სულ												
X-608321; Y-4634827	აღმოსავლეთი /700 კ. მ.	5-10/0,4-0,5	6 მურ. 3ბოკ- 1გერხ. + ტირიფი გვიმრა (50-60%), ჭინჭარი, სური	7 გერჩ. 2,65	8 1-3V.	9 3-5V.	10 1-3V.	11 3-5V.	12 1-3V.	13 3-5V.	14 1-5V.	15 სულ კარგი	სულ	3,6	1,25	—	2,3	1,1	1,2	10,05				

როგორც ცხრილი 2.3-დან ჩანს, რომ განახლება აღნიშნული სააღრიცხვო ბაქნების მონაცემების მიხედვით მთლიანობაში შეიძლება შეფასდეს, როგორც „კარგი”. ამასთან ჩანს, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილ სახეობათაგან ყველაზე დაბალი განახლების

მაჩვენებლით პავლოვნია სასიათდება. მისი აღმონაცენ-ნორჩნარის რაოდენობა, დანარჩენი სახეობების საიმედო მოზარდის მთელი რაოდენობის (8,8 ათასი ცალი ჰა-ზე) 14,2%, ანუ 1250 ცალს შეადგენს ჰა-ზე. ამ შემთხვევაშიც ჩანს ის ტენდენცია, რომ პავლოვნიასაგან განსხვავებით დანარჩენი სახეობების განახლება ყოველწლიურად (3 წლის მონაცემებით) თითქმის თანაბარია (იხ. ნახ. 2.4).

ნახატი 2.4




მოცემულ ტყის ტიპი, საბურველის საშუალო (0,4-0,5) შეკრულობის გამო სასინათლო რეჟიმი გაცილებით უკეთესია, რაც დადგებითად აისახა ყველა სახეობის განახლების მაჩვენებლებზე, მათ შორის პავლოვნიაზეც, რომელიც სინათლისადმი განსაკუთრებულ მოთხოვნილებას იჩენს. დამაბრკოლებელ გარემოებად აქაც რჩება ცოცხალი საფარის მაღალი დაფარულობის მაჩვენებელი (50-60%).

მიუხედავად უკეთესი სასინათლო პირობებისა, პავლოვნიას განახლების მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ნაკლებია მურყანისა და ბონეგის განახლების მაჩვენებლებზე.


საბურველის დაბალმა შეკრულობამ, შედარებით განსხვავებული სურათი მოგვცა აღმონაცენ-მოზარდის სიმაღლეზე ზრდის ხასიათშიც (იხ. ნახ. 2.5).

ნახატი 2.5-დან ირკვევა, რომ ვარჯშეუკვრელ გვიმრიან ტყის ტიპში, სასინათლო პირობების გაუმჯობესების შედეგად პავლოვნიას, ასევე მურყანის და დ. ბოყვის ზრდის მაჩვენებლები შედარებით უკეთესია, ვიდრე ლაფნარ-მურყნარ ხახიან ვარჯშეკრულ (შემდგომში ვნახავთ) ტიპში, მეტი დაწყდილვის პირობებში.

ნახატი 2.5



პავლოვნიას ზრდის უკეთესი მაჩვენებლის შენარჩუნების პარალელურად, მისი ფართობის ერთეულზე რიცხოვნული მაჩვენებელი მაინც ნაკლები რჩება დანარჩენ სახეობებთან შედარებით, რომელთა რიცხოვნული მაჩვენებელი პირიქით გაიზარდა, მურყანის 1,5-ჯერ, ხოლო დიადი ბოყვის მნიშვნელოვნად, თითქმის 2,5 ჯერ.



ნახ. 2.6

პავლოვნიას და მურყანის განახლება შერევით.

▪ განახლება ლაფნარ-მურყნარ სახიან ტყის ტიპში

ლაფნარ-მურყნარ სახიანი ტყის ტიპი მოცემულია მდ. ლაგოდეხისწყლის ქვედა გავაკებებზე ზღვის დონიდან 780 მეტრზე, საბურველის მაღალი შეკრულობით (0,7-0,8) (შესაბამისი GPS-კოორდინატებია: X-606852, Y-46333779; X-606938, Y-4633140).

აღნიშნულ ტყის ტიპში ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლების მონაცემები მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრ. 2.4) .

ცხრილი 2.4

ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლება ლაფნარ-მურყნარ სახიან ტყის ტიპში


1	GPS-კოორდინატი	2	ექსპლუატაცია / სიმაღლე ზღ.	3	დაქანება (გრ)/სისქირვე	4	შემაღლებენლობა	5	აღმონაცენ-ნორჩნარის რაოდენობა 1 ჰა-ზე სახეობების და ხნოვანების მიხედვით (ათას ცალობით)								15			
									ლაფანი	მურყანი	პავლოვ ნია	ბოყვი	6	7	8	9	10	11	12	13
X-606888; Y-4633250	სამხრეთ- აღმოსავლეთი	5-8/0,8-0,9	4 ლაფ. 5 მურ. 1 ღ. ბოყ. 1 + გარს.	გვირა (60-65 %) ანწლი, ჭინჭარი,,	2,2	1,26	1,55	1,0	0,45	-	1,0	0,9	1,05	3,46	2,55	0,45	1,9	1,05	9,41	დამატავითილებე ლი
სულ																				

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთლიანობაში განახლება აღნიშნული სააღრიცხვო ბაქნების მონაცემების მიხედვით დამაკმაყოფილებელია. მოცემულ ტყის ტიპი, ვხვდებით სხვა აქამდე აღწერილ სახეობებთან ერთად ლაფანსაც, რომელიც ჩვენი ფლორის ენდემური სახეობაა და

მისი ბუნებრივი განახლების მდგომარეობა პავლოვნიასთან მიმართებაში განსაკუთრებით საყურადღებოა (იხ. ნახ. 2.7).

მოცემული მონაცემებით ირკვევა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილ სახეობათაგან ყველაზე დაბალი განახლების მაჩვენებლით პავლოვნია ხასიათდება. განსაკუთრებით ეს ჩანს ლაფანის განახლების მაჩვენებლებთან შედარებით, რომლის აღმონაცენ-ნორჩნარის რაოდენობა თითქმის 8-ჯერ მეტია პავლოვნიას აღმონაცენ-ნორჩნართან შედარებით და 1 ჰა-ზე 3,46 ათას ცალს შეადგენს. პავლოვნიას აღმონაცენ-ნორჩნარის რაოდენობა, დანარჩენი სახეობების საიმედო მოზარდის მთელი რაოდენობის (8,96 ათასი ცალი ჰა-ზე) მხოლოდ 5,0%, ანუ 450 ცალს შეადგენს ჰა-ზე. ამ შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პავლოვნიას განახლება ფაქტობრივად არ აღირიცხება, რაც ვარჯშეკრულ კორომში სინათლის ნაკლებობით და მაღალი ტენიანობით უნდა აიხსნას (იხ. ნახ. 2.7).

ნახატი 2.7




ნახატი 2.7-დან ჩანს, რომ პავლოვნიასთან ერთად დ. ბოყვის განახლების მაჩვენებელიც აქამდე მოცემულ მაჩვენებლებზე (ტყის სხვადასხვა ფორმაციაში) ნაკლებია, თუმცა პავლოვნიასთან შედარებით კვლავ უკეთესი მაჩვენებლით ხასიათდება და მას თითქმის 5-ჯერ აღემატება. ამასთან ადსანიშნავია, რომ აღნიშულ ტყის ტიპია

წარმოდგენილი პავლოვნიას ძირითადი მიკრო კორომი, სადაც ე.წ სადედე ხეებია განლაგებული და აქედან გამომდინარე განახლების არსებული მონაცემები ვფიქრობთ საყურადღებო დასკვნების საფუძველი შეიძლება გახდეს. მონაცემები ცხადყოფს, რომ ტყის ვარჯშეკრულ კორომში პავლოვნიას ბუნებრივი განახლება ფაქტობრივად არ აღირიცხება.

აღმონაცენ-მოზარდის სიმაღლეზე ზრდა აღნიშულ ტყის ტიპში, მოცემულია ნახატზე (იხ. ნახ. 2.8).

ნახატი 2.8



2.8 ნახატის მიხედვით ლაფანარ-მურყნარ ხახიან ფორმაციის საბურველშეკრულ კორომში, შედარებით შეზღუდული ზრდით ხასიათდება, როგორც პავლოვნიას, ასევე მურყანის და დიადი ბოყვის აღმონაცენ-მოზარდი.

გრაფიკის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ საბურველშეკრულ კორომში პავლოვნიას, სიმაღლეზე ზრდის მაჩვენებლებით თითქმის უტოლდება მურყანი, რომელსაც პირველ წელიწადს შედარებით ნელი ზრდა ახასიათებს, შემდგომ კი თითქმის თანაბრად ვითარდება. პავლოვნია პირიქით, პირველ წელიწადს აღწევს ზრდის მაქსიმუმს შემდეგ კი ვითარდება თანაბრად. პავლოვნიას სიმაღლეში ზრდის დომინანტური მაჩვენებელი ტყის ყველა ტიპი, მათ შორის

საბურველ შეკრულ კორომში უნდა აიხსნას სინათლისადმი განსაკუთრებული მოთხოვნილებით, რაც განსაკუთრებით ვლინდება კონკურენციისა და მაღალი საბურველ შეკრულობის პირობებში.

განახლების მონაცემები ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის ჭალის ტყის ფართოფოთლოვან ტიპებში, დამუშავებულ იქნა სტატისტიკურად. ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ ეველაზე კარგი განახლებით ხასიათდება მურყანი და დიადი ბოყვი, ხოლო შემდეგ მოდის ლაფანი, პავლოვნია და სხვა.

ვარიაციული სტატისტიკის მაჩვენებლების მიხედვით პვლევის სიზუსტე 4,0-5,5%-ის ფარგლებშია, რაც მის დამაჯერებლობასა და საიმედოობაზე მიუთითებს (იხ. ცხრ. 2.5).

### ცხრილი 2.5

#### ბუნებრივი განახლების სტატისტიკური მაჩვენებლები

სახეობა	საშუალო არითმეტიკული		კვადრატული გადახრა	ძირითადი ცდომილება	ცვალებადობის გრეფიცენტი	ეჭვების სიზუსტე	საიმედოობის გრეფიცენტი	მოზარდის რიცხვი (ათას ცალობი)
პავლოვნია (P.tomentosa)	D	4,69სმ	1,52სმ	0,22	32,41%	4,63%	21,32	1,25
	H	4,71მ	1,80მ	0,30	38,22%	6,37%	21,23	
მურყანი (A.barbata)	D	4,00სმ	1,25სმ	0,20	29,40%	4,80%	21,00	3,4
	H	3,48მ	1,10მ	0,18	31,61%	5,43%	19,33	
დ. ბოყვი (A.welutinum)	D	4,48სმ	1,29სმ	0,21	28,49%	4,74%	21,00	3,6
	H	4,48მ	1,45სმ	0,24	32,36%	5,39%	18,66	
ლაფანი (P.faraxnifolia)	D	4,47სმ	1,05	0,23	23,4%	5,30%	18,60	2,5
	H	4,48მ	1,08	0,24	24,15	5,20%	19,40	

ცხრილი 2.5-დან ჩანს, რომ მურყანის და დიადი ბოჭვის სტატისტიკურ მონაცემებში, როგორც დიამეტებში ასევე სიმაღლეებში დიდი განსხვავება არ არის, რის გამოც თანაბარი ზრდით ხასიათდება.

მათგან განსხვავებულია პავლოვნიას მონაცემები, განსაკუთრებით სიმაღლეზე ზრდის მიხედვით. რაც მდგომარეობს იმაში, რომ სიმაღლეების ერთმანეთში გადასვლა ანუ ვარიაციის კოიფიციენტი დიდია  $\pm 38,22\%$ , ასევე კვადრატული გადახრა სიმაღლეში საშუალო არითმეტიკულიდან  $4,71 \pm 1,80$  მ-ია, რაც სიმაღლეზე ზრდის არათანაბარი მაჩვენებელია. მოცემული მდგომარეობა ჩვენი აზრით გამოწვეულია, პავლოვნიას განსხვავებულ სასინათლო პირობებში ზრდის გამო, რასაც მისი განახლების არათანაბარი ხასიათი განაპირობებს.

გარდა ძირითად საკვლევ ობიექტებზე შესწავლისა, იმის გათვალისწინებით, რომ პავლოვნიას გააჩნია მსუბუქი ფრთიანი თესლი, რაც ქარის საშუალებით შორ მანძილზე გავრცელების საშუალებას იძლევა (სხვადასხვა ავტორის მონაცემებით 1-2 კილომეტრზე – Xin-yu, Gao, 1986; Williams, 1993) და შესაბამისად შესაძლოა ქონდეს განახლებაც, საკითხის საიმედოდ დამუშავების მიზნით ეწ მარშრუტული წესით (სამი მიმართულებით) თვალზომურად, სადედე ხეებიდან სამი კილომეტრის რადიუსში შევისწავლეთ ძირითადად ტყით დაფარული ფართობები. შესწავლისას პავლოვნიას აღმონაცენ-მოზარდი ფაქტობრივად არ შეგვხვდრია თუ არ ჩავთვლით მდ. მაწიმისწყლის მიმდებარე მთის ფერდობის აღმოსავლეთ ექსპოზიციაზე, ზ.დ 780 მ. ტყისპირას ბუნებრივად წარმოქმნილ ყალთაღში ერთეულად გავრცელებულ 2-3 წლიან მოზარდს, სადაც კვლავ დომინანტის როლშია მურყანის გნახლება.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე განახლების შესწავლა, მეტნაკლებად სრულყოფილ სურათს იძლევა, რადგანაც ტერიტორიაზე ანთროპოგენური ფაქტორი, ასევე ფაუნის წარმომადგენლების

უარყოფითი ზეგავლენა მინიმალურია, ტერიტორიის დაცულობის შესაბამისი სტატუსის გამო. ამასთან ჩვენს მიერ კვლევისას მოცულ იქნა თითქმის მთელი ტერიტორია სადაც გვხვდება პავლოვნია ან თეორიულად შესაძლებელი იყო შეგვხვდოდა.

მარშრუტული წესით თვალზომურად, განახლების საკითხი შესწავლილ იქნა ასევე გურიის რეგიონში, როგორც ტყეში, ისე პლანტაციების მიმდებარე რამოდენიმე კილომეტრიან რადიუსში.

პავლოვნიას გურიის რეგიონის პრაქტიკულად სამივე – ლანჩუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის რაიონების ტერიტორიებზე პავლოვნიას ვხვდებით ზღ. 40 მ-დან 200 მ-დე, როგორც ტყის კორომში (ძირითადად ხევების ჩადაბლებებში), ისე მცირე პლანტაციების სახით, ასევე ერთეულად დეკორატიული მიზნით ძირითადად დასახლებულ პუნქტებში და მის მიმდებარედ.

დადგინდა, რომ გურიის ტყეში პავლოვნიას ბუნებრივი განახლება ფაქტობრივად არ აღირიცხება. ასევე არ შეინიშნება განახლება პლანტაციების მიდებარე რამოდენიმე კილომეტრიან რადიუსში. უფრო მეტიც, ჩაქვის პლანტაციის და მის მიდებარე ტერიტორიაზე გაბატონებულია კრიპტომერიის აღმონაცენ-მოზარდი, რომელსაც ვერავითარ კონკურენციას ვერ უწევს პავლოვნია.

ტყეში (ადსანიშნავია, რომ ძირითადად გთის ხევების ჩადაბლებებში), სადაც პავლოვნიას ხეების ერთეულ ეგზემპლარებსაც ვხვდებით (იშვიათად ჯგუფურად), ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ბუნებრივი განახლება სააღრიცხო ბაქნების მონაცემების მიხედვით მოცემულია ცხრილის სახით ( იხ. ცხრ. 2.6; ნახ. 2.9).


2.6 ცხრილის მიხედვით, განახლება პავლოვნიასთან მზარდი სხვა სახეობებისა მთლიანობაში კარგი, ან დამაკმაყოფილებელია. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, ყველაზე კარგი განახლებით, ტენიან, გვიმრნარ ტიპში მურყანი და ცრუ აკაცია ხასიათდება, რომელთა

აღმონაცენ-მოზარდმა პა-ზე საშუალოდ 3000 ცალი შეადგინა (იხ. ნახ. 2.9).

### ცხრილი 2.6

გურიის ტყეებში პავლოვნიასთან მზარდი ძირითადი სახეობების  
ბუნებრივი განახლების მაჩვენებლები

საალიცხვო ბაქნის №	GPS-კოორდინატი	ქსოვილის ტე	სიმაღლე ზ.დ (მ)	ცოცხალი საფარი	აღმონაცენ-მოზარდის რაოდენობა 1 პა-ზე სახეობების მიხედვით (ათას ცალობით)						სულ სულ	
					1	2	3	4	5	6	7	
1;2;3; 4;5	X-257162; Y- 4661369	აღმოსავლე თი	138	7 აკაც. 2ცაცხ. 1წ. + რცხ. ხურ.	გვიმრა, ანწლი, ჭინჭარი	3,55	2,35	2,1	1,85	1,1		10,95
6;7;8 ;9;10	X-257258; Y-4661369	სამხრეთ- აღმოსავლე ლი	99	5აკაც. 2ცაცხ. 1წ ვ. 2მურ. +წ	გვიმრა, ანწლი, მაყვალ ი	3,3	2,2	2,7	1,05	1,2		10,45
11;12 ;13;1 4;15	X-255622; Y- 4657066	სამხრეთ- აღმოსავლე თი	186	5აკაც. 3მურ. 1წ ბ. 1რცხ.+წ ვ.	გვიმრა, მაყვალ ი	4,15	3,6	0,8	1,1	0,92		10,6
16;17 ;18;1 9;20	X-256336; Y- 4658338	ჩრდილო- აღმოსავლე თი	180	4იფ. 3მურ . 2აკაც. 1ცაცხ. +აილან თ.	გვიმრა, ანწლი,	2,8	3,1	1,05	0,6	1,4		8,95
21;2 2;23; 24;2 5	X-259063; Y-4660011	აღმოსავ ლი	35	6მურ. 3რცხ. 1აილან . +ხურმა	გვიმრა, ანწლი,	1,4	3,4	0,6	-	1,1		6,5
26;2 7;28; 29;3 0	X-259061; Y-460018	სამხრეთ- აღმოსავ ლი	41	6მურ. 2რცხ. 2აკაც. +ხურმა	გვიმრა, ანწლი,	2,1	3,25	0,75	0,7	0,85		7,65
სულ ცალკეული სახეობები საშ. 1 პა-ზე						2,84	3,15	1,3	0,9	1,09		



გრძელვადიან პერიოდში, ფართოფოთლოვანი ტყის მდგომარეობის ანალიზისთვის (სადაც ვხვდებით პავლოვნიასაც), კარგ საშუალებას იძლევა ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების შედარება, პ. მამისაშვილის სადისერტაციო შრომაში (მამისაშვილი, 1953) მოყვანილ მონაცემებთან, რომელიც ეხება შერეულ ფართოფოთლოვანი ტყეების განვითარების საკითხს პროლუგიურ და ალუვიურ ტერასებზე, ლაგოდეხის მაშინდელ ნაკრძალში.

პ. მამისაშვილის კვლევის მიხედვით ბუნებრივი თესლით განახლება ფართოფოთლოვან ტყეში 57 წლის წინ იძლევა შემდგა სურათს (იხ. ცხრ. 2.7).

ცხრილიდან ჩანს, რომ განახლება ყველაზე უკეთესია 1-3 წ. და 3-5 წ. ჯგუფებში. დანარჩენ ხნოვანებაში განახლება არ აღინიშნება. ყველაზე კარგ განახლებას იძლევა თელა, შემდეგ კი ბოყვი, რასაც ავტორი კორომის ხნოვანებას უკავშირებს. აღნიშნულს თუ შევადარებთ ჩვენს მიერ მოპოვებულ მონაცემებს 57 წლის შემდეგ, მივიღებთ შემდეგ სურათს (იხ. ნახ. 2.10).


ფართოფოთლოვანი ტყის ძირითადი სახეობების პუნქტივი  
განახლების მაჩვენებლები კ. მამისაშვილის მიხედვით (1953 წ.)

ჯიში	სხვანება (წელი)				
	1-3	3-5	5-10	10	სულ
თელა	1500	1000	-	-	2500
ცაცხი	1500	-	-	-	1500
ბოყვი	1500	500	-	-	2000
ლეპის ხე	1000	-	-	-	1000
პავლოვნია	850	-	-	-	850
სულ	6350	1500	-	-	7850

2.10 ნახატიდან ჩანს, რომ ჩვენი და მამისაშვილის მიერ მოყვანილი მონაცემები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა ჩვენი მონაცემების მიხედვით ჩნდება ლაფანის განახლების კარგი მაჩვენებელი, რაც მასზე, როგორც ენდემურ სახეობაზე პავლოვნიას უარყოფითი გავლენის შესახებ მოსაზრებებს აბათილებს. ასევე კარგია მურყანის განახლება მდინარეების კალაპოტების გასწვრივ.

#### ნახატი 2.10

აღმონაცენ-მოზარდის დღევანდელი და 57 წლის წინანდელი  
მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლები



ავტორი (მამისაშვილი, 1953) განახლების შეფასებისას ასკვნის, რომ აღნიშნულ ტყის ტიპში ბუნებრივი განახლება თითქმის არადამაკმაყოფილებელია, რაც მისივე აზრით განპირობებულია, ლელებში და ტაფობებში ხეების ვარჯის მაღალი შეკრულობით, ნიადაგის დიდი სინესტით და ბალახოვანი საფარის დიდი სიხშირით, რის გამოც აღმონაცენი პირველ მეორე წელსვე იღუპება. აღნიშნული მოსაზრება ძირითადად დასტურდება ჩვენს შემთხვევაშიც, რაც გამოიხატება იმით, რომ ზოგიერთი სახეობის, მათ შორის პავლოვნიას განახლების მაჩვენებელი ძალზედ შემცირებულია, ან საერთოდ არ აღირიცხება სამი წლის ხნოვანების ზევით.

საყურადღებოა ასევე მამისაშვილის ცნობები ტყის ფართოფოთლოვანი სახეობების განაწილების შესახებ, მდინარის კალაპოტიდან დაშორების მიხედვით. ავტორი აღწერს: „ხე მცენარეთა დასახლება ცვალებადობს შემდეგნაირად: ხეების უახლოეს სანაპირო ფართობებს ძირითადად მურყანი იკავებს, შემდეგ ლაფანი და ბოყვი, ამათ კი მოსდევს რცხილა და შემდეგ კი წიფელი”. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდები მონაცემები ფაქტობრივად არ განსხვავდება 57 წლის წინანდელ მონაცემებისაგან, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სახეობათა ცვლის გამოკვეთილ პროცესს აღგილი არ აქვს, მითუმეტეს აღნიშნულის განმაპირობებელი არ შეიძლება იყოს პავლოვნია.

საქართველოში პავლოვნიას ბუნებრივი განახლების ძირითად ხელისშემსლელ ფაქტორებიდან (რაც აპირობებს მის არააგრესიულ ხასიათს) შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- სინათლის ნაკლებობა, რაც ძირითადად ტყით დაფარულ ფართობებზე, საბურველის მაღალი შეკრულობის კორომებშია;
- მაღალი ტენიანობის კოეფიციენტი, რომლის დროსაც შეიძლება აღმოცენდეს თესლნერგი, თუმცა განწირულია დასაღუპად;

- არახელსაყრელი ნიადაგური პირობები (მდინარის პირა ტერასებზე მეტწილად ვხვდებით ქვა-ლორდიან, ხოლო დასავლეთ საქართველოში ნიადაგებს მძლავრი გათიხებით);
  - ცოცხალი საფარით დაფარულობის მაღალი პროცენტი;
  - სწრაფმზარდ სახეობებთან თანაარსებობა, რადგან მას ნაკლებად აქვს უნარი იყოს კონკურენტული და იღუპება;
- ჩვენი აზრით აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ მისი განახლების ასეთ დაბალ მაჩვენებელს, ან ფაქტობრივ განუახლებლობას, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, სადაც ერთეულად ვხდებით ტყის კორომში, ღელეების ჩადაბლებებში. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ყოველწლიურად ხდება მისი მილიონობით თესლის მოთესვა, თითოეული სადედე ხიდან, რაც ჩანს ჩვენს მიერ ნაყოფმსხმოიარობის შესწავლის მონაცემებიდან.

ჩვენს მოსაზრებებს ედრება ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის მიერ მოტანილი მონაცემები პავლოვნიას ინვაზიურობის შესახებ. ტენესის უნივერსიტეტის პროფესორები – კლატერბუქი და ჰოდგესი (Clatterbuck, Hodges, 1999) პავლოვნიას ბუნებრივი განახლების და ინვაზიურობის შესახებ გამოთქვამენ შემდეგ მოსაზრებას: „პავლოვნია ხშირად განიხილება, როგორც ინვაზიური ეგზოტიკური ხე, თუმცა მიუხედავად ცალკეული მოსაზრებებისა, მისი ინვაზიურობის საკითხი მაინც რჩება ვარაუდის დონეზე. პავლოვნიას უამრავი თესლი იფანტება ქარის მეშვეობით, მაგრამ თესლები ვერ ვითარდება და ვერ გადარჩება, თუ ისინი მოხვდებიან უნაყოფო ნიადაგებზე. ასევე პავლოვნიას ახალგაზრდა ნერგებს გააჩნიათ განადგურების მაღალი რისკი სიდამპლის გამო, რომლის მიზეზი არის ნიადაგის რამდენიმე სოკო. საერთოდ პავლოვნია ვერ ვითარდება რეგიონებში, სადაც არის უნაყოფო ნიადაგი. პავლოვნია ვერ უწევს კონკურენციას სხვა სახეობის ხეებს, რადგანაც ნორმალური განვითარებისთვის მას

ესაჭიროება მზის სინათლე, ამიტომ ის ხშირად იღუპება სხვა სახეობების და ბუჩქების ჩრდილში. ამიტომ იგი ძირითადად გვხვდება ტყის ნაპირზე, სადაც უფრო მეტია მზის სინათლე, ტყის შიდა ნაწილთან „შედარებით”. იგივე ავტორები აღნიშნავენ, რომ მზის სინათლისა და ნიადაგური პირობების გამო პავლოვნიას რაოდენობა, პირიქით შემცირდა ბოლო წლებში, ხოლო პავლოვნიას თესლების დიდი რაოდენობით გაფანტვა ვერ ზრდის მის ველური ნარგაობების რიცხვს.

ჩინელი მკვლევარები (Ching, Hua, 1983). ბუნებრივ გარემოში მრავალწლიან დაკვირვებებზე დაყრდნობით აღნიშნავენ, რომ მათ მიერ განხორციელებული ექსპერიმენტები ნერგებზე (აღმონაცენ-მოზარდზე) აჩვენებენ, რომ 70% დაჩრდილვა ფატალურია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ პავლოვნია არის სინათლის მოყვარული მცენარე, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ სასინათლო პირობებს და ამგვარად იგი ვერ ვითარდება სხვა სინათლის მოყვარულ სწრაფმზად სახეობებთან ერთად. მათ მიერ აღწერილია, რომ ჩინეთის ერთ-ერთ რეგიონში (შენსი პროვინციის ვუ გუენგ თლქში) პ. ტომენტოზა (*P. tomentosa*) იზრდებოდა ოფთან (*P. nigra*) ერთად, მათ ზრდა-განვითარებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ პავლოვნია იზრდებოდა ნელა ექვსი წლის განმავლობაში და დაიღუპა მოზარდის დიდი ნაწილი. რადგანაც იგი მოითხოვს ბევრ სინათლეს და მას არ შეუძლია ბუნებრივი რეგენერაცია დახურულ ტყეში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში პავლოვნია ინვაზიურ-აგრესიულ ხასიათს არ ავლენს და მით უფრო არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უარყოფითი ფაქტორი ადგილობრივი ტყის ეკოსისტემების მიმართ. აქედან გამომდინარე არ დასტურდება ზოგიერთი ქართველი მკვლევარის მიერ

გამოთქმული მოსაზრება პავლოვნიას აგრესიული-ინგაზიური ხასიათის შესახებ.

ვფიქრობთ, მოცემული შედეგები გარკვეულწილად ხელს შეუწყობს სწორი მიდგომების ჩამოყალიბებას პავლოვნიას მიმართ, როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე საზოგადოების ფართო ფენებში, რაც გახდება საფუძველი აღნიშნული სახეობების სწორი მიმართულებით გამოყენების შემთხვევაში მივიღოთ მაღალი ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობა.

### 2.2.1 ბუნებრივი განახლება ხანძრის შემდგომ პერიოდში

შესწავლილია, რომ პავლოვნიას ბუნერვივი განახლება (თესლით და ამონაყარით) კარგად მიმდინარეობს ნახანძარალ ნიადაგებზე. ზოგიერთი ავტორის აღწერით, ნახანძრალი ფართობები წარმოადგენენ პავლოვნიას განახლებისათვის კარგ ადგილებს (Dumas, 2007; Kuppinger, 2007; Webster, 2006; Reily, 2006).

საქართველოს ეკოლოგიურ პირობებში ხანძრის შემდგომ პერიოდში ბუნებრივი განახლების შესაძლებლობების დადგენის მიზნით, მცირე ნახანძრალ ფართობზე (პლანტაციაში) ვახდენდით დაკვირვებას.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ განახლება ჩვენ ეკოლოგიურ პირობებში ნახანძრალ ფართობზე აქტიურად მიმდინარეობს და უკეთესი ზრდა-განვითარებით ხასიათება, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. ამ შემთხვევაში განახლება ხდება ფესვიდან, რომელიც ვერ ზიანდება ხანძრისაგან. საერთოდ ცნობილია, რომ განსაკუთრებით პავლოვნიას ფესვები ცეცხლგამძლეობით გამოიჩევიან.

შედეგმა ცხადყო, რომ ხანძრის დროს და მას შემდგომ ნიადაგში მიმდინარე ცვლილებები დადებითად მოქმედებს ნიადაგის ფენაში დარჩენილი ფესვებიდან მცენარის რეგენერაციაზე.

განახლების საკითხი ფართოფოთლოვან ტყეში, ხანძრისშემდგომ პერიოდში შესწავლილია აშშ-ში (კილდერნის ზონა). კვლევამ აჩვენა, რომ პ. ტომენტოზა (P. tomentosa) ჩვ. ფიჭვთან (P. silvestris) ერთად კარგი განახლების მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. სპეციალისტები ამ ფაქტს უკავშირებენ პროცესს, რომელიც განვითარდა ხანძრის დროს. მათი აზრით ხანძარმა შეამცირა კორომის ზედა ჰორიზონტი თითქმის 50%-ით, რამაც აამაღლა სინათლის შეღწევადობის კოეფიციენტი 15%-ით, ამასთან ერთად გაიზარდა ნიადაგური ტემპერატურა და მოიმატა ნიადაგში მინერალური ნივთიერების შემცველობამ, რამაც გააუმჯობესა არამხოლოდ განახლების მაჩვენებელი, არამედ აღმონაცენის შემდგომი ზრდა-განვითარება.

პავლოვნიას კარგი განახლებისათვის მკვლევარები, ხანძრის სიმძლავრეს და ინტენსიურობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. თვლიან, რომ მაღალი სიმძლავრის (მაღლითი ხანძარი) ხანძრის შემდეგ უკეთესი პირობები იქმნება, კარგი განახლებისა და ზრდა-განვითარებისათვის. მიუხედავად, იმისა, რომ ამ დროს დიდი რაოდენობით ისპობა, როგორც ხეები, ასევე თესლიც (Webster, 2006; Hu, 1959; Webster, 2006).

მოცემულიდან ჩანს, რომ იმ შემთხვევაში თუ პლანტაცია დაიღუპა ხანძრის გამო, მისი ბუნებრივი რეგენერაცია ხანძრისშემდგომ პერიოდში შესაძლებელია და პლანტაცია ხელახლა გაშენებას არ საჭიროებს.

### III თავი

#### პავლოვნიას პლანტაციურ მეურნეობაში გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებები

ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ პავლოვნიას პლანტაციების წარმოებას დიდი ხნის ისტორია გააჩნია, რომელიც სათავეს მის სამშობლოდან (ჩინეთი) იღებს.

იუ გონგის დოკუმენტურ წიგნში „Shang Shu” (დათარიღებულია ჩ.წ 300 წლით) არსებობს ჩანაწერი, რომ „....შუჩოს ხალხი ამარაგებდა მეფეს პავლოვნიით” ჩინელი მკვლევარები თვლიან, რომ ამ ჩანაწერის მიხედვით იმ დროს ჩინეთში უკვე არსებობდა პავლოვნიას პლანტაციური ნარგაობები (ე.წ კულტივაციის ცენტრები), საიდანაც ხდებოდა პავლოვნიას მერქნით მომარაგება (Anon, 1986; Huaxin, 2007).

ასწლეულების მანძილზე დაგროვილმა ცოდნამ და გამოცდილებამ პავლოვნიას ფერმერულ მეურნეობებში წარმოების შესახებ, გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტუალობა გასული საუკუნიდან (მე-XX) შეიძინა, მასშემდეგ რაც სამრეწველო-ტექნიკური პროგრესიდან გამომდინარე და ადამიანთა რიცხოვნული ზრდის გათვალისწინებით, მთელს მსოფლიოში მოთხოვნილება მერქანზე სულ უფრო და უფრო გაიზარდა.

პავლოვნიას ფერმერულ მეურნეობებში გაშენება ჩვენს ქვეყანაში, გარკვეულწილად სიახლეა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ინტროდუქცია ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა და მასშემდეგ გვხვდება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში, პირველი პრეცენდენტი მისი ფერმერულ მეურნეობაში გამოყენებისა უკავშირდება 2004-05 წლებში პროფ. თ. კანდელაკის ხელმძღვანელობით შესრულებულ პროექტს, რომლის მიზანიც იყო, დაბა ლაითურის ფერმერთა ნაკვეთებზე (1,2 ჰა.) ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებში პავლოვნიას გამოყენების

ტექნოლოგიის გაცნობა-დემონსტრირება. პროექტი განხორციელდა საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი გრანტის NCGS – 04-01-ის ფარგლებში (კანდელაკი, 2004).

მას შემდეგ მის მიმართ ინტერესი დღითი დღე მატულობს, როგორც კერძო პირების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან. ამის დასტურად შეიძლება ჩავთავალოთ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-277, რომელიც ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ დონისძიებათა რეკომენდაციებს შეეხება, სადაც სამინისტრო პირდაპირ რეკომენდაციას იძლევა ამ მიმართულებით პავლოვნიას გამოყენების ეფექტურობის შესახებ.

ამჟამად საქართველოში, ჩვენი აღწერით პავლოვნიას პლანტაციების საერთო ფართობი 100 ჰა-ს აჭარბებს, რომელიც ძირითადად განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გამოუყენებელ (ყოფილი ჩაის პლანტაციები) და სხვა ტყით დაუფარავ ფართობებზე. საქართველოში ყველაზე ხნოვანი (6 წლის) 2 ჰა-მდე პლანტაცია, არის დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე.

პავლოვნიას გაშენება, მათ შორის ეროზირებულ ფართობებზე, შემდგომი მოვლა და მასში მეურნეობის წარმოება, ემყარება პროგრესულ ტექნოლოგიას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს რიგ სპეციფიკურ მიღგომებს. ამ მხრივ საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს სათანადო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანი შემაფერხებელია საქმის განვითარებისა.

სადისეურტაციო ნაშრომის ამ ნაწილში მოცემულია ანალიზი პავლოვნიას პლანტაციურ მეურნეობაში გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკის საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ჩვენი კვლევის მასალების მიხედვით, ასევე მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით.

### 3.1 სარგავი მასალის შერჩევა-წარმოება

პავლოვნიას სარგავი მასალის (ნერგი, თესლნერგი) წარმოების რამოდენიმე გზა არსებობს, ამათგან პრაქტიკაში მიღებულია თესლიდან, ფესვისა და იშვიათად დეროს გადანაჭერიდან წარმოება. ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა პავლოვნიას სარგავი მასალის მიღება *in-vitro* მეთოდით.

#### ▪ თესლით გამრავლება

პავლოვნიას სარგავი მასალის გამოყვანა თესლიდან (თესლნერგი) ყველაზე მიზანშეწონილ გზად მიიჩნევა, როგორც მეცნიერული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. შესწავლილია, რომ თესლნერგების ფესვთასისტემა უფრო კარგად ვითარდება, ვიდრე სხვა გამრავლების რომელიმე მეთოდით მიღებული სარგავი მასალისა. რაც ხელს უწყობს მცენარეების უკეთ დამაგრებას ნიადაგში, იშვიათად ზიანდებიან სიდამპლისაგან და მიღებული მერქანი შედარებით კარგი თვისებებით გამოირჩევა. ასევე დადგენილია, რომ პავლოვნიას თესლი არ შეიძლება შეიცავდეს პათოგენურ მიკროორგანიზმებს, რაც ჯანსაღი თესლნერგის მიღების შესაძლებლობას იძლევა (Bekjord, 1982, 1984; Stringer 1986; Huaxin, 1998).

პავლოვნიას თესლნერგების გამოყვანა ხდება ძირითადად სასათბურე მეურნეობებში, რადგანაც ლია გრუნტზე მისი აღმოცენების შესაძლებლობა ძალზედ დაბალია. ამას მოვლენას პროფ. სტრინგერი ხსნის იმით, რომ პავლოვნიას თესლებს მიწის ზედაპირზე აქვთ დაფესვიანების მხოლოდ ერთი ცდა, რა დროსაც შესაბამის მიკროგარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც ბუნებრივ პირობებში ძნელად მისაღწევია. ამასთან ახალი ნერგები ძალზედ მგრძნობიარეა პათოგენების და მავნებლების მიმართ და სხვა (Toda, Isikawa, 1952; Borthwick, 1964; Melhuish, 1990).

სასათბურე პირობებში სადაც თესლის გაღივებისა და აღმოცენებისათვის შექმნილია შესაბამისი მიკროგარემო, პავლოვნიას თითქმის ყველა ძირითადი სახეობის თესლის აღმოცენებისუნარიანობა ძალზედ მაღალია (95-98 %).

თანამედროვე პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება თესლნერგის გამოყვანის კონტეინერული წესი (დახურული ფესვთა სისტემა), რაც გულისხმობს სასათბურე პირობებში ე.წ კონტეინერებში, სხვადასხვა საკვებ არეში თესლნერგის მიღებას, რომელიც აქ ვთარდება ვიდრე მიაღწევს დია ფართობზე გადასატან კონდინციას. პავლოვნიას კონტეინერული წესით მიღებული თესლნერგის გადატანა დია ფართობზე შესაძლებელია, მასშემდეგ რაც სიმაღლეში მიაღწევს 18-25 სმ-ს და განუვითარდება საშუალოდ 5-7 ფოთოლი.

ამ წესით გამოყვანილ თესლნერგს გააჩნია რიგი უპირატესობები, მათ შორის მნიშვნელოვანია ის, რომ დახურული ფესვთა სისტემის გამო ნერგის დია ფართობზე გადატანისას ადგილი არ აქვს ფესვის გამოშრობას და დაზიანებას, რაც ზრდის მცენარის გახარების პროცენტს და ამცირებს დაავადებების რისკს. სასურველია ე.წ კონტეინერი დამზადებული იყოს ისეთი მასალისაგან (ცელულოზა), რომელიც მოგვცემს საშუალებას თესლნერგის კონტეინერიდან ამოუღებლად გადავიტანოთ ნიადაგში (Beckjord, 1982; Stringer, Graves, 1992).

ჩვენს მიერ მიმდინარეობდა დაკვირვებები პავლოვნიას თესლნერგის განვითარებაზე, კონტეინერებში დათესვიდან დია ფართობზე გადასატან კონდინციამდე. რეგულარულ დაკვირვებებს ვაწარმოებდით 6. წვერიკმაზაშვილის სანერგე მეურნეობაში. ფიქსირდებოდა დათესვიდან აღმოცენებამდე დრო და აღმოცენებიდან ზრდა-განვითარების მაჩვენებლები. თესლი დაითესა დატენიანებულ სხვადასხვა საკვებ არეში: ტორფში, ნახერხში და შერეულ ნიდაგში

(ქვიშა+ტორფი+ტყის მიწა), კონტეინერები იმყოფებოდა 24-29°C ტემპერატურულ რეჟიმში (რაც ითვლება ოპტიმალურად თესლნერგების განვითარებისათვის Bekiord, 1982, 1984) და დამატებით ნათდებოდა ბიონათურების გამოყენებით.



ნახ. 3.1 დაკვირვებამ აჩვენა, რომ ყველა საკვებ არეში დათესილმა თესლმა აღმოცენება დაიწყო დათესვიდან ორი კვირის შემდეგ. განსხვავება მივიღეთ აღმონაცენის მაჩვენებლებში, კერძოდ: კარგად აღმოცენდა (95-98 %) შერეულ საკვებ არეში დათესილი, საშუალო მაჩვენებელი (75%-მდე) მივიღეთ ტორფში დათესილიდან და სუსტად აღმოცენდა ნახერხში დათესილი თესლი (20-25%). შემდგომი კარგი ზრდა-განვითარებაც შერეულ საკვებ არეში მყოფ თესლნერგებს ჰქონდათ, რომელთაც აღმოცენებიდან ერთ კვირაში სიმაღლეში 6-7 სმ. მიაღწიეს, ხოლო დია ფართობზე გადასატან კონდინციას ე.ი 18-25 სმ. სიმაღლეში, აღმოცენებიდან 40 დღის შემდეგ (ნახ. 3.1).

ჩანს, რომ შერეულ საკვებ არეში აღმოცენება-განვითარების მიღებული შედეგი უკეთესია სხვა საცდელი ვარიანტებთან შედარებით.

#### ▪ ფესვით გამრავლება

პავლოვნიას ფესვით გამრავლება ერთ-ერთი მიღებულია მეთოდია პრაქტიკაში. სანერგე მასალად ფესვის გადანაჭერი ითვლება, რომელიც სიგრძით 10-15 სმ, ხოლო დიამეტრი 2-2,5 სმ-ზე მეტი. დარგვამდე მას აშრობენ რამოდენიმე დღის მანძილზე (2-3 დღე), რაც საჭიროა ფესვის გადანაჭერის ერთგვარი „დალუქვისათვის“ ლპობის

პრევენციის მიზნით. ფესვის გადანაჭერიდან სარგავი მასალის მიღება შესაძლებელია, როგორც სანერგეში, ასევე უშუალოდ ლია ფართობზე, რაც შედარებით მოსახერხებელი და მარტივია. მიუხედავად ამისა მოცემულ მეთოდს გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

დადგენილია, რომ ფესვის გადანაჭერიდან მიღებული ნერგი დაავადებების მიმართ სუსტ მედეგობას იჩენს და მისგან მიღებული მერქანი შედარებით დაბალი ხარისხობრივი მაჩვენბელებით ხასიათდება (Clatterbuck, Hodges, 1999; Xin-yu, Gao, 1986). ამის გამო ამ მეთოდით გაშენებას ძირითადად თესლნერგების ნაკლებობის შემთხვევაში მიმართავენ.

#### ■ სარგავი მასალის გამოყვანა **in-vitro** მეთოდით

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ბოლო პერიოდში დიდი უურადღება ეთმობა პავლოვნიას სარგავი მასალის **in-vitro** მეთოდით მიღებას. მკვლევარები ამ მეთოდის გამოყენების მთავარ უპირატესობად დროის მცირე პერიოდში დიდი რაოდენობით სარგავის მასალის მიღებას ასახელებენ, ამასთან რეგენირებული ახალი მცენარე სრულად იმეორებს დედისეულ (ექსპლანტის) ნიშან-თვისებებს. ექსპლანტად გამოიყენება ძირითადად პავლოვნიას ყლორტისა და ფოთლის ნაწილები და არა თესლი, რომლის აღმოცენება მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს. თურქეთში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ **in-vitro** მეთოდით 3-4 კვირაში შესაძლებელია ახალი მცენარეების რეგენერაცია (Melhuish, 1992; Rao, Goh, Kumar, 1993; Ozaslan, Can, Aytekin 2001).

პავლოვნიას ნერგების **in-vitro** მეთოდით რეგენერაციის დაჩქარების მიზნით ზემოქმედებენ მაგნიტური ველით. ექსპერიმენტებით დადასტურებულია, რომ MF ზემოქმედებამ პოზიტიურად იმოქმედა რეგენერაციის პროცენტზე და ქლოროფილის მომატებაზე (20,6%) (Tian,

Kvang, Mei, 1991; Bergman, 1997; Brault, Maldiney, 1998; Carimi, Zottini, Formentin, 2002; Goodman, Greenebaum, Moron, 1995).

დადგენილია, რომ მთლიანობაში მაგნიტური ველისა და გამარადიაციის გამოყენება *in-vitro* პროცესში უზრუნველყოფს მეტად განვითარებული და სწრაფმზარდი მცენარეების წარმოებას (Zar, 1984; Mize, Chun, 1988; Namba, Sasao, Shibusama, 1995; Phirke, Kubde, Umbargar, 1996; Muraji, Asai, Tatebe, 1998; Tenforde, 1996; Yaycili, Alikamanoglu, 2005).



სარგავი მასალის შერჩევისას არსებობს ცალკეული კრიტერიუმები, რომელსაც უნადა აკმაყოფილებდეს ნერგი (თესლნერგი). ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, თესლნერგების გამოყვანის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე დამუშავდა სარგავი მასალის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები:

- 1-წლამდე კონტეინერული თესლნერგი მიზანშეწონილია სიმაღლეში იყოს 18-25 სმ-ის ფარგლებში და განვითარებული ჰქონდეს 5-7 ფოთოლი მაინც;
- ერთი წლის ნერგის (თესლნერგის) შემთხვევაში, სასურველია ჰქონდეს სწორედ განვითარებული და გამერქნებული დერო;
- ფესვთა სისტემა ჰქონდეს კარგად განვითარებული და ხშირი (ჩვენი დაკვირვებით 25სმ. სიგრძის თესლნერგს უნვითარდება 15-25 სმ. სიგრძის ფესვი);
- თესლნერგი არ უნდა იყოს დაზიანებული ან დაავადებული.

სარგავი მასალის სწორად შერჩევას, ადგილობრივი პირობებისათვის, სახეობების მიხედვით პლანტაციის გაშენების საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

### **3.1.1 გასაშენებელი ფართობის შერჩევის პირობები**

პლანტაციის წარმატებით წარმოებისთვის მნიშვნელოვანია ფართობის სწორად შერჩევა: ნიადაგების, ზღვის დონიდან სიმაღლისა და კლიმატური ოლქების მიხედვით.

საქართველოს კლიმატურ პირობებში მისი გაშენება შესაძლებელია ზ.დ 20-850 მ-მდე, ნაკლებად ქარიან ადგილებზე, როგორც ვაკე ისე დაფერდებულ ფართობებზე. ჩვენი გამოკვლევების მიხედვით პაგლოვნია ნორმალურად ვითარდება კარგი დრენაჟის მქონე, ტენიან თიხნარ და ალუვიურ ნიადაგებზე, pH 4-8,5 შემცველობით (იხ. თავი 1.2.1).

ფართობის შერჩევის შემდეგ, ხდება მისი მომზადება დარგვისათვის. პრაქტიკაში მიღებულია ნიადაგის დამუშავება 30 სმ სიღრმეზე ზაფხულის ბოლოს, შემოდგომასა ან ზამთარში. სარეველების მოსპობის მიზნით გაზაფხულზე, დარგვამდე ახდენენ ნიადაგის დამუშავებას ჰერბიციდებით (Beckjord, 1964; Stringer, 1986; Augustine, 1996).

### **3.2 პაგლოვნიას პლანტაციის სახეები, გაშენების ტექნიკა და სქემები**

დანიშნულების მიხედვით პრაქტიკაში მიღებულია პაგლოვნიას პლანტაციების 4 ძირითადი სახე, რომელთა წარმოება შესაძლებელია საქართველოს პირობებშიც, კერძოდ:

- სამრეწველო პლანტაცია (საქმისი მერქნის მიღების მიზნით);
- ენერგეტიკული პლანტაცია (ბიომასის მიღების მიზნით);
- რიგთაშორისი (დაცვითი ზოლები) პლანტაცია (დაცვითი ფუნქცია + საქმისი მერქანი);
- ეკო პლანტაცია (ნიადაგდაცვითი და კლიმატმარეგულირებელი).

პლანტაციის მოცემული სახეები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცალ-ცალკე, ან თავისთავში მოიცავდეს რომელიმეს ფუნქციური

დატვირთვის მიხედვით, მაგალითად: სამრეწველო პლანტაციიდან, რომელიც ორიენტირებულია საქმისი მერქანის მიღებაზე, შესაძლებელია ასევე მიღებულ იქნას ბიომასა (ნარჩენი, ტოტები, ფოთოლი და სხვ.), რომელიც გამოიყენება ენერგეტიკული დანიშნულებით. ასევე რიგთაშორისო პლანტაცია, რომლის ძირითადი ფუნქციაა საჭირო მიკროკლიმატის შექმნა მოსავლის გადიდების ხელშეწყობის მიზნით, მიიღება საქმისი მერქანიც, ე.ი გააჩნია სამრეწველო დანიშნულება, ასევე ცხადია ყველა სახის პლანტაციას პარალელურად აქვს ეკოლოგიური დატვირთვაც.

#### ■ სამრეწველო პლანტაცია

პავლოვნიას სამრეწველო დანიშნულლების პლანტაცია ერთ-ერთი გავრცელებული სახეა მსოფლიოში. პლანტაციას ფართობზე სხვადასხვა პროპორციით აშენებენ, რაც დამოკიდებულია მისაღები სორტიმენტის კატეგორიაზე.

წვრილმზომი სორტიმენტის (ბოძი, სარი, ჭიგო და სხვა) მიღების შემთხვევაში პრაქტიკაში მიღებულია პლანტაციის გაშენება 2X2, 2X3 მ.-ზე, ანუ 1500-2500 ცალი 1 ჰა-ზე. სამასალე სორტიმენტის მიღების მიზნით 4X4 მ.-ზე, ანუ 625 ნერგი 1 ჰა-ზე (Xin-yu, Gao, 1986; Anon, 1986; Jonson, 2000).

ჩვენი კვლევის მიხედვით, მოცემული პროპორციით გაშენებული პლანტაციის მარაგმა, სათანადო მოვლისა და განვითარების პირობებში შესაძლებელია 1 ჰა ფართობზე 6 წლის შეადგინოს 244 მ<sup>3</sup>, ხოლო 10 წლის ხნოვანებაში 400 მ<sup>3</sup>-ს გადააჭარბოს. ე.ი მისი ყოველწლიური საშუალო შემატებაა 44 მ<sup>3</sup>.

მონაცემები აჩვენებს, რომ მოცემული პროპორციით გაშენება ეფექტურია სამრეწველო პლანტაციაში.

## ▪ ენერგეტიკული პლანტაცია

ამჟამად მთელს მსოფლიოში შეინიშნება მზარდი ინტერესი განახლებადი ენერგიის წყაროების ეკონომოკის სხვადასხვა დარგებში გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია გარემოს დაცვის აუცილებლობით და ასევე წიაღისეული საწვავი რესურსების მოსალოდნელი ამოწურვის პროგნოზით.

ევროკავშირის გადაწყვეტილებით, მასში შემავალი ქვეყნების ენერგეტიკულ ბალანსში განახლებადი ენერგიის წყაროების წილი 2020 წლისათვის უნდა შეადგენდეს 20%-ს. მოცემული ტენდენციის კვალდაკვალ, ენერგეტიკული მეტყველობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, განეხლებადი ენერგეტიკული რესურსების გაზრდის თვალსაზრისით (Spinelli, Kofman, 1996; Gallagner, Shaffer, Rummer, 2006; Mitchell , Overend, 2010).


ცნობილია, რომ ენერგეტიკული პლანტაციის მთავარი დანიშნულება ბიომასის მიღებაა, რომელიც წარმოადგენს განახლებადი ენერგიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს. ენერგეტიკულ პლანტაციაში, ბიომასის დაგროვების მიზნით აქცენტი კეთდება არა იმდენად სორტიმენტის სიმსხოსა და სიმაღლეზე, რამდენადაც რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე პლანტაციებს აშენებენ  $0,5\times 1,0$ ;  $1\times 1$  და  $1\times 2$  მ.-ზე, ე.ო 15000; 10000 ან 5000 ხის ანგარიშით 1 ჰა-ზე.

დადგენილია, რომ ენერგეტიკულმა პლანტაციამ 1 ჰა-ზე 5000 ხის ანგარიშით, 2 წლის ხნოვანებაში შეადგინა 40000 კგ. მშრალი ბიომასა. ხოლო 1 ჰა-ზე 1600 ხის ანგარიშით, 5 წლის ხნოვანებაში შეადგინა 150000 კგ. მშრალი ბიომასა (Huaxin, 2007).

შესწავლილია, რომ ნორმალურ პირობებში განვითარებული P.elongata-ს მთლიანი ბიომასა 5 წლის ხნოვანებაში ხის ძირითადი ნაწილების მიხედვით პროცენტულად ნაწილდება შემდეგნაირად: ლერო-

37,4%, გოგები-30,9%, ფეხვები-23,4%, ფოთოლი-7,9%; ყვავილები-0,4% (ი. ნა. 3.2).

69b980 3.2



3.2 ნახატიდან ჩანს, რომ ხის ბომასის ძირითადი ნაწილი პროცენტულად მაინც დეროსა და ტოტებზე მოდის (68,3%), ასევე საკმაოდ დიდი წილია მიწისქვეშა ნაწილზე-ფესვებზე (23,4%).

ფართობის უკეთ ათვისების და ოპტიმალური შედეგის მიღების  
მიზნით ენერგეტიკულ პლანტაციაში პავლოვნიას აშენებენ ბამბუკთან  
ერთად 1 ჰა-ზე 250 პავლოვნიას, ხოლო 20300 ბამბუკის ანგარიშით.

ამასთან ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ პავლოვნიას გაშენება  
სხვა სწრაფმზარდ სახეობებთან ერთად არ არის მიზანშეწონილი,  
რადგან ამ შემთხვევაში პავლოვნია ნაკლებად კონკურენტუნარიანია.  
ბამბუქთან ერთად გაშენების შემთხვევაში ეს პრობლემა არ დგას,  
რადგან შესწავლილია, რომ ბამბუქი ვერც ფესვთა სისტემით და ვერც  
ვარჯის განვითარებით ვერ უწევს კონკურენციას პავლოვნიას.

მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ პავლოვნია პერსონული სახეობაა ენერგეტიკულ მეტყველებაში გამოყენების თვალსაზრისით.

#### ▪ რიგთაშორისი (დაცვითი ზოლები) პლანტაცია

რიგთაშორისი დარგვა მეტად მიღებული ფორმაა მრავალ ქვეყანაში, რაც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ერთწლოვან კულტურათა რიგებში პავლოვნიას ხეების გაშენებას. მას ასევე იყენებენ ჩაის პლანტაციების რიგთაშორის დარგვაში.

პრაქტიკაში დანერგილია პავლოვნიას რიგთაშორისი გაშენების ძირითადად სამი ფორმა:

- პირველი, როცა აქცენტი კეთდება მერქნული მასის მიღებაზე და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღება მეორეხარისხოვანია. ამ შემთხვევაში 1 ჰა. ფართობზე ირგვება 200-400 ხე, ე.ი 5X10 ან 5X5 მ.-ზე. კვლევამ აჩვენა, რომ მოცემული პროპორციით გაშენებულ პლანტაციაში გაიზარდა ერთწლიანი კულტურების (ხორბლეული) მოსავლიანობა, ასევე კარგ მაჩვენებლებს მიაღწია პავლოვნიას განვითარებამ.
- მეორე, როდესაც თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რაოდენობის გაზრდა, ასევე მერქნული რესურსის მიღება. ამ შემთხვევაში პავლოვნია 1 ჰა ფართობზე ირგვება 150-მდე ხე, 5X15 მ-ზე (Huaxin 2007).
- მესამე, როდესაც პრიორიტეტული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რაოდენობის გაზრდაა და პავლოვნიას ამ შემთხვევაში მხოლოდ დაცვითი ფუნქცია გააჩნია. ასეთ დროს პავლოვნიას ფართობზე რგავენ 5X30 მ-ზე, რაც 1 ჰა-ზე 70-მდე ხეა.

ჩინეთში შეისწავლეს რიგთაშორისი წესით პავლოვნიას ხეების გაშენების ეფექტურობა სასოფლო სამეურნეო კულტურებისთვის საჭირო მიკროკლიმატის შექმნის თვალსაზრისით. გამოირკვა, რომ პავლოვნიას დაცვითი ზოლები მნიშვნელოვნად ამცირებს ქარის

სიჩქარეს საშუალოდ 21-52%, რაც მის უარყოფით გავლენას ასუსტებს; ამცირებს ნიადაგიდან ტენის დაკარგვის შესაძლებლობას 9,7%-ით დღის, ხოლო 4,3%-ით ღამის პერიოდში, რაც ასევე ხელს უწყობს ჰაერის ფარდობითი ტენიანობის შენარჩუნებას. შესწავლილია, რომ ზაფხულის ცხელ დღეებში, ფართობზე, სადაც პავლოვნიაა გაშენებული ტემპერატურა  $0,2-1,2^{\circ}\text{C}$ -ით უფრო დაბალია, დია ფართობთან შედარებით (Huaxin, 2007).

დადენილია, რომ პავლოვნიას ნარგაობების კომპლექსურმა დაცვითმა ეფექტიანობამ განაპირობა ხორბლის მოსავლიანობის გაზრდა 6-23%-ით, ფეტვის 16-20%-ით, ხოლო სიმინდის 8-17%-ით.

საქართველოში ამ დანიშნულებით პავლოვნია ჯერჯერობით არ გამოიყენება, თუმცა მოცემული შედეგები ცხადყოფს ამ მხრივ მისი გამოყენების ეფექტურობას.

#### ▪ ეკო პლანტაცია (ნიადაგდაცვითი და კლიმატმარეგულირებელი)

ეკო პლანტაციებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მასშემდეგ, რაც ტყეების უსისტემო გაჩანაგებამ მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში შეუქცევადი ეკოლოგიური პრობლემები წარმოშვა.

ამ მიზნით ზოგიერთ სწრაფმზარდ სახეობასთან ერთად, აქტიურად გამოიყენება პავლოვნია, რომლის მაღალი ეკოლოგიური მახასიათებლები ცნობილია, კერძოდ: მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფეროში სითბური აირების ემისიას; მძლავრი ფესვთა სისტემით იცავს ნიადაგს ეროზიისაგან; ამცირებს ქარის სიჩქარეს და მზის პირდაპირ რადიაციას; ხელს უწყობს ატმოსფეროს მტვერისაგან გაწმენდას ფართო და ბუსუსიანი ფოთლების მეშვეობით და სხვა. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მისი სწრაფმზარდობიდან გამომდინარე დაცვითი ფუნქციების შესრულებას იწყებს 3 წლის ხნოვანებიდან,

მაშინ როდესაც მერქნიანი სახეობების დიდი ნაწილი ამ კონდინციამდე მისვლას ზოგჯერ ათეულ წლებს ანდომებს.

ეპო პლანტაციაში, ფართობზე ხეთა რაოდენობა და განლაგების პროპორცია არ არის კონკრეტულად განსაზღვრული, რაც დამოკიდებულია ძირითადად რელიეფის ნაირგვარობასა და პრობლემის ხასიათზე.

საქართველოში პავლოვნიას ამ ტიპის პლანტაციის გაშენების პირველი პრეცენდენტი იყო 2004-05 წლებში პროფ. თ. კანდელაკის ხელმძღვანელობით შესრულებული პროექტი, რომლის მიზანიც იყო, დაბა ლაითურის ფერმერთა ნაკვეთებზე (1,2 ჰა.) ეროზიის საწინააღმდეგო დონისძიებებში პავლოვნიას გამოყენების ტექნოლოგიის გაცნობა-დემონსტრირება.

ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ყურადღების გამახვილება საქართველოშიც მნიშვნელოვანია, იმ ფონზე, როდესაც ბოლო წლებში ტყეების უსისტემო ჭრამ წარმოშვა ეკოლოგიური პრობლემები, ამას ემატება ეროზირებული ფართობები, რომელიც ზოგიერთი მონაცემით 205.7 ათასი ჰა-ს აღემატება, აქედან 110.5 ათასი ჰა სუსტი, 74.4 ათასი ჰა საშუალო და 20.8 ათასი ჰა ძლიერი ინტენსივობით ხასიათდება (ურუშაძე, 2001).



საქართველოში ბოლო 6-7 წლის მანძილზე გაშენებული პავლოვნიას პლანტაციები სამრეწველო სახისაა. თუმცა მათი გაძლოლის აგროტექნიკის არ ცოდნისა და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების უქონლობის გამო, თითქმის ყველა ჩვენს მიერ აღწერილი პლანტაცია არ შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს. კერძოდ, ფართობზე გაშენებულია პროპორციით (2X2, 2,5X2,5) ისე,

როგორც გააშენებდნენ არა სამრეწველო, არამედ ენერგეტიკულ ან ეკო პლანტაციას.

ლაგოდეხში თ. გელაშვილის და ლანჩხუთში ა. იმნაიშვილის მცირე სამრეწველო პლანტაციაზე დაკვირვებამ, რომელიც გაშენებულია ფართობზე  $2,0 \times 2,5$  მ-ზე, ე.ი 2000 წის ანგარიში 1 ჰა-ზე, გვიჩვენა, რომ 3 წლის ხნოვანებაში ვარჯის ზრდამ და ფესვთა სისტემის კონკურენციამ ხეების შემდგომ განვითარებას ხელი შეუშალა (იხ. ნახ. 3.4). ხოლო ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითში გაშენებული პლანტაცია 30 ჰა ფართობზე,  $4 \times 4$  მ-ზე იგივე ხნოვანებაში ნორმალურად ვითარდებოდა, რაც დადასტურდა წის ღეროს ზრდის მსვლელობის შესწავლით (იხ. ნახ. 3.3)



ნახ. 3.3.



ნახ. 3.4

შესწავლილია, რომ 3 წლის ხნოვანებაში პავლოვნიას ვარჯის პროექცია უდრის  $3,5 \times 2,8$ ; 4 წლის ხნოვანებაში  $4,6 \times 4,5$  (Stringer, 1986; Huaxin, 1998); ჩანს, რომ  $2,0 \times 2,5$  მ-ზე გაშენებულ პლანტაციაში ვარჯის შემდგომი განვითარება ფერხდება 3 წლის ხნოვანებიდან, ასევე ფესვთა სისტემის სწრაფად განვითარების გამო მცირდება საკვები არე,

რაც მაღალ კონკურენტულ პირობებში პლანტაციის თანაბარ განვითარებას აფერხებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კლიმატურ პირობებში სამრეწველო პლანტაციის გაშენების მიზნით სარგავი მასალის რაოდენობა 1 ჰა-ზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია იუოს 625 ძირი, 4X4 მ-ზე განლაგებით, რაც უზრუნველყოფს პლანტაციის ნორმალურ განვითარებას 6-7 წლის, ანუ პირველი ჭრის ხნოვანებამდე.

### 3.3 პლანტაციის მოვლითი დონისძიებები და მაღალი ხარისხის ღეროს ფორმირების წესები

პლანტაციის მოვლის 7 წლიან პერიოდში გამოსაყოფია პირველი სამი წელი, როდესაც პლანტაციისათვის მოვლის სწორ აგროტექნიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია დასახული მიზნების მისაღწევად.

ახლად გაშენებულ პლანტაციაში თესლნერგების დაზიანების მაღალი ალბათობა არსებობს, რადგან ახალგაზრდა თესლნერგების კანი ძალზედ თხელია და შესაძლოა დაზიანდეს სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით, რაც შემდგომ ცუდად აისახება მერქნის ხარისხზე. აქედან გამომდინარე პრაქტიკაში მიღებულია ყინვისა (ადრეულა და გვიანა) და მზის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე ნერგებს ღეროზე უსვამენ კირის ხსნარს.

ასევე საყურადღებოა ქარის უარყოფითი ზემოქმედება პავლოვნიას ახალგაზრდა ნარგაობებზე, რომელიც პირველ წელსვე რამოდენიმე მეტრს აღწევს სიმაღლეში, თუმცა ფესვთა სისტემა ჯერ კიდევ სუსტია, რაც ხშირად ქარის ზემოქმედებით ღეროს დეფორმაციის მიზეზი ხდება. ასეთ დროს ნერგს ასწორებენ და ამაგრებენ ვერტიკალურ მდგომარეობაში. იმ შემთხვევაში, თუ ღერო

ძალზედ დეფორმირებულია მას ჭრიან ფესვისყელთან, რეგენერაციის შემდეგ სწორი და კარგადგანვითარებული დეროს მისაღებად (Petrides, 1972; Rehder, 1983; Niemeier, 1984; Sand, 1992).

პავლოვნია, როგორც ცნობილია მეზოფიტი მცენარეა. განსაკუთრებით ახალგაზრდა ნარგაობები საჭიროებენ შესაბამის ტენს ნიადაგში, ამგვარად დროული და რეგულარული მორწყვა აუცილებელია ამინდისა და ნიადაგში ტენის გათვალისწინებით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პავლოვნია ვერ გვუპას ჭარბტენიანობას (დაჭაობებულ ნიადაგებს), რაც იწვევს მცენარის დაავადებას ქლოროზით და დაღუპვას.

პლანტაციის გაშენების საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს სარეველების კონტროლს, რადგანაც მათ შორის კონკურენცია მაღალია, რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებს ახალგაზრდა ნარგაობების განვითარებას.

ახალგაზრდა ნერგების (თესლნერგების) ფესვთა სისტემისა და ლეროს ზრდის გაუმჯობესების მიზნით, სასუქების სახით გამოიყენებენ ძირითადად აზოტოვან სასუქს. მისი გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რადგან ნერგთან ახლოს დაყრისას შესაძლოა გამოიწვიოს ფესვის ყელის დაწვა, ასევე მიზანშეწონილია სასუქის გამოყენება გაზაფხულზე ან ზაფხულის პირველ ნახევარში, რადგან უფრო გვიან გამოყენების შემთხვევაში მცენარე ვერ ასწრებს ზრდაში დასრულებას, გაუმერქნებელი ხვდება ადრეულა ყინვებს, რამაც შესაძლოა მცენარის დაღუპვა გამოიწვიოს (Graves, 1989; Graves, Stringer, 1989; Palmdale, 2009).

#### ■ ლეროს ზრდისა და ფორმის გაუმჯობესების მეთოდები

პლანტაციაში, ხეების ლეროს ფორმირება პირდაპირ კავშირშია მერქნის გამოსავლიანობასთან და ხარისხთან, განსაკუთრებით ეს

მნიშვნელოვანია სამრეწველო პლანტაციაში, რომლის ძირითადი დანიშნულება მაღალი ხარისხის და გამოსავლიანობის საქმისი მერქნის მიღებაა.

თანამედროვე პრაქტიკაში შემუშავებულია დეროს ფორმირების მეთოდები, რაც იძლევა საშუალებას მაღალ ხარისხიანი პლანტაციის წარმოებისა.

დეროს ფორმირებას იწყებენ დარგვიდან მეორე წლის გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყებამდე, როდესაც ახდენენ ერთი სავეგეტაციო წლის ნაზარდის გადაჭრას ფესვის ყელთან. მოცემული ქმედების მთავარი არსი მდგომარეობებს, იმაში რომ ამ ოპერაციის შემდეგ იზრდება უფრო სწორი, უკეთესი ფორმის დერო, რაც პლანტაციის მეტ-ნაკლებად თანაბარი განვითარების საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ პავლოვნიას გააჩნია ცრუ დამატებითი კვირტები, რომლისგანაც ყოველწლიურად ვითარდება ახალი მთავარი ყლორტი, რის გამოც ყალიბდება დაბრეცილი დერო და ამის შედეგად ხეს გააჩნია დეროს ცუდი ფორმა. გადაჭრის მიზანია სწორი, 2,5-დან 5 მ-მდე დეროს მიღება პირველ წელიწადს გადაჭრის შემდეგ (იხ. ნახ. 3.5; 3.6).

მიზანშეწონილად ითვლება დეროს ცერად გადაჭრა და გადანაჭერი ადგილის დამუშავება კირიანი ხსნარით ან ბალის მალამოთი, რათა ტენის დაგროვებამ ან ბაქტერიების შეჭრამ არ გამოიწვიოს დეროს ლპობის პროცესი (Graves, Stringer, 1989; Beckjord, 1990).

დეროს გადაჭრის მნიშვნელობა გარდა დეროს ფორმის გაუმჯობესებისა მდგომარეობს ფესვთა სისტემის გაძლიერებაშიც. როგორც ცნობილია პავლოვნია სწრაფად ივითარებს ფესვთა სისტემას განსაკუთრებით პირველი ორი წლის განმავლობაში და ამ დროს

დეროს გადაჭრით მცენარეს ეძლევა საშუალება მთლიანი ენერგია ფესვთა სისტემის განვითარებას მოახმაროს, რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა კარგი ფორმისა და ხარისხის პლანტაციის მისაღებად.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძიმითის პლანტაციაში გადაუჭრელად დატოვებულ ყველა ეგზემპლარს თავდაპირველად შეეზღუდა განვითარება, მოგვიანებით კი თითქმის ყველა დაიღუპა.



ნახ. 3.5



ნახ. 3.6

3.5; 3.6 ნახატზე ნაჩვენებია ლაგოდებაში და გურჯაანის რაიონში გაშენებული პლანტაცია, დეროს გადაჭრის შემდგომ რეგენირებული სწორი და თანაბარი განვითარებით.

მეორე წლიდან (გადაჭრის შემდეგ – პირველი წლიდან) პლანტაცია საჭიროებს ვარჯის ფორმირებას, რადგან პავლოვნია ივითარებს დამატებით ტოტებს, რომლის დატოვება ხეზე აუარესებს დეროს ფორმას და ხარისხს. დამატებითი ტოტები ვითარდება კვირტებიდან, რომლებიც განლაგებულია ფოთლის დეროსა და ხის დეროს გადაკვეთის ადგილას. ამ კვირტების და ტოტების მოშორება საჭიროა მათ გამერქნებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა ფაქტორების გამო ხეს გააჩნია დაბალი და მოხრილი დერო, პრაქტიკაში მიღებულია მეორე წლიდან მისი გადაჭრა ვარჯის დასაწყისთან. შესწავლილია, რომ გადაჭრის

შემდგომ ვითარდება სწორი და მაღალი დერო და არ ფუჭდება მერქნის ხარისხი.

პლანტაციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი დონისძიებაა ვარჯის ფორმირება, რომელსაც მიმართავენ 3-4 წლის ხნოვანებიდან. ვარჯის გამოხვის შედეგად უმჯობესდება სასინათლო პირობები და გამოთავისუფლებული ენერგია იხარჯება დეროს განვითარებაზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭიროა გარკვეული ზომიერების დაცვა. ზოგიერთი მკვლევარი (Graves, Stringer, 1989; Palmdale, 2009) იძლევა რეკომენდაციას, რომ ფორმირებული ვარჯის დონე უნდა შეადგენდეს 30%-ს, მთლიან ხის სიგრძესთან მიმართებაში (ვარჯის სიგრძე/ხის სიგრძე).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხრილის სახით მოგვაქვს პლანტაციის გაშენებისა და მოვლის დონისძიებების კალენდარული გეგმა (იხ. ცხრ. 3.1).

### ცხრილი 3.1

პლანტაციის გაშენებისა და მოვლის კალენდარული გეგმა

№	ჩასატარებელი დონისძიება	დონისძიების განხორციელების დრო
1	2	3
1	საპლანტაციო ადგილის შერჩევა;	ზაფხულის ბოლო და შემოდგომა
2	ადგილის მომზადება;	
3	ადგილის დამუშავება პერძიციდებით და სასუქებით	ადრე გაზაფხული
4	პლანტაციის გადაჭრა ფესვის ყელთან (მეორე წელს)	
5	პლანტაციის გაშენება	აპრილის ბოლოდან ივნისის ბოლომდე
6	დეროს ფორმირება	
7	პლანტაციის გასუფთავება (მოთიბვა)	ზაფხული (ივნისი, ივლისი, აგვისტო)
8	მორწყვა (საჭიროებისამებრ)	
9	პლანტაციის გამოხვისამებრ (6-7 წლიდან)	შემოდგომა, ზამთარი (ვეგეტაციის დასრულების შემდეგ)

საქართველოს პირობებში პლანტაციის გაშენების მიზნით, სარგავ მასალად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას თესლნერგი.

პლანტაცია სასურველია გაშენდეს ტენიან კლიმატურ პირობებში, ალუვიურ (ქვიშნარ) და თიხნარ, დრენირებულ ნიადაგებზე.

### 3.4 პავლოვნიას ძირითადი დაავადებები და მავნებლები

შესწავლილია, რომ მთლიანობაში პავლოვნია დაავადებების მიმართ საკმაოდ გამძლეობით ხასიათდება, თუმცა გამოიყოფენ რამოდენიმე ძირითად დაავადებას და მავნებელს, რომელიც აზიანებს, როგორც ახალგაზრდა ისე სიმწიფეში შესულ ხეს.

ერთ-ერთ მთავარ დაავადებად, რომელიც ჩინელი სპეციალისტების მონაცემებით (Xin-yu, Gao, 1986; Huaxin, 2007) აზიანებს, როგორც მწიფე, ასევე ახალგაზრდა ხეებს და ნერგებს, გამოყოფენ – ქაჯის ცოცხეს (Witches' broom). იგი ინფექციური დაავადებაა, რომელიც შესაძლებელია განვითარდეს ლეროზე, ტოტებზე, ყვავილებზე და ფესვებზე.

დაავადების განვითარებისას, დაავადებულ ტოტებზე დამატებითი (ადვენტური) კვირტები იზრდება დიდი რაოდენობით, რაც ქმნის ერთგვარ ტოტების კონას. მასზე განვითარებული ფოთლები ყვითელი, პატარა ზომის, თხელია და დანაოჭებული. ყვავილის ფურცლები იღებენ ფოთლის ფორმას, ხოლო ყუნწები სახეცვლილ ტოტებად ვითარდება. ყვავილის ჯამი თხელდება, იცვლის ფერს (ყვითლდება) და სცვივა ბუსუსები. სათესლე კოლოფი სრულიად დეფორმირებულია. დაავადებული ტოტების ჯგუფი უნარჩუნდება ზამთრის განმავლობაშიც, რომელიც გაშიშვლებულ მდგომარეობაში ცოცხეს წააგავს, საიდანაც წარმოდგა მისი სახელწოდება.

კვლევებით დადასტურებულია, რომ ქაჯის ცოცხის (Witches' broom) ბაქტერიის მოხვედრა ხე-მცენარეებში იწვევს რიგ

ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ ენერგიის მიწოდების ბალანსის დარღვევას, კვების ნაკლებობას, რაც განაპირობებს მცენარის დაღუპვას. ქლოროფილის და ცილების შემცველობა დაავადებულ ფოთლებში მცირდება 30-40%-ით, ჯანსაღ ფოთლებთან შედარებით და სხვა (Xin-yu, Gao, 1986; Huaxin, 2007).

დაავადება ვრცელდება, დაავადებული მცენარეული სარგავი მასალის (ფესვი, ღერო) გამოყენების შემთხვევაში და ზოგიერთი მწერის მეშვეობით, როგორიცაა *Empoasca flavescens* (Xin-yu, Gao, 1986).

დაავადების საკონტროლოდ, ნერგების დაზიანების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი სრული განადგურება, ხოლო დაზიანებულ ხეს აჭრიან ტოტებს და გადაჭრის ადგილის ე.წ ტერამიცინის ან ბაფის მალამოთი ამუშავებენ;

დაავადებული ან რისკის მქონე ფესვებს გამრავლების მიზნით გამოყენებამდე, ამუშავებენ ბორის (0,01-0,5%), ნატრიუმის თიოსულფატის (2%), ნატრიუმის სულფატის (1%), და თუთიის სულფატის (0,1%) ხსნარში 6-12 საათის განმავლობაში, ან  $45-48^{\circ}\text{C}$  წყალში 20 წუთის განმავლობაში (Huaxin, 2007).

პავლოვნიას ნერგების ერთ-ერთი მთავარ დაავადებად ასევე სახელდება ანტრაქნოზი. აღწერილია, რომ იგი აზიანებს, ფოთლებს, ფოთლის ღეროს და მთლიანად ნერგებს. დაზიანებულ ფოთლებს უჩნდებათ მკრთალი ლაქები, რომელიც გადაიზრდება ყავისფერ, მრგვალ ლაქებად, ირგვლივ მოყვითალო-მწვანე ლაქებით. დაავადებული ფოთლები ცვივა ადრე, მასშემდეგ, რაც დაზიანდება ფოთოლის ძარღვები და დეფორმირდება (ხუჭუჭდება).

დაავადების გამომწვევი სპორების განვითარებისათვის სასურველ პირობებად სახელდება მაღალი ფარდობითი ტენიანობა (80-98 %) და ტემპერატურა  $25^{\circ} \text{C}$ . დაავადების პრევენციისათვის დარგვამდე ან დათესვამდე 3-4 დღით ადრე ნიადაგს ამუშავებენ 8გ. pentachlornitre-

benzene-ს ხსნარით ან რკინის სულფატით ( $\text{FeSO}_4$ ) ერთ კვადრატულ მეტრზე. ასევე მუშავდება თესლი 0,2%-იანი ფენილგერცხლისტყლის (phenylmercuric) აცეტატის ხსნარში 30 წუთის განმავლობაში.

ასევე გავრცელებული დაავადებაა *Sphaceloma paulowniae* Hara, რომელიც აზიანებს ნერგებს ან ახალგაზრდა ხეებს. დაავადებულ მცენარეს ფოთლებზე ან ზოგჯერ ღეროზე უჩნდება ყავისფერი ლაქები ყვითელი კიდეებით. ახალი ფოთლების დაზიანებული ძარღვები ხშირად იწვევს ფოთლების დეფორმაციას (დახუჭუჭებას), რომელიც გადადის ღეროზე, რაც იწვევს მცენარის დაღუპვას. ამ დაავადების გავრცელების დრო ემთხვევა ანტრაქნოზის გავრცელებას. ამ ორი დაავადების ბრძოლის მეთოდებიც ერთგვარია.

ნერგების ზოგიერთი დაავადების მთავარ გამომწვევა პათოგენებად სახელდება *Rhizoctonia solani* და *Fusarium*. ცნობილია, რომ პათოგენური ორგანიზმები მთელი ზამთრის განმავლობაში ცოცხლობენ ნიადაგში მცენარეების ფესვებზე და იწყებენ გავრცელებას ადრე გაზაფხულზე.

გარდა პათოგენური დაავადებებისა, პავლოვნიას აზიანებს ასევე ფოთლისმჭამელი მავნებლები, რაც ასევე სერიოზული პრობლემა. ერთ-ერთი ძირითადი მავნებელია *Cerambycidae* (ხოჭო), რომელიც აზიანებს ფოთოლს. საქართველოში პავლოვნიას ხეების პათოგენური დაავადების შემთხვევა არ არის აღწერილი. ჩვენს მიერ გურიაში,



პლანტაციურ ნარგაობაში დაფიქსირებულია პავლოვნიას ხოჭოს მიერ ფოთლის დაზიანების ერთგული შემთხვევა (იხ. ნახ. 3.7).

### ნახ. 3.7

ხოჭოს მიერ დაზიანებული ფოთოლი.

ადნშნული დაავადებების განვითარების საშიშროების გამო, მიზანშეწონილი არ არის პავლოვნიას ფართობზე ახლო პროპორციით გაშენება, განსაკუთრებით ტენიან პირობებში, რადგან შესწავლილია, რომ მაღალი ფარდობითი ტენიანობა კარგ გარემოს ქმნის დაავადების განვითარებისათვის.

## IV თავი

მერქნის დაგროვების დინამიკა და ლეროს ჭრის წესები

### 4.1 ბუნებრივ გარემოში და პლანტაციაში პავლოვნიას

#### ზრდისმსვლელობის ანალიზი

პავლოვნიას სწრაფი ზრდის უნარი მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია სხვა მრავალი მერქნიანი სახეობისაგან. სამრეწველო დანიშნულებით გამოყენების ძირითადი მოტივაციაც, კარგ მერქნულ თვისებებთან ერთად მისი სწრაფმზარდობაა.

ჩინელი მკვლევარების (Xin-yu, Gao, 1986; Huaxin, 1996) მონაცემებით, ჩინეთში მზარდი 10 წლიანი პავლოვნიას ნორმალურ პირობებში ზრდის მსვლელობის საშუალო მონაცემები მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრ. 4.1).

#### ცხრილი 4.1

ჩინეთში, პავლოვნიას ზრდის მსვლელობის საშუალო მონაცემები

სახეობა	ხნოვანება (წელი)	ზრდა დიამეტრზე (სმ-ობით)		ზრდა სიმაღლეზე (მ-ობით)		მოცულობა (მ³-ობით)
		H	მიმდ. h	D <sub>t</sub>	მიმდ. d	
Paulownia Sieb.	10	38,6	4,0	13,2	1,3	0,802

4.1 ცხრილდან ჩანს, რომ 10 წლის ხნოვანებაში პავლოვნიას საშუალო მაჩვენებლით სიამდლეზე 13,2 მეტრს მიაღწია, ხოლო მოცულობით შეადგინა 0,802მ³. ჩინელი სპეციალისტები პავლოვნიას ათ წლიანი განვითარების პერიოდში გამოყოფენ, ზრდის 3 ან 4 ეტაპს, რომელთაგან ცალკე გამოსაყოფია პირველი, ყველაზე გრძელი ეტაპი, რა დროსაც მცენარეს ახასიათებს მაქსიმალური წლიური ზრდა სიმაღლეში (4-5 მეტრი). მომდევნო ეტაპები შედარებით მოკლეა, შესაბამისად ნამატი, როგორც სიმაღლეში, ისე მოცულობაში თანდათან მცირდება.

კვლევებით დადასტურებულია, რომ კულტივირებულ პავლოვნიას ზრდა-განვითარება იწყება გაცილებით ადრე, ვიდრე ტყის კორომში. ასევე პავლოვნიას ზრდა-განვითარების მაჩვენებლები მცირედით, მაგრამ მაინც განსხვავდება შიდა სახეობების მიხედვით (Wang, Shogren, 1992).

საქართველოს პირობებში პავლოვნიას ზრდის მსვლელობის შესწავლის მიზნით, ჩვენს მიერ მოჭრილ იქნა სხვადასხვა ხნოვანების სამოდელო ხეები, როგორც ტყები, ისე პლანტაციაში.

პავლოვნიას ზრდის მსვლელობის თავისებურებების შესწავლის მიზნით, გამოვიყენეთ მეტყველეობა-ტაქსაციაში მიღებული ხის ღეროს როული ანალიზის მეთოდი, რამაც მოგვცა საშუალება დაგვედგინა სიმაღლესა თუ სიმსხოს მიხედვით პავლოვნიას ზრდის მსვლელობის დინამიკა სხვადასხვა ადგილსარსებო (ტყე, პლანტაცია) პირობებში (აფციაჟი, 1964).

განისაზღვრა პავლოვნიას ზრდის მსვლელობის ძირითადი მეტყველე-სატაქსაციო ნიშნები, კერძოდ: სიმაღლეზე და სიმსხოზე ზრდა, მათი საშუალო და მიმდინარე ნამატებით; მოცულობის საშუალო და მიმდინარე ნამატი, ასევე მიმდინარე ნამატის პროცენტი; განივგეთის ფართობი და სახის რიცხვი. მიღებული მონაცემების მიხედვით შევადგინეთ შემაჯამებელი ცხრილები და ზრდის მსვლელობის მონაცემები გამოვსახეთ გრაფიკულად.

#### ■ პავლოვნიას ზრდისმსვლელობა პლანტაციაში

პლანტაციაში პავლოვნიას ზრდის მსვლელობის შესასწავლად, როული ანალიზის მეთოდით დამუშავდა ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითში და დაბა ჩაქვში გაშენებულ 3 და 6 წლიან პლანტაციაში მოჭრილი სამოდელო ხეები.

პლანტაციაში მზარდი პავლოვნიას ხეების რთული ანალიზის  
შემაჯამებელი ცხრილი

ხნოვანების პერიოდები	სიმაღლე (მ-ობით)		დიამეტრი (სმ-ობით)		განივევთის ფართის (მ <sup>2</sup> )	მოცულობა (მ <sup>3</sup> -ობით)	შემატება (დმ <sup>3</sup> -ობით)			სახის რიცხვი (F)
	H	მიმდ. h	D <sub>t</sub>	მიმდ. d			საშუალო	მიმდინარე	მიმდინარე (% ობით)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ძიმითი, სამოდელო 1										
1	5,6	5,6	5,85	—	0,0027	0,00952	—	—	—	0,62
2	9,6	4,0	8,8	2,95	0,0060	0,0265	13,25	0,01698	0,64	0,46
3	10,6	1,0	10,7	1,9	0,0090	0,0426	14,2	0,0161	0,38	0,44
ჩაქვი, სამოდელო 1										
1	4,6	4,6	4,85	—	0,0017	0,00664	6,64	—	—	1,37
2	7,6	3,0	8,4	3,55	0,0029	0,02130	10,65	0,01466	0,68	1,09
3	8,6	1,0	13,0	4,6	0,0048	0,05878	19,59	0,03748	0,64	0,71
4	9,6	1,0	16,2	3,2	0,0066	0,09896	24,74	0,04018	0,40	0,61
5	11,6	2,3	18,4	2,2	0,0083	0,13706	27,41	0,03810	0,28	0,53
6	12,6	1,0	20,6	2,2	0,0105	0,18908	31,51	0,05202	0,27	0,48
ჩაქვი, სამოდელო 2										
1	2,28	2,28	4,6	-	0,0017	0,00532	5,32	-	-	1,37
2	2,94	0,66	6,1	1,50	0,0029	0,00934	4,67	0,00402	0,43	1,09
3	4,60	1,66	7,8	1,70	0,0048	0,01578	5,26	0,00644	0,40	0,71
4	5,60	1,0	9,15	1,35	0,0066	0,02260	5,65	0,00682	0,30	0,61
5	6,60	1,0	10,3	1,15	0,0083	0,02888	5,78	0,00628	0,22	0,53
6	7,60	1,0	11,6	1,30	0,0105	0,0380	6,40	0,00912	0,24	0,48


ძიმითი სამრეწველო პლანტაცია გაშენებულია 30 ჰა ფართობზე,  
ზ.დ 148-152 მ-ზე, წითელმიწა — მუკლუ რეაქციის ნიადაგებზე  
(სამოდელო ხის GPS-კოორდინატები: X-0257239, Y-4655352).

დაბა ჩაქვში სამრეწველო პლანტაცია გაშენებულია 1 ჰა-ზე  
ფართობზე, ზ.დ 35-55 მ-ზე, წითელმიწა – მუვა რეაქციის ნიადაგებზე  
(სამოდელო ხის GPS-კოორდინატები: X-0728720, Y-4621022).

შევნიშნავთ, რომ ზრდის მსვლელობის დინამიკაში უკეთ  
დაკვირვების საშუალებას იძლევა მეტი ხნოვანების სამოდელო ხეების  
შესწავლა, რის საშუალებაც ჩვენ არ მოგვეცა, ვინაიდან ამჟამად  
საქართველოში ყველაზე ხნოვანი დ. ჩაქვში გაშენებული 6 წლიანი  
პლანტაციაა.

პავლოვნიას ზრდისმსვლელია პლანტაციაში ცხრილი 4.2-ის  
მიხედვით გარფიკულად მოცემულია ნახატებზე (ნახ. 4.1....4.8)

ნახატი 4.1




ნახატი 4.1-დან ჩანს, რომ პლანტაციაში პავლოვნია სწრაფი  
ზრდით ხასიათდება, განსაკუთრებით ეს შეინიშნება პირველი სამი  
წლის პერიოდში. ძიმითის პლანტაციაში სამოდელო პავლოვნიამ, სამ  
წელიწადში სიმაღლეში 10 მ-ს გადაჭარბა, ხოლო ჩაქვის პლანტაციაში  
შედარებით ნაკლებს – 8 მ-ს მიაღწია. შემდგომში ზრდის ტემპი  
თანდათან კლებულობს და სტაბილურად ვითარდება, რაც ჩანს ჩაქვის  
სამოდელო ხის მაგალითზე.

4.2-ნახატზე მოცემულია სიმაღლეზე მიმდინარე ნამატი. როგორც  
გრაფიკიდან ჩანს, მატება არასტაბილური ხასიათისაა, რაც ჩვენი  
აზრით გამოწვეულია მცენარის ბიოეკოლოგიური თავისებურებით და


კლიმატური პირობების ცვალებადობით. ყველაზე მაქსიმუმს ზრდის პირველ წელს აღწევს შემდეგ კლებულობს სამი წლის ხნოვანებამდე, 3-4 წლის პერიოდში მიმდინარეობს სტაბილურად, შემდეგ მატულობს და კვლავ იწყებს კლებას 5 წლის ხნოვანებიდან.

ნახატი 4.2




4.3; 4.4 ნახატებზე მოცემულია პლანტაციაში მზარდი პავლოვნიას სიმსხოზე ზრდა და ნამატი. როგორც ჩანს სიმსხოზე ზრდაც შესამჩნევად სწრაფად და თითქმის თანაბრად მიმდინარეობს ორივე სამოდელოს შემთხვევაში. პირველ წელს ტაქსაციური დიამეტრი 4-6 სმ-ია, მეორე წელს თითქმის ორმაგდება და შემდგომში მცირედი შენელებული ტემპით სტაბილურად მიმდინარეობს. სიმაღლეზე მიმდინარე ნამატის მსგავსად, დიამეტრის ნამატიც პირველ წელს აღწევს მაქსიმუმს, შემდეგ თანდათან კლებულობს 5 წლამდე და 5 წლიდან ვითარდება თანაბრად (ძიმითი).

ნახატი 4.3




#### ნახატი 4.4



ნახატებზე (4.5; 4.6; 4.7) მოცემულია პლანტაციაში მზარდი პავლოვნიას ზრდა მოცულობაში, მიმდინარე ნამატის და ნამატის პროცენტული მაჩვენებლები. როგორც მოცულობაში ზრდის მაჩვენებლებიდან ჩანს, ზრდა თავიდანვე სტაბილურად მიმდინარეობს და მკვეთრი ცვალებადობა არ ახასიათებს, რაც ჩანს ასევე მოცულობაში ნამატის მიხედვით. ჩაქვის პლანტაციაში მზარდმა პავლოვნიამ 6 წლის ხნოვანებაში მოცულობით 0,2 მ<sup>3</sup>-მდე შეადგინა. რაც შეეხება ნამატის პროცენტს, პირველი სამი წლის განმავლობაში სტაბილურად მაღალია შემდეგ თანდათან კლებულობას.


#### ნახატი 4.5




4.8 ნახატზე ნაჩვენებია პლანტაციაში პავლოვნიას ზრდა განივივეთის ფართობზე, რომელიც პროპორციულ კავშირშია სიმსხოზე

ზრდასთან. ჩანს, რომ განივევეთის ფართობი ხნოვანებასთან ერთად იზრდება, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა სამი წლის ხნოვანების შემდეგ.


ნახატი 4.6



ნახატი 4.7



ნახატი 4.8



▪ პავლოვნიას ზრდისმსგლელობა ბუნებრივ გარემოში (ტყეში)

ტყეში პავლოვნიას ზრდის მსგლელობის შესასწავლად, რთული ანალიზის მეთოდით დამუშავდა ლაგოდეხში (ლაგოდეხის აღკვეთილი) და ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის ტყეში მოჭრილი პავლოვნიას სხვადასხვა ხნოვანების სამოდელო ხეები.

ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიაზე სამოდელო ხეები მოჭრილ იქნა, მდინარისპირა ტერასაზე ფართოფოთლოვანი ტყის ფორმაციაში, ზ.დ 540-600 მ-ზე, ალუვიურ – სუსტი მუვავ რეაქციის ნიადაგებზე (სამოდელო ხეების GPS-კოორდინატები: სამოდელო 1- X-0606937, Y-4633139; სამოდელო 2- X-0606851, Y-4633377; სამოდელო 3- X-0606939, Y-4633166).

შუხუთის ტყეში სამოდელო ხე მოჭრილ იქნა ღელეს პირზე, შერეულ ფართოფოთლოვან კორომში, ზ.დ 110-120 მ-ზე, ყვითელმიწა – მუვავ რეაქციის ნიადაგებზე (სამოდელო ხის GPS-კოორდინატები: X-0257273, Y-46611441).

ცხრილი 4.3

ბუნებრივ გარემოში (ტყეში) მზარდი პავლოვნიას სამოდელო ხეების

რთული ანალიზის შემაჯამებელი ცხრილი


ხნოვანების კერილები	სიმაღლე (მ-ობით)		დიამეტრი (სმ-ობით)		განივევთის ფართობი (მ <sup>2</sup> )	გოცვლის ფართობი (მ <sup>2</sup> -ობით)	შემატება (დგ <sup>3</sup> -ობით)			სახის რიცხვი (E)
	H	გთე. h	D <sub>t</sub>	გთე. d			საშუალო	მიმდინ არე	მიმდ. (%)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ლაგოდეხი, სამოდელო 3										
3	6,6	–	6,75	–	0,0035	0,01396	4,65	–	–	0,58
6	11,6	1,66	13,7	2,32	0,0147	0,07702	12,8	0,02102	0,27	0,45
9	16,26	1,55	20,0	2,10	0,0314	0,21284	23,65	0,04527	0,22	0,41
12	19,6	1,12	24,45	1,48	0,0469	0,34334	28,61	0,04350	0,12	0,37
ლაგოდეხი, სამოდელო 1										

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
3	3,6	—	7,05	—	0,0039	0,01014	3,38	—	—	0,72
6	6,94	1,12	11,3	1,42	0,0100	0,02900	4,84	0,00628	0,21	0,41
9	11,6	1,55	14,3	1,0	0,0160	0,06360	7,06	0,01153	0,18	0,34
12	15,6	1,34	16,65	0,78	0,0218	0,11608	9,67	0,01749	0,15	0,34
15	16,3	0,24	18,3	0,55	0,0262	0,19110	12,74	0,02500	0,13	0,44
18	16,94	0,22	20,5	0,74	0,0330	0,25200	14,0	0,02030	0,08	0,45
21	17,6	0,22	22,4	0,64	0,0393	0,31618	15,0	0,02139	0,07	0,45
24	18,91	0,44	23,7	0,44	0,0441	0,37726	15,7	0,02036	0,05	0,45
27	21,6	0,90	25,05	0,45	0,0492	0,44412	16,4	0,02228	0,05	0,41
28	32,6	0,67	25,8	0,25	0,0522	0,47772	17,0	0,01120	0,02	0,38
<b>შუბეუთი, სამოდელო 2</b>										
3	1,30	—	3,70	—	0,0011	0,00110	0,36	—	—	0,76
6	5,6	1,44	7,35	1,22	0,0042	0,01942	3,24	0,00610	0,31	0,82
9	8,26	0,89	11,4	1,35	0,0102	0,04972	5,52	0,01010	0,20	0,59
12	9,10	0,28	19,25	2,62	0,0291	0,11236	9,36	0,02088	0,18	0,42
14	10,6	0,50	23,75	1,50	0,0443	0,16648	11,89	0,01804	0,11	0,35
<b>ლაგოდეხი, სამოდელო 2</b>										
3	7,6	—	9,75	—	0,0075	0,02630	8,76	—	—	0,46
6	10,6	1,0	12,35	0,86	0,0120	0,05660	9,44	0,01010	0,18	0,44
9	14,1	1,16	17,2	1,62	0,0232	0,13552	15,05	0,02630	0,19	0,41
12	15,6	0,5	21,9	1,56	0,0376	0,26296	21,9	0,04248	0,16	0,44
15	16,35	0,25	23,9	0,66	0,0448	0,35408	23,60	0,03037	0,08	0,48
18	17,1	0,25	25,7	0,60	0,0518	0,44028	24,46	0,02873	0,06	0,49
21	19,6	0,84	27,2	0,50	0,0581	0,52766	25,12	0,02912	0,05	0,46
24	21,6	0,66	28,4	0,40	0,0633	0,60198	25,08	0,02477	0,04	0,44
25	23,6	0,66	29,5	0,36	0,0683	0,66198	26,48	0,02000	0,03	0,41


პავლოვნიას ზრდისმსვლეობა პლანტაციაში ცხრილი 5.2-ის  
მიხედვით გარფიქულად მოცემულია ნახატებზე (ნახ. 4.9....4.16)

4.9; 4.10 ნახაგებზე მოცემულია ტყეში მზარდი პავლოვნიას ზრდა სიმაღლეზე და სიმაღლეზე მიმდინარე ნამატი. როგორც ჩანს, პავლოვნია ტყეშიც ინარჩუნებს სწრაფი ზრდის ხასიათს, თუმცა პლანტაციაში მზარდთან შედარებით ნაკლებად სწრაფმზარდობით ხასიათდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ შენარჩუნებულია პირველი სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად სწრაფი ზრდის უნარი.

ნახატი 4.9



ნახატი 4.10




მონაცემების მიხედვით განსხვავებაა ლაგოდებებსა და შუხუთის ტყეში პავლოვნიას ზრდის თავისებურებაში. როგორც ჩანს, ლაგოდების ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში პავლოვნია უკეთესი ზრდის მაჩვენებლით ხასიათდება, ვიდრე შუხუთში. მაშინ, როდესაც


ლაგოდებში პავლოვნია 15 წლის ხნოვანებაში 16 მ-ს აღემატება, შუხუთში მისი სიმაღლე იგივე ხნოვანებაში 10,6 მ-ია. რაც ჩვენი აზრით განპირობებულია სასინათლო და ნიადაგური პირობების განსხვავებულობით.

კიდევ უფრო არასტაბილური ხასიათი აქვს ტყეში პავლოვნიას სიმაღლეზე ნამატს, პლანტაციაში მზარდობან შედარებით. მაქსიმალური შემატებით პირველი ექვსი წლის განმავლობაში ხასიათდება, შემდეგ ნამატი მკვეთრად ეცემა, 18 წლის ხნოვანებაში კვლავ მატულობს და შემდგომ განვითარებას ტალღური ხასიათი აქვს.

ნახატი 4.11



ნახატი 4.12




4.11; 4.12 ნახატებზე მოცემულია ტყეში მზარდი პავლოვნიას სიმსხოზე ზრდა და ნამატი. ირკვევა, რომ სიმსხოზე მატება პირველი

სამი წლის განმავლობაში მაქსიმალურია, რომელიც კლებულობს, თუმცა შემდგომში კვლავ მზარდია. აღსანიშნავია, რომ 18 წლის ხნოვანებაში სიმაღლეში ზრდის მკვეთრი დაცემის მიუხედავად, სიმსხოზე ზრდა სტაბილურად მაინც შეინიშნება.

შედარებით განსხვავებულია სიმაღლეზე ნამატის დინამიკა. ლაგოდები მზარდი პავლოვნიას ნამატი მაქსიმუმს 6 წლის ხნოვანებაში აღწევს და შემდგომ კლებულობს, ხოლო შუხუთის შემთხვევაში მაქსიმალური ნამატი 12 წლის ხნოვანებაში ფიქსირდება, შემდგომ მკვეთრად ეცემა. ჩვენი აზრით სიმაღლეში ნამატის მსგავსად, სიმსხოში მატების პიკი 12 წლის ხნოვანებაში სასინათლო პირობების გაუმჯობესებით უნდა იყოს განპირობებული.


ნახატი 4.13



4.13; 4.14; 4.15; ნახატებზე მოცემულია ტყეში მზარდი პავლოვნიას მოცულობაში ზრდის, ნამატის და ნამატის პროცენტის მაჩვენებლები. როგორც ნახატი 4.13-დან ჩანს, მოცულობაში ზრდა სტაბილურად მზარდია, რომელიც მცირდება 15 წლის ხნოვანებიდან.


განსხვავებაა შუხუთში და ლაგოდებში მზარდ პავლოვნიას მოცულობებს შორისაც. შუხუთში პავლოვნიას მოცულობამ 14 წლის ხნოვანებაში  $0,166 \text{ m}^3$  შეადგინა, მაშინ როდესაც ლაგოდებში პავლოვნიამ 12 წლის ხნოვანებაში  $0,343 \text{ m}^3$ .

ნახატი 4.14



ნახატი 4.14-ის მიხედვით მოცულობაში ნამატი ზიგზაგურად ხასიათდება, ნამატის პიკი განსხვავებულია ცალკეული სამოდელო ხისათვის, ძირითადად იგი 12 წლის ხნოვანებაში ფიქსირდება, შემდეგ იკლებს და 15 წლის ხნოვანებიდან თითქმის თანაბრად გითარდება მცირედი ცვალებადობით.


ნახატი 4.15



მოცულობაში ნამატის მაქსიმალური პროცენტი ნახატი 4.15-ის მიხედვით 6 წლის ხნოვანებაში ფიქსირდება, შემდეგ მიდის კლებისაკენ და 24 წლის ხნოვანებაში მხოლოდ 0,04%-ს შეადგენს.

4.16 ნახატზე მოცემულია ზრდა განივავეთ ფართობზე, რომელიც ხნოვანებასთან ერთად იზრდება, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ექვსი წლის ხნოვანების შემდეგ.

ნახატი 4.16



ზრდისმსვლელობის მოცემული ანალიზითაც დასტურდება ზოგიერთი ჩინელი ავტორის (Xin-yu; Gao, 1986) მოსაზრება, რომ ნორმალურ საარსებო პირობებში პავლოვნიას მერქნის მოცულობის ნამატის პოტენციალი მაქსიმალურ დონეს აღწევს 8-15 წლის ხნოვანებაში, შემდგომ იგი კლებულობს.


- ტყეში და პლანტაციაში პავლოვნიას ზრდის მსვლელობის შედარებითი ანალიზი

ტყეში და პლანტაციაში პავლოვნიას ზრდის მსვლელობის შედარებითი დახასიათებისთვის მოგვაჭვს ჩაქვის პლანტაციაში მოჭრილი №1 და შუხუთში მოჭრილი №2 სამოდელო ხეების მონაცემები (იხ. ცხრ. 4.2; 4.3). ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, რომ ორივე სამოდელო ვითარდებოდა მსგავს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში.

4.17 ნახატზე ნაჩვენებია ტყეში და პლანტაციაში პავლოვნიას სიმაღლეში ზრდა და მიმდინარე ნამატი. ჩანს, რომ განსხვავება სიმაღლეზე ზრდაში, საგულისხმოა. 6 წლის ხნოვანებაში ტყეში

მზარდი პავლოვნია სიმაღლეში 5,6 მ-ს აღწევს მაშინ, როდესაც პლანტაციაში იგივე ხნოვანებაში თითქმის ორჯერ მეტს, 12,6 მ-ს.


ნახატი 4.17



პლანტაციაში მზარდი პავლოვნიას მიმდინარე ნამატი სიმაღლეში არასტაბილური ხასიათისაა ტყეში მზარდობან შედარებით (იხ. ნახ. 4.18). ორივე შემთხვევაში მაქსიმალური მაჩვენებელი პირველ წელს ფიქსირდება და შემდგომ კლებულობს.


პავლოვნიას სიმაღლეში ნამატის კლება განსაკუთრებით 3-4 წლის ხნოვანებიდან, ჩვენი აზრით განპირობებულია კლიმატურ ფაქტორებთან ერთად, მცენარის ბიოგოლოგიური თავისებურებით.

ნახატი 4.18




განსხვავება ტყეში და პლანტაციაში კიდევ უფრო მეტია დიამეტრში ზრდის მაჩვენებლების მიხედვით. ნახატი 4.19-დან ჩანს, რომ პლანტაციაში პავლოვნია თავიდანვე სწაფი ზრდით ხასიათდება დიამეტრზე, რაც სტაბილურად გრძელდება 6 წლის ხნოვანებამდე. რასაც ვერ ვიტყვით ტყეში პავლოვნიას დიამეტრზე ზრდის მაჩვენებლების მიხედვით. ამ შემთხვევაში პავლოვნიას ზრდა დასაწყისში ნელა მიმდინარეობს და შემდგომ მცირედით მატულობს.

ნახატი 4.19




მონაცემებით ირკვევა, რომ ტყეში 6 წლის ხნოვანებაში პავლოვნია დიამეტრზე მხოლოდ 6 სმ-ს აღწევს მაშინ, როცა პლანტაციაში იგივე ხნოვანებაში პავლოვნიას დიამეტრი 20 სმ-ს აჭარბებს.

ნახატი 4.20




ნახატი 4.21



დიამეტრზე ზრდის ტენდენცია ცხადია შენარჩუნებულია მოცულობით ზრდაში. როგორც ნახატი 4.21-დან ჩანს განსხვავება ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. ტყეში მზარდ პავლოვნიას გააჩნია დაბალი მაჩვენებელი, რომელიც 6 წლის ხნოვანებაში, მხოლოდ 0,021 მ<sup>3</sup>-ია, ხოლო პლანტაციურ პირობებში იგივე ხნოვანებაში მოცულობა შეადგენს 0,189 მ<sup>3</sup>-ს, რაც 9-ჯერ უფრო მეტია ტყეში მზარდთან შედარებით.

ნახატი 4.22



4.22 ნახატი მოცემულია შედარებითი ზრდა განივევეთის ფართობზე. ჩანს, რომ ამ შემთხვევაშიც პლანტაციაში ზრდის მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდება ტყეში მზარდის მაჩვენებლებისაგან, რაც პირდაპირ პროპორციული ხასიათისაა სიმსხოზე ზრდასთან.

ტყეში და პლანტაციაში პავლოვნიას ზრდის მსვლელობებს შორის სხვაობა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სამოდელო ხე იზრდებოდა ერთ კლიმატურ ოლქში, ჩვენი აზრით გამოწვეულია განსხვავებული სასინათლო პირობებით. ასევე საყურადღებოა, რომ პლანტაციაში უკეთეს ზრდა-განვითარებას ხელს უწყობს ჩატარებული აგროტექნიკური დონისძიებები.

#### **4.2 მერქნული მარაგების დაგროვების დინამიკა პლანტაციაში**

საქართველოს პირობებში პლანტაციაში მარაგის დასადგენად ჩვენი ძირითადი საკვლევი ობიექტი იყო დაბა ჩაქვში გაშენებული შერეული შემადგენლობის პლანტაცია, რომელიც პირობით ერთხნოვანია, საშუალო სამოდელო ხის სიმაღლეში შეადგინა 12,6 მ, ხოლო საშუალო დიამეტრი 20,6 სმ (საანალიზო ჩაქვი 1).

პლანტაციაში მარაგების დადგენის მიზნით, ჩატარდა საველე სატაქსაციო სამუშაოები. მთლიანი გადათვლის მეთოდით აღირიცხა პავლოვნიას ყველა ხე 0,5 ჰა ფართობზე და შეფასდა თითოეული ხე ტექნიკური ვარგისიანობის მიხედვით (სამასალე, ნ/სამასალე, შეშა).

მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების მიზნით გამოვიყენეთ დიდი ამორჩევის მეთოდი. პლანტაციის სტატისტიკური მეთოდებით შესწავლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დიამეტრებისა და სიმაღლეების ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლების დადგენა, როგორიცაა; საშუალო კვადრატული გადახრა, საშუალო ძირითდი ცდომილება, ვარიაციის (ცვალებადობის) კოიფიციენტი.

სიზუსტე დიამტრების და სიმაღლეების შესწავლისას განისაზღვრა  $\pm 5,0$ ;  $\pm 6,0\%$ -ის ფარგლებში, რაც კვლევის საიმედოობასა და დამაჯერებლობაზე მიუთითებს (იხ. ცხრ. 4.4).

ცხრილი 4.4-დან ჩანს, რომ აბსოლუტ ერთხნოვან პლანტაციაში, როგორც დიამეტრებში ისე სიმაღლეებში ზრდა არათანაბარია. მათი

საშუალო დიამეტრიდან კვადრატული გადახრაა  $23,34 \pm 7,52$ -სმ, რაც დიამეტრის არათანაბარი ზრდის მაჩვენებელია, ასევე დიდია დიამეტრების ცვალებადობა ანუ ვარიაციის კოიფიციენტი  $32,41\%$ . არათანაბარი ზრდით ხასიათდება სიმაღლეზე, საშუალო კვადრატული გადახრა  $10,3 \pm 4,13$ -მეტრია, საშუალო ძირითადი ცდომილება  $\pm 0,65$ მ, ხოლო ცვალებადობის კოიფიციენტი  $37,92\%$ . მოცემული მაჩვენებლები მთლიანობაში პლანტაციის არათანაბრად განვითარებაზე მიუთითებს.

#### ცხრილი 4.4

##### პავლოვნიას სტატისტიკური მახასიათებლები

საშუალო არითმეტიკული	კვადრატული გადახრა	ძირითადი ცდომილება	ცვალებად ობის კოეფიციენტი	კვლევის სიზუსტე	დასკვნების საიმედოობა
1	2	3	4	5	6
D <sub>t</sub>	23,4 სმ	7,52 სმ	1,20 მ	32,41%	5,13%
H	10,89 სმ	4,13 მ	0,65 მ	37,92%	6,00%

პლანტაციაში  $0,5$  ჰა-ზე აღრიცხული ხეების რიცხვმა სულ  $335$  ძირი შეადგინა აქედან ტექნიკური ვარგისიანობის მიხედვით,  $95$  სამასალეა,  $64$  ნ/სამასალე, ხოლო  $176$  ხის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ბიომასა (იხ. ცხრ. 4.5).

აღრიცხული დიამეტრები გადანაწილებულია  $2$  სმ გრადაციის სისქის საფეხურებში, თვითეულ სისქის საფეხურში განსაზღვრულია მათი საშუალო სიმაღლეები. მარაგი განისაზღვრა სისქის საფეხურებში ძირითადი ფორმულის მიხედვით, რომელიც სახის რიცხვით არის ცნობილი ( $V=g hf$ ), ვინაიდან მზარდ მდგომარეობაში პავლოვნიას მოცულობითი ცხრილები არ არის დამუშავებული.

### ცხრილი 4.5

0,5 ჰა-ზე ხეების რიცხვი ტექნიკური ვარგისიანობის მიხედვით

სისქის საფეხურები (სმ)	საშუალო სიმაღლე (მ)	ხეთა რიცხვი კატეგორიების მიხედვით			სულ ხეთა რიცხვი
		სამასალე	ნ/სამასალე	შეშა	
1	2	3	4	5	6
8	3	-	-	33	33
10	5	-	-	28	28
12	6	-	-	22	22
14	7	-	-	21	21
16	9	-	-	36	36
18	10	-	-	29	29
20	12	12	34	2	48
22	14	14	11	1	26
24	15	11	12	1	26
26	16	14	6	2	22
28	16	16	1	-	17
30	16	13	-	1	14
32	17	4	-	-	4
34	17	3	-	-	3
36	18	4	-	-	4
38	18	2	-	-	2
40	18	2	-	-	2
სულ		95	64	176	335

საანალიზო ხეების მონაცემების მიხედვით, ხის ღეროს ყველა სიმაღლისთვის შემუშავდა სახის რიცხვები და შედგა ცხრილი სადაც სახის რიცხვის მოძებნა შესაძლებელია ხის სიმაღლის მიხედვით, ხოლო ცალკეულ სისქის საფეხურებში მოცულობები დადგინდა მოცემული სახის რიცხვების მიხედვით (იხ. ცხრ. 4.6).

### ცხრილი 4.6

სახის რიცხვები

H	6	8	10	12	14	16	18	20	22	24
F	0,632	0,489	0,468	0,456	0,463	0,433	0,432	0,441	0,421	0,420

## მარაგების შემაჯამებელი ცხრილი

სისქის საფეხურები	საშუალო სიმაღლე	მოცულობა მ <sup>3</sup> -ში		მთლიანი მოცულობა
		სამასალე	ბიომასა	
1	2	3	4	5
8	3	-	0,4163	0,4163
10	5	-	0,6901	0,6901
12	6	-	0,9427	0,9427
14	7	-	1,1069	1,1069
16	9	-	3,0478	3,0478
18	10	-	3,4473	3,4473
20	12	4,0775	3,0999	7,1774
22	14	4,596	1,3789	5,9749
24	15	4,9793	2,0503	7,0296
26	16	6,5858	1,9371	8,5229
28	16	7,6404		7,6404
30	16	6,7057	0,5158	7,2215
32	17	2,5313	-	2,5313
34	17	2,1441	-	2,1441
36	18	3,3936	-	3,3936
38	18	1,8901	-	1,8901
40	18	2,0952	-	2,0952
-	-	46,639	18,633	65,272

ცხრილი 4.7-დან ჩანს, რომ 0,5-პა-ზე სახის რიცხვით მიღებული პავლოვნიას პლანტაციის მარაგი 6 წლის ხნოვანებაში 65,272 მ<sup>3</sup> შეადგინა, პარალელურად დავადგინეთ მთლიანი საშუალო სამოდელო ხის მეთოდით (სამოდელო ხის მოცულობის გამრავლებით ხეთა რიცხვზე), რომელმაც შეადგინა 63,342 მ<sup>3</sup>, რაც -3,0%-ით უახლოვდება სახის რიცხვით მიღებულ მთლიან მარაგის მაჩვენებელს, მოცემული ადასტურებს სააღრიცხვო სამუშაოების ჩატარების სისწორეს. მოცემული მონაცემების მიხედვით 1 პა-ზე მარაგი იქნება 130,5 მ<sup>3</sup>, ხოლო მთლიანი მოცულობიდან სამასალე ხეების მარაგი 93,28 მ<sup>3</sup>, ე.ი. მოცულობის 71,5%.

მოცემული მარაგის დიდი წილი მოდის პლანტაციის კარგად განვითარებულ ნაწილზე, რომელიც თავისი განვითარებით მაღალი წარმადობით ხასიათდება. პლანტაციის ამ ნაწილში ხეების საშუალო სიმაღლე 16-20 მ., ხოლო ტაქსაციური დიამეტრი 32-36 სმ-ია. პლანტაციის დიდ ნაწილზე (65-70%) კი ხეები განვითარებულია ცუდად, სადაც მათი საშუალო სიმაღლე 4-6 მ-ია, ხოლო ტაქსაციური დიამეტრი 14-16 სმ. აქედან გამომდინარე მარაგის მოცემული მაჩვენებლები მთლიანობაში არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მაღალი წარმადობის პლანტაციის მაჩვენებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ობიექტი, საქართველოში პავლოვნიას პირველი პლანტაციაა. აქედან გამომდინარე სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის არ არსებობის გამო არ განხორციელებულა მოვლის შესაბამისი აგროტექნიკული ღონისძიებები, რამაც ჩვენი აზრით, ნიადაგურ-კლიმატურ ფაქტორებთან ერთად გავლენა მოახდინა, როგორც ზრდისმსვლელობაზე (საანალიზო ჩაქვი 1;2), ასევე შესაბამისად მარაგებზეც. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პლანტაცია წარმოდგენილია შერეული სახით (პავლოვნიას გვარის სხვადასხვა სახეობა) და აქედან გამომდინარე მოცემული სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებები განაპირობებენ ასევე მათ არათანაბარ განვითარებას.

შედარებით უკეთესი ზრდა-განვითარების მაჩვენებლებით ხასიათდება ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითში გაშენებული აბსოლუტ წმინდა პლანტაცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ ძიმითის პლანტაცია განსხვავებით ჩაქვისაგან, საშუალო მოვლის პირობებში მთლიანობაში განვითარებულია თანაბრად. აქედან გამომდინარე შესწავლილი სამოდელო ხის მონაცემები გვაძლევს მთლიანი პლანტაციის საშუალო მაჩვენებელს. სამოდელო ხის შესწავლამ აჩვენა, რომ 3 წლის ხნოვანებაში მოცულობამ, რომლის სიმაღლე 10,6


მ, ხოლო ტაქსაციური დიამეტრი 11 სმ-ია, შეადგინა  $0,04 \text{ } \text{მ}^3$  (იხ. ცხრ. 4.2).

მოცემული მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს პირობებისათვის დავამუშავეთ პლანტაციის განვითარების სამი ვარიანტი 10 წლიანი განვითარების პერიოდით:

1. დაბალი წარმადობის პლანტაცია ცუდი მოვლისა და აგროტექნიკის პირობებში (ჩაქვის პლანტაციის მაგალითზე);
2. საშუალო წარმადობის პლანტაცია საშუალო მოვლისა და აგროტექნიკის პირობებში (ძიმითის პლანტაციის მაგალითზე);
3. მაღალი წარმადობის პლანტაცია კარგი მოვლისა და აგროტექნიკის პირობებში (ჩაქვის პლანტაციის კარგად განვითარებული ნაწილის მაგალითზე).

საანალიზო ხეების მონაცემების მიხედვით, ხის ტაქსაციური დიამეტრისათვის გამოვთვალეთ საშუალო მოცულობები, რის მიხედვითაც განისაზღვრა პლანტაციის მთლიანი მარაგები, თითოეული ვარიანტისათვის (იხ. ნახ. 4.23).

ნახატი 4.23



ნახატი 4.23-დან ჩანს, რომ საქართველოს პირობებისათვის მაღალი წარმადობის პლანტაციის მარაგმა, 1 ჰა ფართობზე 6 წლის შესაძლებელია შეადგინოს 244 მ<sup>3</sup>, ხოლო 10 წლის ხნოვანებაში 400 მ<sup>3</sup>-ს გადააჭარბოს. ე.ი მისი ყოველწლიური საშუალო შემატება იქნება 44 მ<sup>3</sup>.

დაბალი წარმადობის პლანტაციის მარაგი 6 წლის ხნოვანებაში 1 ჰა-ზე 106 მ<sup>3</sup>-ს, ხოლო 10 წლის ოპტიმისტური გათვლით 240 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს, რაც თითქმის ნახევარია, მაღალი წარმადობის პლანტაციის მაჩვენებელთან შედარებით. მონაცემები გამოთვლილია პლანტაციისთვის, სადაც 1 ჰა-ზე პავლოვნიას ხეთა რაოდენობა 625 ძირია, ე.ი ფართობზე განლაგებულია 4X4 მ-ზე.

ჩვენს მიერ მოტანილი მაღალი წარმადობის პლანტაციის მონაცემები, მთლიანობაში ემთხვევა პავლოვნიას შესაბამისი განვითარების პლანტაციების მონაცემებს სამშობლოში (ჩინეთი), რაც ცხადყოფს პავლოვნიას წარმატებულ აკლიმატიზაციას საქართველოში (იხ. ცხრ. 4.1).

ზოგიერთი ავტორს აღწერილი აქვს პლანტაცია, რომელმაც 11 წლის ხნოვანებაში საშუალოდ სიმაღლეზე 21 მ, დიამეტრში 77 სმ, ხოლო ერთი ხის მოცულობამ 3,67 მ<sup>3</sup> შეადგინა ([www.paulownia.com](http://www.paulownia.com)), რაც საქართველოს პირობებში ოპტიმისტური გათვლითაც კი ნაკლებად შესაძლებელია მიღწეულ იქნეს.

#### 4.3 პავლოვნიას დეროების ჭრის ხნოვანება და დამზადების ტექნოლოგიური პროცესები

ჩაქვის პლანტაციის კარგად განვითარებული ნაწილის შესწავლით ირკვევა, რომ საქართველოს პირობებში სამრეწველო დანიშნულების მერქნის წარმოება 6-7 წლიდან უკვე შესაძლებელია. ე.ი პირველი ჭრის პერიოდი (ხნოვანება) 6-7 წელია. ჭრა როგორც წესი

ტარდება გვიან შემოდგომაზე, ვეგეტაციის დასრულების შემდეგ (Xinyu, Gao, 1986; Huaxin, 1996).

ჩვენი პირობებისათვის პლანტაციაში ჭრების ფორმა და მოცულობა განისაზღვრა მათი განვითარების შესაბამისად. დაბალი წარმადობის, არათანაბრად განვითარებულ პლანტაციაში მიზანშეწონილია ამორჩევითი ჭრების ჭრების ჩატარება, ხოლო მაღალი წარმადობის პლანტაციაში პირწმინდა ზოლგამოშვებითი ჭრა რამოდენიმე ჯერად.

მოცემული სახით ჭრის ჩატარების მიზანი მაქსიმალურ ეკონომიკური ეფექტიანობის მიღებასთან ერთად ჭრის ცალკეული ჯერის შემდეგ პლანტაციის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებაცაა.

#### ■ დაბალი წარმადობის პლანტაციაში დეროს დამზადების პროცესი

არასათანადო მოვლის პირობებში, დაბალი წარმადობის არათანაბრად განვითარებულ პლანტაციაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამორჩევითი ჭრის განხორციელება რამოდენიმე ჯერად. მოცემული ტიპის პლანტაციაში ჭრის თითოეულ ჯერზე ხეთა ამორჩევა საჭიროა მოხდეს თანაბრად, პლანტაციაში თანაბარი სასინათლო პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

დაბალი წარმადობის პლანტაციის მაგალითად განვიხილავთ ჩაქვის პლანტაციას. მოცემულ შემთხვევაში პლანტაციაში ჭრის ჩატარება ოპტიმალურად 4 ჯერად მიგვაჩნია. 7 წლის ხნოვანებიდან ჭრის დაწყების შემთხვევაში, პლანტაციაში ჭრის ბოლო ჯერის განხორციელება მოხდება 10 წლის ხნოვანებაში. ამ პერიოდისათვის პირველ წელს მოჭრილი პლანტაციის ნაწილზე რეგენირებული დეროების ხნოვანება იქნება 4 წელი.

მოსაჭრელ ხეთა რაოდენობა და მოცულობა (ყოველწლიური ნამატის გათვალისწინებით) ჭრის ცალკეული ჯერის მიხედვით მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრ. 4.8).

#### ცხრილი 4.8


მოსაჭრელ ხეთა რაოდენობა და მოცულობა ჭრის ცალკეული ჯერის მიხედვით (ჩაქვის პლანტაციის მაგალითზე)

ჭრის ჯერი							
I		II		III		IV	
მოსაჭრელ ხეთა რიცხვი (ცალი)	მოცულობა (მ <sup>3</sup> )	მოსაჭრელ ხეთა რიცხვი (ცალი)	მოცულობა (მ <sup>3</sup> )	მოსაჭრელ ხეთა რიცხვი (ცალი)	მოცულობა (მ <sup>3</sup> )	მოსაჭრელი ხეთა რიცხვი (ცალი)	მოცულობა (მ <sup>3</sup> )
220	37,4	150	33	150	40,6	150	48

ცხრილიდან ჩანს, რომ I ჯერზე მოსაჭრელ ხეთა რაოდენობა, ასევე მოცულობა შედარებით მეტია, მომდევნო ჯერებზე მოსაჭრელ ხეთა რაოდენობასა და მოცულობაზე, ამასთან I ჯერზე იჭრება სამასალე ხეების ყველაზე დიდი წილი. I ჯერზე იჭრება 220 ხე, 37,5 მ<sup>3</sup> მოცულობით, ხოლო ყველა დანარჩენ ჯერებზე 150-150 ხე. მოლიანობაში 4 ჯერად პლანტაციაში მოიჭრება 159 მ<sup>3</sup> მერქანი.

დაბალი წარმადობის პლანტაციაში მოსაჭრელ ხეთა რაოდენობა პროცენტულად, ჭრის ჯერების მიხედვით ჩაქვის პლანტაციის მაგალითზე მოცემულია ნახატზე (იხ. ნახ. 4.24).

#### ნახატი 4.24



ნახატი 4.24-დან ჩანს, რომ მოცემული ტიპის პლანტაციაში I ჯერზე იჭრება ხეთა მთლიანი რაოდენობის 30-33%, ხოლო II-III-IV ჯერებზე 20-23%. პირველ ჯერზე 30% ხეების გამოღება, უზრუნველყოფს კარგ სასინათლო პირობებს დარჩენილ პლანტაციაში, რაც გაზრდის მომდევნო ჯერებზე მოსაჭრელი ხეების შემატებას და რეგენირებული ღეროების განვითარებას. ამასთან ხნოვანების მატებასთან ერთად უმჯობესდება დარჩენილი ხეების მერქნული თვისებები, რაც ზრდის მათ ეკონომიკურ ღირებულებას.

#### ■ მაღალი წარმადობის პლანტაციაში ღეროს დამზადების პროცესი

ოპტიმალურ პირობებში განვითარებულ პლანტაციაში, სადაც ხეები განვითარებულია თანაბრად, იძლევა შესაძლებლებლობას არა ამორჩევითი, არამედ პირწმინდა-ზოლგამოშვებითი ჭრების ჩატარებისა. ამ შემთხვევაშიც პლანტაციაში ჭრა ჩატარდება 4 ჯერად, პირველი ჯერის ჭრები დაიწყება 7 წლის ხნოვანებაში, ხოლო ბოლო ჭრის დროს პლანტაციის დარჩენილი ნაწილის ხნოვანება იქნება 10 წელი.

მოსაჭრელ ხეთა რაოდენობა და მოცულობა (ყოველწლიური ნამატის გათვალისწინებით) ჭრის ცალკეული ეტაპის მიხედვით, პლანტაციაში, სადაც ხეები ფართობზე განლაგებულია 4X4 მ-ზე, კ.ი 625 ხე 1 ჰა-ზე, მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრ. 4.9).

ცხრილი 4.9-დან ჩანს, რომ ამ შემთხვევაშიც პირველ ჯერზე მოსაჭრელ ხეთა რაოდენობა მეტია და შეადგენს 195 ხეს. განსხვავებაა მოცულობებში, რადგან გათვალისწინებულია ერთი ჭრის ჯერიდან, მომდევნო ჯერამდე პლანტაციის მიმდინარე შემატება. ჩანს, რომ პირველ ჯერზე მოსაჭრელი მარაგი იქნება  $90 \text{ მ}^3$ , ხოლო ბოლო ჯერზე ( $10 \text{ წლის ხნოვანებაში}$ ) მარაგი შეადგენს  $61,0 \text{ მ}^3$ .

მოსაჭრელ ხეთა რაოდენობა და მოცულობა ჭრის ცალკეული ჯერის  
მიხედვით (ნორმალურ პლანტაციაში)

ჭრის ჯერი								სულ	
I		II		III		IV			
მოსაჭრელი ხეთა რიცხვი	მოცულობა (მ³)	ხეთა რიცხვი პა-ზე	მოცულობა (მ³)						
195	90,0	156	84,5	156	97,0	118	83,0	625	354,0

მთლიანად ჭრის 4 ჯერის განხორციელებით პლანტაციაში მოიჭრება 354 მ³ მერქანი. ხოლო რეგენირებული (1;2;3;4 წლიანი) ღეროების მარაგი პლანტაციაში იქნება 89,5 მ³, ე.ი 10 წლის განმავლობაში 1 ჰა მაღალი წარმადობის პლანტაციაში მარაგი შეადგენს 443,5 მ³-ს, ანუ მისი ყოველწლიური საშუალო ნამატია 44 მ³.

I ჯერზე შედარებით მეტი რაოდენობით ხეების მოჭრის საფუძველი, პლანტაციაში სასინათლო პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, ეკონომიკური ხასიათისაა, რადგან მოჭრილ ხეთა ეკონომიკურმა სარგებელმა ჩვენი გათვლით უნდა უზრუნველყოს 7 წლის განმავლობაში პლანტაციის გაშენება-მოვლისათვის გაწეული ყველა ხარჯი (იხ. ცხრ. 4.10).

1 მ³ პავლოვნიას მერქნის საშუალო საბაზრო ფასია 300 აშშ დოლარის ექვივალენტი – 500-550 ლარი. ჩვენს შემთხვევაში 1 ჰა მაღალი წარმადობის პლანტაციაში I ჯერზე მოჭრილმა მერქნის მოცულობამ შეადგინა 90 მ³ (იხ. ცხრ. 4.9), ე.ი მისი მთლიანი საშუალო საბაზრო ღირებულებაა 45,0 ათასი ლარი (90X500). ხოლო 4.10 ცხრილის მიხედვით პავლოვნიას პლანტაციის გაშენებისა და მოვლის

ხარჯები პირველ ჭრამდე (7 წელი) დღევანდელი მონაცემებით არ აღემატება 20 ათას ლარს. მოცემულიდან ჩანს, რომ I ჯერზე მოჭრილი მერქნის დირებულების 45% საკმარისია გაწეული ხარჯების მთლიანად ასანაზღაურებლად.

#### ცხრილი 4.10

1 პა პლანტაციის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკურ  
ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯები (ლარი)

ჩასატარებელი ღონისძიებები	გასაწევი ხარჯები (ათასი/ლარი) წლების მიხედვით						
	1	2	3	4	5	6	7
პლანტაციის გაშენების პროექტის მომზადება	1,5						
ფართობის შემოღობვა და მომზადება გასაშენებლად	4,0						
სარგავი მასალის შეძენა, დარგვა და კულტივაცია	4,2						
მოვლა (მორწყვა სასუქის შეტანა) და ფორმირება		1,4					
მოვლა (მორწყვა სასუქის შეტანა) და ფორმირება			1,4				
მოვლა (გამოთიბვა)				1,0			
მოვლა (გამოთიბვა)					1,0		
მოვლა (გამოთიბვა)						1,0	
მოვლა (გამოთიბვა) და I ჯერი ჭრის ხარჯები							2,0
გაუთვალისწინებელი ხარჯები	0,2	0,2	0,2	0,15	0,15	0,15	0,2
სულ ხარჯები (ათასი/ლარი)	9,9	1,6	1,6	1,15	1,15	1,15	2,2
	18,75						

აღსაღნიშნავია, რომ დაბალი წარმადობის პლანტაციის შემთხვევაშიც კი ჭრის I ჯერზე მიღებული ეკონომიკური შემოსავალი ფარავს მანამდე გაწეულ დანახარჯებს. ამის მაგალითია ჩაქვის

პლანტაციის დაბალი წარმადობის ნაწილი, სადაც I ჯერზე მოსაჭრელი მარაგი შეადგენს 37,5 გ<sup>3</sup> (იხ. ცხრ. 4.8), ხოლო მიღებული ფულადი შემოსავალი 18-20 ათას ლარს.

მთლიანობაში გაანგარიშებები ცხადყოფს, რომ პავლოვნიას პლანტაციებიდან შესაძლებელია დიდი ფულადი შემოსავლის მიღება და ეკონომიკური ეფექტით იგი ტოლს არ უდებს მრავალ ძვირადლირებულ კულტურებს.

#### ■ ჭრების ტექნოლოგიური პროცესი


მაღალი წარმადობის პლანტაციაში, სადაც 1 ჰა ფართობზე განლაგებულია 625 ხე 4X4 მ-ზე. გვექნება 16 რიგი, თითოეულ რიგზე 39 ხის ანგარიშით.

პლანტაციაში მოსაჭრელი ზოლები და მათი განლაგება 4 ჯერად ჭრის შემთხვევაში მოცემულია ნახატებზე (ნახ. 4.25; 4.26; 4.27; 4.28) იმ შემთხვევაში თუ განვახორციელებთ პირწმინდა ზოლგამოშვებით ჭრას.

4.25 ნახატზე მოცემულია, პლანტაციაში I ჯერზე მოსაჭრელი და დასატოვებელი ზოლების განლაგება.

ნახატი 4.25

პლანტაციაში რიგების განლაგება ჭრის I ეტაპის შემდეგ



როგორც 4.25 ნახატიდან ჩანს ამ შემთხვევაში ჭრები ტარდება ორ ზოლ გამოშვებით და მთლიანობაში 1 ჰა-ზე იჭრება 5 ზოლი ანუ

195 ხე. ჭრის შემდეგ ზოლების განლაგება ფართობზე იქნება 8X4X4, ამასთან მოჭრილი ზოლების თანაბარი განლაგება გააუმჯობესებს სასინათლო პირობებს პლანტაციაში, რაც ხელს შეუწყობს პლანტაციის უკეთესად განვითარებას.

ნახატი 4.26

პლანტაციაში რიგების განლაგება ჭრის II ეტაპის შემდეგ

მოუჭრელი ზოლი	მოჭრილი ზოლი
1 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
	1 წლიანი რეგენერიზებული ზოლი

4.26 ნახატის მიხედვით მეორე ჯერზე იჭრება 4 ზოლი, ანუ 156 ხე, რაც მთლიანობაში პლანტაციის 55%-ია. მოცემულ შემთხვევაში დარჩენილი ზოლების განლაგება ფართობზე იქნება 4X12X4, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სასინათლო პირობებს დარჩენილი და პირველ ჯერზე მოჭრილ ზოლებზე რეგენირებული მოზარდისათვის.

ნახატი 4.27

პლანტაციაში რიგების განლაგება, ჭრის III ეტაპის შემდეგ

მოუჭრელი ზოლი	მოჭრილი ზოლი
1 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
2 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
1 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
2 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
2 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
1 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
2 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
1 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	
2 წლიანი რეგენერიზებული ზოლი	


4.27 ნახატზე ჩანს ჭრის III ჯერის შემდეგ მოჭრილი და დარჩენილი ზოლების რაოდენობა და განლაგება ფართობზე. როგორც ნახატიდან ჩანს III ეტაპის შემდეგ პლანტაციის 80% მოჭრილია და ფართობზე დარჩენილია მხოლოდ 3 ზოლი, ანუ 118 ხე. ამ შემთხვევაში ფართობზე გვაქვს ჭრის წინა ორ ჯერზე გამოღებული ხეების ძირკვებიდან მიღებული 1 და 2 წლიანი ამონაყარი, რომელთაც უკვე შეუძლიათ შეთხელებულ პლანტაციაში გარკვეული დაციო ფუნქციების შესრულება.

ჭრის ბოლო მე-IV ჯერზე იჭრება პლანტაციის დარჩენილი ნაწილი, რომლის დროსაც მოსაჭრელი ხეების ხნოვანება იქნება 10 წელი. საბოლოოდ ვიღებთ ახალ პლანტაციას, სადაც პირველ ეტაპზე მოჭრილი ხეებიდან რეგენირებული მოზარდის ხნოვანება იქნება 4 წელი, მომდევნოს შესაბამისად 3; 2 და 1 (იხ. ნახ. 4.28).

ნახატი 4.28

#### ჭრის შემდეგ რეგენირებული პლანტაცია

 1 წლიანი 2 წლიანი 3 წლიანი 4 წლიანი



ჭრის მოცემული წესის მიხედვით, ახალი ჭრების დაწყება რეგენირებულ პლანტაციაში შესაძლებელია უკვე ბოლო ჯერიდან 3 წლის შემდეგ, იგივე თანმიმდევრობით.

დიდ ფართობზე გაშენებულ მაღალი წარმადობის პლანტაციაში, შესაძლებელია პირწმინდა ზოლგამოშვებითი ჭრების ჩატარება 7 ჯერად. ასეთ შემთხვევაში ვიღებთ უწყვეტი სარგებლობის მეურნეობას, რადგან ჭრის ბოლო ჯერის შემდეგ, პირველ ჯერზე მოჭრილ ზოლებზე რეგენირებული ხეების ხნოვანება იქნება 7 წელი, რაც ახალი ჭრების დაწყების საშუალებას იძლევა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესით ჭრების ჩატარება დაკავშირებულია ტექნიკურ სიმნივებთან, რადგან გაძნელებულია მოსაჭრელი ზოლების თანაბრად განაწილება ფართობზე, რაც ჭრის შემდეგ არათანაბარ სასინათლო პირობებში აყენებს პლანტაციას.

უწყვეტი სარგებლობის მეურნეობის მიღება ასევე შესაძლებელია, იმ შემთხვევაში თუ ფართობზე მოცემულია სხვადასხვა ხნოვანების პლანტაცია.

#### **4.4 პავლოვნიას სამასალე ღეროს ტექნიკური ვარგისიანობის კრიტერიუმები**

პავლოვნიას სამასალე ღეროს ტექნიკურ ვარგისიანობა მრავალ ქვეყანაში ისაზღვრება კრიტერიუმებით, რომელიც ესადაგება საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს (Clatterbuck, Hodges, 1999).

საქართველოში პავლოვნიას ღეროს სტანდარტიზაციის პრაქტიკა არ არსებობს, რადგან სამრეწველო დანიშნულების მერქანის მარაგი დღემდე არ გვქონია. პირველად ჩვენს მიერ დამუშავდა მერქის კატეგორიები ტექნიკური ვარგისიანობის მიხედვით, შესწავლილი სამოდელო ხეების მონაცემების საფუძველზე, რომელიც ესადაგება საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს (იხ. ცხრ. 4.29).

**4.29 ცხილიდან ჩანს, რომ ღეროს მაღალ სტანდარტი დამოკიდებულია ძირითადად მის დიამეტრზე, წლიური რგოლების რიცხვზე (რაოდენობაზე) რადიუსის 2,5 სმ-ში და სიგრძეზე.**

ზოგიერთი ავტორის (Clatterbuck, Hodges, 1999) მონაცემით, 1 ჰა პლანტაციაში A კატეგორიის დეროს მხოლოდ 1-2%-ის მიღებაა შესაძლებელი. ყველაზე დიდი წილი (40-40%) კი მოდის B-C კატეგორიაზე.

საქართველოს პირობებისათვის ეს საკითხი შეუსწავლელია, რადგან საკვლევი ობიექტი პავლოვნიას საექსპლოატაციო პლანტაციის სახით არ არსებობდა. თუმცა შესაძლებელია გარკვეული ანალიზის გაკეთება ჩვენს მიერ შესწავლილი სამოდელო ხეების მაგალითზე.

#### ცხრილი 4.29

##### პავლოვნიას მორების დიფერენციაცია კატეგორიების მიხედვით

მორის კატეგორია	მორის წვრილი ზაფის დიამეტრი (სმ)	წლიური რგოლების რაოდენობა რადიუსის 2,5 სმ-ში	მორის მინიმალური სიგრძე (მ)	მერქნის მახასიათებლები
1	2	3	4	5
A	>30	>6	2,0	დეფექტების გარეშე
A1	>24	4-6	2,0	დეფექტების გარეშე
B	24	4-6	2,0	უმნიშვნელო დეფექტებით
B1	20-24	<4	2,0	უმნიშვნელო დეფექტებით
C	20-22	<4	1,5	დეფექტებით, ექსცენტრული წლ. რგოლები
C1	18-22	<4	1,5	დეფექტებით, ექსცენტრული წლ. რგოლები
D	14-18	<4	1,5	მნიშვნელოვანი დეფექტებით

დაკვირვებამ აჩვენა, რომ პლანტაციაში, არასათანადო მოვლის პირობებში, 6 წლის ხნოვანებაში პავლოვნიას დერო შეესაბამება C კატეგორიას, ხოლო ტყეში შედარებით ნელმზარდი და დიდხნოვანი (12 წელი) პავლოვნიას დერო გამოირჩეოდა უკეთესი მაჩვენებლებით, რომელიც დიამეტრის და წრიული რგოლების რაოდენობის მიხედვით შეესაბამებოდა B1 კატეგორიას, თუმცა ქონდა მერქნული დეფექტები

და ექსცენტრული წრიული რგოლები, რადგან ტყეში ზრდის გამო არ იყო ფორმირებული სათანადოდ მოვლილი და ვითარდებოდა არათანაბარ სასინათლო პირობებში. ამასთან პლანტაციაში მზარდი პავლოვნიასაგან განსხვავებით ვითარდებოდა არათანაბარ სასინათლო პირობებში.

მოცემულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პავლოვნიას მაღალი კატეგორიის დეროს მიღება პლანტაციაში დამოკიდებულია, როგორც სათანადო მოვლაზე, ასევე მნიშვნელოვანია ხნოვანება და ზრდა-განვითარების სისწრაფე. მეტი ხნოვანების, შედარებით ნელმზარდი პლანტაცია სათანადო მოვლისა და ფორმირების შემთხვევაში იძლევა მაღალი კატეგორიის დეროს მიღების საშუალებას, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი მეურნეობის წარმოებისას.

## V თავი

### პავლოვნიას გაშენების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და პერსპექტივები

#### 5.1 ნარგაობები დეკორატიულ მეტყევეობაში

დეკორატიულ მეტყევეობაში ხე-მცენარეების გამოყენებას ყოველთვის წამყვანი ადგილი ეჭირა, ვინაიდან გარდა მერქნული რესურსისა მათი როლი ესთეტიური და ეკოლოგიური თვალსაზრისით შეუფასებელია.

ხე მცენარეთა უდიდესი მნიშვნელობა პლანეტის არსებობისთვის განსაკუთრებით ბოლო პერიოდში შეფასდა, როდესაც მრეწველობისა და ტექნიკის განვითრების თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაბინძურებამ არნახულ დონეს მიაღწია.

რიგ ძვირფას დეკორატიულ სწრაფმზარდ სახეობათაგან გამორჩეული ადგილი უჭირავს პავლოვნიას. თავდაპირველად სხვადასხვა ქვეყნებში პავლოვნია ლირებული იყო სწორედ, როგორც ძვირაფასი დეკორატიული მცენარე (Sand, 1992; Simberloff, 2000).

ჯერ კიდევ 1962 წელს გამოცემულ ნაშრომში პროფ. ა. კერესელიძე (კერესელიძე 1962) განიხილავს რა პავლოვნიას, როგორც ძვირფას დეკორაციულ მცენარეს აღნიშნავს: „მერქნიან მცენარეთა სამყაროში ყვავილების მოლურჯო-მოვარდისფრო ფერით და საკმაოდ დიდი ფოთლებით გარკვეულ იშვიათობას წარმოადგენს, რის გამოც ის ნარგაობებში ლამაზ კონტრასტებს ჰქმნის. იყენებენ, როგორც საკუთრივ ჯგუფებად, ისე მხატრულ ჯგუფებში, ხეივნებად და ქუჩების ნარგაობად”.

დღესაც იგი დიდი წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, როგორც ბალ-პარკების, ასევე კერძო საცხოვრებელი სახლების ეზოების მწვანე არქიტექტურაში ([www.paulowniatrees.com](http://www.paulowniatrees.com), [www.paulowniaci.com](http://www.paulowniaci.com), [www.artgreen.biz](http://www.artgreen.biz) ).

პავლოვნიას აქვს საკმაოდ დიდი ზომის ფოთოლი, ამასთან მისი სწრაფმზარდობიდან გამომდინარე დარგვიდან უკვე მეორე წელსვე შესაძლებელია შესანიშნავი ჩრდილის მიღება, ხოლო მომდევნო მესამე წელს კი იგი იწყებს ყვავილობას, აქვს ულამაზესი სურნელოვანი, თაფლოვანი ყვავილი. შესაძლებელია ვარჯის ფორმირება ტოტების შეჭრით, რაც მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ქოლგისმაგვარი, გაშლილვარჯიანი და სხვა ფორმაციები (კანდელაკი, კობახიძე, ქავთარაძე, 2010).

სარგავი მასალის შერჩევის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნა მცენარის ბიოეკოლოგიური თავისებურებები და განვითარების ხასიათი ამათუ იმ კლიმატურ ოლქში. ჩვენს შემთხვევაში, პავლოვნია საქართველოში აკლიმატიზირებული სახეობაა რაც იძლევა ამ მიზნით წარმატებით გამოყენების შესაძლებლობას.

შერქნიანი სახეობების დეკორატიულ მებალეობაში გამოყენების მიზნით შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის ამტანობის უნარს ფიტოტოქსიკანტების, მძიმე მეტალების და მავნე აირების მიმართ, განსაკუთრებით ქალაქის ექსტრემალურ გარემოში ზრდა-განვითარებისათვის, რათა მცენარემ შეინარჩუნეს ესთეტიკური, დეკორატიული და სხვა ეკოლოგიური დირებულებები.

რიგი მკვლევარების მიერ (Кулова, Кушинская, 2009; Колотова, 1998) შესწავლილია პავლოვნიას ფიტოტოქსიკანტების ამტანობის ხარისხი სხვა დეკორატიულ სახეობებთან ერთად. რუსეთში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საკვლევ მცენარეებს განსხვავებული მედეგობა ახასიათებთ ფიტოტოქსიკანტების მიმართ. დაზიანების ხარისხი მკვლევარების მიერ შეფასებულ იქნა კულაგინის (Кулагин, 1980) სამბალიანი სკალის მიხედვით: სუსტი დაზიანება (დამწერობა არ აღემატება ფოთლების ზედაპირის 10%-ს) – 3 ბალი; საშუალო

დაზიანება (დამწვრობა 10-40 %-ის ფარგლებში) – 2 ბალი; ძლიერი დაზიანება (დამწვრობა 40 %-ზე მეტი) – 1 ბალი. შედეგები მოცემულია ცხრილის სახით (იხ. ცხრ. 5.1).

5.1 ცხრილიდან ჩანს, რომ პავლოვნია მოცემული სახეობებიდან კატალპასთან ერთად ყველაზე ნაკლებად ზიანდება ქალაქის პირობებში ფიტოტოქსიკანტებით (18,2%), რაც კულაგინის სკალის მიხედვით საშუალო დაზიანების კატეგორიას ეკუთვნის.

### ცხრილი 5.1

პავლოვნიას და ზოგიერთი სხვა დეკორატიული სახეობის ფიტოტოქსიკანტების მიმართ მედეგობის მაჩვენებლები

№	სახეობა	დაზიანების %
1	2	3
1	კატალპა ( <i>Catalpa speciosa</i> )	12,6 <sup>+</sup> _0,82
2	პავლოვნია ( <i>Paulownia Sieb.</i> )	18,2 <sup>+</sup> _0,32
3	ალბიცია ( <i>Albicia Dur.</i> )	19,5 <sup>+</sup> _0,73
4	ტირიფი ( <i>Salix babylonica</i> )	25,9 <sup>+</sup> _1,30
5	ვერხვი ( <i>Populus nigra</i> )	32,8 <sup>+</sup> _0,82
6	ნეპერჩხალი ( <i>Acer campestre</i> )	35,5 <sup>+</sup> _1,62

ევროპის ზომიერი კლიმატის პირობებში, პავლოვნიას ფოთლებში მძიმე მეტალების შემცველობაზე ჩატარებულმა კვლევულმა აჩვენა, რომ პავლოვნია მიეკუთვნება ამტან დეკორატიულ სახეობებს, რომელიც ნორმალურად ვითარდება ქალაქის პირობებში. დადასტურებულია, რომ პავლოვნიას დიდი ზომის ფოთოლს აქვს უნარი გოგირდის ორჟანგის ჰაერიდან შთანთქმის (ადბსორციის) და მტვერის ნაწილაკებთან შერევისა (Balsberg, Palson 1989; Olson, Fackler, Stringer, 1989).

მოცემული მონაცემები იძლევა საშუალებას პავლოვნიას დეკორატიული მიზნით ქალაქის პირობებში აქტიურად გამოყენებისა,

რადგან იგი არამხოლოდ არ კარგავს ესთეტიკურ-დეკორატიულ თვისებებს, არამედ აქტიურად შეუძლია შეასრულოს მაღალი ეკოლოგიური ფუნქციები.

## 5.2 მერქნის თვისებები და გამოყენების პრიორიტეტები

მიუხედვად იმისა, რომ პავლოვნიას მერქნის გამოყენების შესახებ ისტორიული ცნობები ჯერ კიდევ ჩ.წ 400 წლით თარიღდება, განსაკუთრებული აქტუალობა მაინც გასული, მე-20 საუკუნიდან შეიძინა. ამ პერიოდს უკავშირდება პავლოვნიას მერქნის ბაზრის გაფართოვება, განსაკუთრებით იაპონიაში, რამაც აუცილებელი გახდა მისი მერქნული თვისებების შესახებ საფუძვლიანად მეცნიერული შესწავლა.

პავლოვნიას მერქნული მახასიათებლები დღეს უკვე სათანადოდ შესწავლილია. ამ მიმართულებით კვლევები საქართველოშიც განხორციელდა ქართველი მეცნიერების მიერ (ჩხუბიანაშვილი, 1973; თარგამაძე, ტატიშვილი, აფციაური, 1985).

პროფ. ზ. ჩხუბიანაშვილის და ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის მიხედვით (ჩხუბიანაშვილი 1973; Bergmann, 1998; Flynn, Holder, 2001) პავლოვნიას მერქნის რადიალური სხივები ძალიან ვიწრო და მრავალრიცხოვანია, რომელიც შეუიარაღებელი თვალით კარგად არ ჩანს. სხივები ძარღვებთან გადაკვეთისას იღუნება.

სხივები მსხვილი, ერთიანი ან წყვილებადაა წარმოდგენილი, ადრეულ მერქანში განლაგებულია 2-3 რიგად. ყველაზე დაბალი სხივის სიგრძე 0,5 მმ. წლიური ფენის გვიან ნაწილთან შედარებით ადრეული მერქანი ვიწროა. გვიანი მერქანი კარგადაა განვითარებული, მნიშვნელოვნად უფრო სქელია ადრეულთან შედარებით.

მერქნული პარენქიმა კარგად განვითარებულია, პარატრაქეალური, ჩვეულებისამებრ რგოლისებრი ან ფრთისებრია. მრავალი სხივები გარშემორტყმულია პარენქიმული უჯრედებით 2-3 რიგად.

ჭურჭლები განივ ჭრილზე ფორმით მრგვალი ან ოვალურია. იგი მეტწილად განცალკევებულია, ზოგჯერ მორკალული ან მოკლე ხაზოვანი. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჭურჭლები ზომით სამჯერ ან ხუთჯერ დიდია ახალგაზრდა ხის მერქანში და ხნოვანი ხის მერქანთან შედარებით. ტრაქეიდები ბოჭკოვანია.

ლიბრიფორმის ბოჭკო შეადგენს მერქნის ძირითად მასას. ის მომრგვალოა, გლუვი, მახვილიანი წვეროებით და ოშვიათი ხვრელისებრი ფორებით. ბოჭკოს საშუალო სიგრძე უდრის 0,71 მმ, სიგანე – 0,028 მმ. ბოჭკოს სიგრძის კავშირი სიგანესთან მიმართებაში შეადგენს 26.

ზ. ჩხუბიანაშვილის (ჩხუბიანაშვილი, 1973) მიხედვით პავლოვნიას მერქნის ძირითადი ანატომიური ელემენტების მაჩვენებლები სხვადასხვა ხნოვანების ხის მერქანში მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრ. 5.2).

### ცხრილი 5.2

პავლოვნიას მერქნის ანატომიური ელემენტების მაჩვენებლები

ნიმუშის ხნოვანება	ძარღვების რაოდენობა 1 მმ-ზე		სხივების რაოდენობა 1 მმ- ზე		ბოჭკოს სიგრძე მმ-ში	ბოჭკოს სიგრძე მმ-ში	ბოჭკოს სიგრძის ურთიერთო ბა სიგანესთან
	აბსოლი ტური	%	აბსოლიტ ური	%			
1	2	3	4	5	6	7	8
5	9	10,9	27	5	0,64(0,4-1,0)	0,026	24,0
10	9,7	11,7	22	3,6	0,70(0,4-1,2)	0,027	26,0
16	9	13,8	17,3	4,1	0,71(0,5-1,1)	0,030	26,0
საშუალო	9,2	12,1	22,1	4,1	0,71(0,4-1,2)	0,028	25,0

პავლოვნიას მერქნის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიდან გამოსაყოფია: მერქნის სიმკვრივე და მდგრადობა, კუმშვადობის კოეფიციენტი, სითბოს და ბგერის გამტარუნარიანობა, ბგერით გამტარუნარიანობა, ტენიანობის კოეფიციენტი, სიდამპლმედეგობა, ბუნებრივად შრობის და დამუშავების სიადგილე. მერქნის მოცემული მახასითებლები ქიმიურ შემადგენლობასთან ერთად განაპირობებენ მერქნის ხარისხს.

რიგი მკლევარების აღწერით პავლოვნია მსუბუქი, გულოვანი, გაბნეულ ჭურჭლიანი სახეობაა. ცილა ვიწროა, მონაცრისფრო-თეთრი ან ღია ყვითელი ფერისაა, ახასიათებს აბრეშუმისებრი ელვარება. წლიური შერეები ფართოა (განსაკუთრებით ზრდის საწყის ეტაპზე) და შესამჩნევი სამივე ჭრილზე. პავლოვნიას მერქანს არ გააჩნია სუნი, იგი შეიცავს პოლიფენოლს, რასაც დამუშავებულ მერქანზე ლაქების გამოწვევა შეუძლია. ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით პრაქტიკაში მიღებულია დამუშავებამდე მერქნის სუფთა წყალში მოთავსება. მკვლევარები ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხის მოჭრის პერიოდს, რომელიც სასურველია იყოს ვეგეტაციის დასრულების შემდეგ, ან მის დაწყებამდე (Karpenter, Graves, 1979; Ilic, 1990; Flynn, Holder, 2001).

მიუხედავად იმისა, რომ პავლოვნიას მერქნის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები უახლოვდებიან რბილმერქნიანი სახეობების მაჩვენებლებს, მათთან შედარებით პავლოვნიას მერქანს აქვს მცირე მოცულობითი წონა და მაღალი ხარისხობრივი (მდგრადობის) კოეფიციენტი (Bootle, 1983; Haslett, Young, Simpson, Britton, 1992; თარგამაძე, ტატიშვილი, აფციაური, 1985).

შესწავლითა, რომ პავლოვნიას მერქნის კუმშვადობის ( $25,55$  ნ/მ $^2$ ) და ლუნგის ( $43,56$  ნ/მ $^2$ ) კოეფიციენტი ნაკლებია სხვა გავრცელებულ ფართოფოთლოვან სახეობებთან შედარებით, რაც უზრუნველყოფს მის მედეგობას დაბზარვისა და დეფორმირების

მიმართ. ექსპერიმენტული კვლევებით დადასტურებულია, რომ პავლოვნიას, ვერხვის, მუხისა და ზოგიერთი სხვა სახეობის ერთიდამავე სისქის (25 სმ) ფიცრების  $68^{\circ}\text{C}$ -ზე საშრობ კამერაში მოთავსებიდან 12 საათის შემდეგ, პავლოვნიას მერქნის ტენიანობის კოეფიციენტი შემცირდა 24%-ით დეფორმაციისა და ბზარის გარეშე, მაშინ როცა ყველა სხვა სახეობის მერქანტი (მუხის გარდა) შეიცვალა ფორმა და დაიბზარა (Kollmann, Cote, 1984; Bozkurt, Erdin, 1990,1997; Pernestal, 1995; Hernandez, 2007).

მეცნიერულად დადასტურებულია, მერქნის სიმკვრივესა და მდგარდობას შორის პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება (Anon 1986). ამ თვალსაზრისით პავლოვნია მსუბუქ მერქნიან სახეობად ითვლება, რომლის სიმკვრივე 310-330 კგ/მ<sup>3</sup>-ია. მისი მერქნის დაბალი სიმკვრივეს მის სწრაფი ზრდის უნარს და უჯრედის კედლის დაბალ და ფორიანობის მაღალ პროცენტს (80,4%) უკავშირებენ. პავლოვნიას ძირითადი სახეობების სიმკვრივის მაჩვენებელი თითქმის ერთნაირია, აღწერილია, რომ სიმკვრივის შედარებით უკეთესი მაჩვენებლით პ. ელონგატა (*P.elongata*) გამოირჩევა. როგორც ავღნიშნეთ, პავლოვნიას გააჩნია მდგრადობის მაღალი კოეფიციენტი წონასთან მიმართებაში, რაც მის მერქნის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს სხვა რბილმერქნიან სახეობებთან შედარებით. მოცემული მახასიათებლები აიოლებენ მერქნის დამუშავებას და ხდიან ცვეთამედეგს (Ors, Keskin, 2001; Goker, 1999; Kalaycioglu, 2005,).

პავლოვნიას მერქნის ტენიანობის მაქსიმალური კოეფიციენტია 30,29%. დადასტურებულია, რომ პავლოვნიას მერქნისაგან დამზადებული საგნები ძლებს ნესტიან პირობებში, ის არ სკდება და არ განიცდის დეფორმაციას. გურიის რეგიონში ჩვენს მიერ ნახულია პავლოვნიას მერქნისაგან დამზადებული არაერთი ე.წ ნალია (სიმინდის შესანახი), რომელთაც დია პირობებში, ათეული წლების განმავლობაში

